

652
1959

საქართველოს
საბჭოთაო სტამბა

5
1959

საქართველოს
საბჭოთაო სტამბა

საქართველოს
საბჭოთაო სტამბა



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შუქნალი

საპარტოზო საბჭოთა გერალდის
კანფერის ამბარის განყოფილების
ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

მთა რუხვა — ლექსები	3
3. ლორია — პირველი ნაკადი (მო- თხრობა)	5
3. რურუა — ლექსები	19
6. მალაზონია — ლექსები	21
ბ. შერვაშიძე — „პატარა ზეცდომა“ (მოთხრობა)	22
დ. მელაძე — ლექსები	35
ჟ. ჯაყელი — მერაბნი (მოთხრობა)	38
ბ. შანიძე — ლექსი	42
კ. მონთელა — წერილი ჯუღიას (მოთხრო- ბა, თარგმნა, მ. ჭიჭინაძემ)	43
ფ. ბარსია ლორკა — ლექსები (თარგმნა გ. სალუქვაძემ)	49

დღეები და აღამიანები

3. სანადირაძე — დიადი მომავლისთვის	51
კრიტიკა და კუბლიცისტია	
მ. სტამბოლიშვილი — ახლის, პროგრე- სულის უძღველობის შესახებ	55
გ. ხუხუშვილი — ზღვა და პოეტი	59
ბ. გაბელაძე — ლიტერატურაში თანა- მედროვე რევოლუციონიზმის რეაქცია- ული არსი	63

ლიტერატურული კალენდარი

ი. რურუა — დიდი მწერალი და ერის მოჭირნახულე	67
--	----

ჩ
ჩ
ჩ
ჩ
ჩ

5

1959

საქვეყნური
ოქგომბერი

ა ზ ა რ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ რ ბ ა მ რ მ ც ე მ ლ რ ბ ა



- ბ. სამხარბაძე—სულხან-საბა ორბელიანი
(ლექსი) 70
- დ. ნაცვალაძე—სამშობლოს საზღვართან 71
- ა. ხუნდაძე—ოსური ლიტერატურის დი-
დი კლასიკოსი 75
- გ. ჰანიშვილი—სამშობლოს მეზვრე . 77

აზარის წარსულიდან

6. ჯიჯავაძე—ძველი ბათუმის წყალმო-
მარაგების ისტორიიდან 79

კუბლიკაცია

6. ზეიშვილი—გამოუქვეყნებელი დოკუ-
მენტი კლასთა ბრძოლის ისტორი-
იდან 83

ტურისტის ჩანაწერები

- ძ. კომისაროვა—სამი თვე შვეიცა-
რიაში 85

წიგნის თარო

- ა. ჩავლეიშვილი—„ნაღვერდალი“ . . 89
- ბ. შავშულიძე—ახალგაზრდა პოეტის პი-
რველი კრებული 91
- გ. ჯიქია—მნიშვნელოვანი სამეცნიერო-
საცნობარო სახელმძღვანელო . . . 94

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი),
ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

შოთა რუჟა

ღიადი შვიდწლელი

მწყემსმა ღიმილით თქვა:
„შვიდწლელი!...“
და თავის ფარას,
როგორც მდინარეს,
წინ დაკლავნილს
მოავლო თვალი.
მწყემსს წარმოუდგა
წყალდიდობა,
როს მთიდან
ბარად
დიდ ლანჩქერებით მოვარდნილი
მოღელავს წყალი.
იქვე, მონუციც,
მშენებლობის
როს ისმენს ამბავს,
გაუტაცნია
ჭაბუკურ ფიქრებს:
„თუკი ამდენი
ელსადგური აშენდა, ბაბა,
იქნებ, ოხერი
ეგ სათვალევც
ალარ დამჭირდეს!“
პოეტიც ასე,
როს მშობლიურ
მთა-ბარს გასცქერის,
ამბობს: გვექნება
სიმღერები,
გოლების ღელვა,
წამოვა ლექსი

და პოემა,
როგორც ჩანჩქერი.
ჩვენ ეს შვიდწლელი
მწყემსს,
მოხუცს,
პოეტს
დიდ სიხარულს
მოგვითმანს ყველას!

კაცი და ალვა

ცნობისმოყვარე ხე ყოფილა
ლამაზი ალვა,
აუშვა ტანი
და მრავალი დაჩრდილა ჩირგვი,
ისწრაფვის ზეგით,
მალლა, სულ მალლა,
რომ გადახედოს —
რა ხდება ირგვლივ.
ასევე კაციც...
მრავალს და მრავალს
სიმაღლეს ადის,
ზეცის თავანს
მიარღვევს ფიქრით,
მალე ის, ალბათ,
მთვარეზე ავა,
რომ გადახედოს —
რა ხდება ირგვლივ.



პაჩენ ღრია

პირველი ნაკადი

ტაქსი ორსართულიანი სახლის შესასვლელთან გაჩერდა.

— მოვედით, — თქვა მძღოლმა, — აფუებულ საზურგეზე უდარდელად მისვენებულ ახოვან ვაჟკაცს მიუხედა და კარი გაუღო.

— მოვედით? — ახლა გამოერკვა ფიქრებში წასული მგზავრი, წამოიწია, ფაქიზად შეხვეული ამანათი აიღო, მანქანიდან ჩამოვიდა, მძღოლს მადლობა გადაუხადა და გაისტუმრა.

ბინდი წვებოდა. მოქუფრული ციდან თოვლის ფანტელები ცვიოდნენ და სახლების სახურავებს მსუბუქად ეფინებოდნენ.

უცნობმა კარზე მიკრულ ბრინჯაოს ფირფიტაზე ბინის პატრონის გვარი ამოიკითხა და ელექტროზარის ღილაკს თითი დააჭირა.

სახლში ზარის ხმა გაისმა და ფორტეპიანოს ხმა მიწყდა.

კარი თოთხმეტ-თხუთმეტი წლის მშვენიერმა გოგონამ გააღო და სტუმარი მიიპატიჟა.

— მაპატიეთ, ელიკო ჯაფარიძის ნახვა მსურს.

— გთხოვთ! — უფრო ფართოდ გამოაღო კარი მასპინძელმა. — მიბოძეთ პალტო და ქუდი.

სტუმარი უსიტყვოდ დაემორჩილა.

გოგონა უცნობს მისაღებ დარბაზში შეუძღვა.

— გთხოვთ დაბრძანდეთ. — სავარძელზე ანიშნა ახალგაზრდა მასპინძელმა. — დედაჩემი ახლაც გეახლებათ. — სწრაფად მიბრუნდა და მეორე ოთახში გავიდა.

სტუმარმა ამანათი მაგიდაზე დადო, სავარძელზე ჩამოისვენა და დარბაზი შეათვალიერა.

ყველაფერი გემოვნებითა და უბრალოებით ბრწყინავდა. სითბო, სილაღე და შინა იგრძნობოდა ყოველ სავანსა თუ ნივთში.

მალე დიასახლისი შემოვიდა, ტანსრული, მოდიმაჰი, ეშხიანი შუახნის ქალი.

სტუმარი წამოდგა, მიეგება, მოკრძალებით თავი დაუჭრა და ხელზე გამბორა.

— მაპატიეთ, მაგრამ დაუხმარებლად ვერაფერს გახდები. — მოღიძარი თვალები დაკვირვებით შეანათა მასპინძელმა უცნობს.

— ინებეთ. — სტუმარმა პატარა ვარდისფერი ქალღალი ამოიღო და გაუწოდა.

ქალმა მხოლოდ წამით შეაჩერა მზერა ქალღალზე.

— გივი! ზეიძე! ჯდაბნია! — ერთმანეთის მიყოლებით შესძახა მან და სასურველ სტუმარს ძმასავით გადაეხვია. — რას შევბი, როგორ ხარ, ბიჭო? რამდენი ხანია არ მინახიხარ... შენი ამბავი კი შორიდან მომდის. შენს ნაწერებსაც ვკითხულობ. ლიტერატურულ საქმიანობას ეწევი, ძალიან კარგი საქმეა... ნინო, მოდი, შეილო, ძია გაგაცნო... ჩემი უმცროსი ქალშვილია.

სტუმარმა მაგრად ჩამოართვა ხელი გოგონას და შუბლზე აკოცა.

— შენ თქვი უმცროსიო...

— უფროსებიცა მყავს, ორი ვაჟი ინსტიტუტში სწავლობს. უფროსი მომავალ წელს დამთავრებს, უმცროსი კი შარშან მოეწყო. შენ ალბათ...

— კელავინდებურად ცალად დავეხეტები. თანდაყოლილი მოხეტიალე სული ერთ ადგილას ვერ გავაჩერე და... ხომ გავიგონია, აგორებულ ქეას ხავსი არ მოეკიდება. ახლა კი ვნანობ, მაგრამ... არა უშავს. ჩემი ამხანაგები შეუვსებენ საზოგადოებას იმ დანაკლისს, რაც ჩემი დაუდევრობით მოუვიდა... შენი მეუღლისა კი არაფერი ვიცი.

— არა მგონია, ასე იყოს. ერთ დროს განუყრელი მეგობრები იყავით.

— თანაკლასელია?

— დიდხანს ერთ მერხზე ისხედით ერთად.

— აჰ, ლევანი?! როგორ არ ვიცნობ... თუმცა... სხვა ადგილას და სხვა პირობებში შენც ვერ ვიცნობდი. სად არის?

— საავადმყოფოში გამოიძახეს სასწრაფო ოპერაციაზე. მალე დაბრუნდება.

— გასაგებია, გასაგებია. — თქვა სტუმარმა. — თავიდანვე მედიცინით იყო გატაცებული. შენც უთუოდ მისი კოლეგა...

— არა, არა, — დაასწრო ელიკომ. — მე ახალი თაობის აღმზრდელი ვამჯობინე.

— კეთილშობილური პროფესიაა. ალბათ, ჩვენი დამრიგებლის, პატივცემული ნატოს მიბაძვით... მართლა, ცოცხალია?

— როგორ არა. ცოცხალია, კარგად არის. — ელიკომ სტუმარს ხელი მოჰკიდა, სავარძელზე დასვა და გვერდით მიუჯდა. — ძალიან გამახარე, რომ ჩამოხვედი. საბრალო ნატო, მუდამ იმას მეხვეწებოდა, მომიხერხე, მანახე ერთი ჩვენი ვაჟკაცებიო. მეორე წელი პენსიაში გავიდა და ვერ მოუხვევია. რა ვქნა, რა ვაკეთო, როგორ გავლიო უკანასკნელი დღეებიო. ხანდახან სკოლაში შეივლის ხოლმე და ჩამორჩენილი მოსწავლეები მიჰყავს სახლში სამეცადინოდ... გადირევა სიხარულით, ამდამ რომ აქ გენახავს.

— მოვა?

— უსათუოდ. მგონია მოვიდა კიდევ.

მაგრამ არ გაუშართლდა. დარბაზში კეკლუტი ქალი შემოვიდა.

— ანცა! — წამოიჭრა მასპინძელი და ახალმოსულს მიაშურა. — სადა

ხარ, გოგო, ამდენხანს. — სახე და თვალები ამოუკოცნა. — დილის მატარებ-
ლით მოგელოდი... აბა ნახე, თუ იცნობ?

ახალმოსული ზეიძეს შეაჩერდა.

— ჩვენთაგანია?

— რასაკვირველია. ზეიძ...

— აჰ, ჭლახინა! უყურეთ მას როგორ გამოცვლილა! — ქალი ნელა მიუ-
ახლოვდა ზეიძეს, შემოგებებული ორივე ხელი ჩამოართვა და სიყვარულით
ახელა. — რომ გამიბრაზდე, მაინც უნდა გაეკოცო, ბიჭო! — ორივე ხელი კი-
სერზე შემოხვია და რამდენჯერმე აკოცა.

— რა ვიცი, ერთხელ კოცნისათვის კინალამ თავი გამიხეთქე და... — წა-
მოწითლდა ვაჟკაცი.

ქალებმა გადაიკისკისეს.

— მაშინ სულ სხვა იყო. ბიჭო... ხედავთ, როგორ დამახსოვრებია?

— ძაღლის ნაკენივით.

შემდეგ ერთმანეთი მოიკითხეს. ანცა, ანუ მზია ბერიძე, საკმაო სტაჟის
მქონე გინეკოლოგია. მუშაობს რუსთავეის საავადმყოფოში. ხშირად მოგზაუ-
რობს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც. შარშან ევროპის გარშემო
იმოგზაურა, წელს ჩინეთში იყო, გაისად ჩეხოსლოვაკიაში აპირებს.

— მაგრამ ქმარ-შვილი, გოგო?

— შენგან არ მივიკის, სად მყავს, ბიჭო, ქმარ-შვილი?

— კაცობრიობის წინაშე მაგიც ვალშია. — ჩაუბრუნა ელიკომ. — ერთი
ბავშვი რაა, ისიც არ...

— უკაცრავად შენთან. — შემოწყრა ანცა. — ერთი ბავშვი კი არა, ათას
ბავშვს ვუვლი და ვბატრონობ. ღმერთმა უშველოს ჩვენს ახალგაზრდებს, ვა-
ლში არ რჩებიან. ჭლახინას, ალბათ... — გივის შეხედა.

— შენთვის მოუბაძვს და...

— მართლა, ბიჭო? მე რას მიყურებ, ჩემო ძამია. არავინ წამიყვანა, თო-
რემ... გოგო, შენ მაინც ვერ გააბედვინე?

— როგორ ვიფიქრებდი უცოლოდ დარჩებოდა, თორემ... ახლაც არაა
გვიანი. შეიძლება ერთმანეთისათვის ინახავდით თავს. — და ელიკომ ორივეს
ერთად მოხვია ხელი.

— ჩემი სიკვდილი! — იუცხოვა ანცამ. — ნუ გაგვაწითლებ, გოგო. —
გივი გაიტაცა და სარკესთან მიიყვანა. — მართლა მოგხუცებულვარ, ბიჭო.
ვერცხლშერეული თმა შეისწორა. — შენ კი ერთი ღერი თეთრიც არ გირევია.

— უჭკუო კაცის თმამი ჭლახარა არ გამოერევო, არ გაგიგონია? — იო-
ხუნჯა გივიმ.

— ვიცი, ვიცი. — ერთხმად წამოიძახეს ქალებმა.

— მაპატიეთ. — შემოაღო კარი ამ დროს ოჯახის უფროსმა.

— ლევან! აბა თუ იცნობ ჩვენს სტუმრებს? — მკლავში ხელი გამოსდო
ელიკომ ქმარს და მზიასთან მიიყვანა.

— როგორ არ ვიცნობ. ეს ხომ ჩემი კოლეგაა. ინსტიტუტის დამთავრების
შემდეგაც ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ხომ მართალია?

— ნამდვილად. — მიუვო სტუმარმა ქალმა და ორივე ხელი მაგრად ჩა-
მოართვა.

— ამასთან კი... — გივის პირდაპირ დადგა მასპინძელი. — დამაცათ, ნუ
მომავონებთ. — თვალებში ჩააცქერდა სტუმარს. — კიტა ხარ! ხომ სწორბა?



— არა, — ღიმილით ახედა გივიმ.

— მაშ შევცდი? — ხელი ჩაიჭნია ლევანმა. — ნინო, წადი, შეიღებო! — მომიტანე! — რაღაც ანიშნა მან ბავშვს.

ნინომ მოიტანა ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული ცისფერი მუყაო, რომელზეც ახალგაზრდების პატარა ზომის ფოტოსურათები იყო განლაგებული.

„ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 ქართული საშუალო სკოლის 1928 წლის გამოშვება“ — ლამაზი ასოებით ეწერა ზემოთ მოხატულ წითელ არშიაზე.

— ახლა აქ კი გამოგიჭერ. — მიუბრუნდა გვერდით თამამად მდგომ ვაჟკაცს. შემდეგ სურათებს დააცქერდა და ქვემოთ წარწერილი გვარები ჩაათვალიერა.

— კილაძე? — ჯერ სურათს დახედა. შემდეგ გივის. — არა, ეს არ ხარ. ბაჯელიძე? არც ეს ხარ. ზეიძე? ამას ხომ მოხარშულს ვიცნობ. კელტაძე ხარ? მაგრამ არა. მე თუ არ ვცდები, შენ...

— უკვე ჩამცილდი, ჩემო ძმაო. ერთ მერხზე მაინც არ გაგვეტარებია...

— ჭლაბნია! აი შე რა გითხრა. როგორ ვერ გიცანი, ბიჭო! — ორი ვაჟკაცი ერთმანეთს ჩაესკვნა და ჩაეკონა.

— აქ ეს რა ამბავია, ბატონებო?! — ომახიანად გაისმა ამ დროს და კარებში მაღალი ტანის პოლკოვნიკი შემოიღმართა.

ყველას ყურადღება ახალმოსულმა მიიპყრო.

— ნუ შეწუხდებით, ბატონებო! — ამაყად გადმოდგა ფეხი პოლკოვნიკმა. — ქალბატონ ელიკოს მოწვევით გეახელით. ინებეთ საშვები! — და ჯიბიდან ვარდისფერი ქალაღი ამოაცოცა.

— მიბოძეთ! — წინ წარსდგა ელიკო.

— მაპატიეთ, ვისთან მაქვს პატივი გამოცხადებისა?

— ამ ოჯახის დიასახლისი, ელიკო...

— აჰ, თქვენ ბრძანდებით ეს, ქალბატონო კაკანა? მაქვს პატივი გამოგეტყავით პოლკოვნიკი დავით კეთილაძე.

— ბუენია! — ხელები გაშალა ელიკომ, მაგრამ პოლკოვნიკმა დაასწრო, ზავსივით აიტაცა და გადაკონა.

ყოფილმა მეგობრებმა და თანაკლასელებმა ერთმანეთი გაიხსენეს, გამოცნაურეს, გაიხარეს და გამხიარულდნენ.

მალე სხვებიც გამოჩნდნენ.

საკუთარი მანქანით მოვიდა ცნობილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე რეჯე ბაჯელიძე და ნაირნაირი ციტრუსებითა და ხილით დატვირთა გაშლილი მაგიდა. გამოჩნდა ეთერ კერვალიძე. გმირი დედა და სახელგანთქმული მეოჯახე. მალე მათ კორნელი ზაქარიაძეც შემოემატა. როგორც მოწინავე ხარატი, მანქანათმშენებლებმა უმაღლესი საბჭოს დეპუტატად დაასახელეს და აირჩიეს, აგრონომი კელტაძეც მოვიდა მეზობელი რაიონიდან. იგი სამამულო ომში მონაწილეობდა და მის მკერდს საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი ანათებდა.

ბოლოს, ყოფილი მასწავლებელი ღვაწლმოსილი ნატო კვაშალიც შემოვიდა თავშალმოსხმული და სტუმრების მოსვლაც შეწყდა.

— პატივცემულო ამხანაგებო! — მიმართა შეკრებილთ დიასახლისმა, როცა გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. — 1928 წლის 24 ივნისს, ჩვენი სკოლის პირველი ნაკადის გამოსაშვებ საღამოზე მე დამევალა ოცდაათი წლის შემდეგ შემიკრიბა ჩვენი ამხანაგები, ერთმანეთი გვენახა, ჩვენი საქმიანობა

შეგვემოწმებინა და მომავლის სურვილები გამოგვეთქვა. ეს დავალება შევასრულე. მოსწვევი ბარათი დავუგზავნე ყველას, ვისი მისამართიც მივაგვეწერე. ოცდარი ამხანაგიდან რვა ცოცხალი არ არის. ექვსი სამამულო დაეცა გმირულად, მათ შორის ორი ქალი — თინა თეთრაძე და თამარ ცეცხლაძე. ვაჟებიდან სიმონ თხილაიშვილი, ნოე ცერცვაძე, ანტონ კირთაძე და პავლე უნგიაძე. ორი ამხანაგი — კოტე ვაშაძე და თედო ჩხაიძე გარდაცვლილან... აქ მყოფ ამხანაგებს ვთხოვ...

სიტყვის დამთავრება არ დასჭირვებია, ყველანი ისე წამოიშალნენ და რამდენიმე წუთს თავდახრილნი იდგნენ.

— ორი ამხანაგი ვერ გვესწრება. — განაგრძო ელიკომ. — მაგრამ... ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ მათი დეპეშები.

„თბომაველ „პოზედიდას“. — მივარღვევთ ოკეანეს. გილოცავთ სულითა და გულით. გვიგულეთ თქვენთან. კაპიტანი რამიზ კილაძე“.

„პეკინიდან. ვიმყოფები ჩვენს მეგობრებთან, ვეხმარები კომუნიზმის შენებაში. მთვლიდეთ თქვენთან. კიტა ცერცვაძე“.

მათ დეპეშებს ტაშითა და ვაშას ძახილით შეზღუდნენ.

— მოპატიყება ამხანაგ სანდროსაც გავუგზავნე, მაგრამ. — თქვა ელიკომ.

— რასაკვირველია, ვერ მოიცლიდა. — წამოიძახა ერთმა.

— დიდ კაცს დიდი საქმე აქვს. — არცთუ იხუმრა მეორემ.

— პასუხი მაინც უნდა გამოგვგზავნა.

— თანამდებობა და პირობები, დრო და სიშორე ცვლის ადამიანის ბუნებასა და ხასიათს.

ყველამ რაღაცა თქვა შეკრებაზე გამოუცხადებელი ამხანაგის შესახებ. ზოგი გულწრფელად ამართლებდა: დროს ვერ იშოვნოდა, ან დაავიწყდებოდა, შეიძლება მივლინებაშიც იყოსო, მაგრამ მოწინააღმდეგენი საყვედურისათვის საკმარის საბაბს პოულობდნენ.

ის იყო საზეიმო ვახშამს უნდა შესდგომოდნენ, რომ ზარი აწკრილდა და სტუმრის შესაგებებლად გასულ წინოს ნაადრევად ჭაღარამოხშორებული ლამაზი ვაჟკაცი შემოჰყვა.

— რაზმაძე! — ერთმანეთს გადაუჩურჩულეს ქალებმა და ახალმოსული შეათვალიერეს.

— მაპატიეთ, ამხანაგებო! — მიმართა ახალმოსულმა იქ მყოფთ და, სუფრის თავში ჭაღარამოსილი ნატო რომ შენიშნა, მასთან მივიდა. — მაპატიეთ, პატივცემულო მასწავლებლო, დამნაშავე ვარ! — უთხრა მოხუცს, ხელი მოხვია და ჭაღარამოსილ თავზე ემთხვია.

ნატომ სიხარულის ცრემლები შეიწმინდა და ნამოწაფარს შუბლზე აკოცა.

— არ გვეგონა, თუ გვესტუმრებოდი, შვილო! — მხარზე დაადო ხელი ნამოწაფარს. — ამბობენ დიდი კაციო და...

— განა როდისმე დაეკლებივარ თქვენს გაკვეთილს, პატივცემულო ნატო? — და წყენით დაუმატა: — ისეთი სიდიდე ნუ მქონოდა, ჩემი ტოლები და მეგობრები ვერ მეცნოს და მათ რიგებს გამოვეთქმო.

— ხუთიანი გეკუთვნის, ბიჭო, მაგ პასუხისათვის. — ალერსით უთხრა მოხუცმა და იქ მყოფთ მიმართა. — რას იტყვი, ბავშვებო?

— სწორია, პატივცემულო მასწავლებლო! სწორია. ეკუთვნის. — წამო-
იძახეს ყოველი მხრიდან და მართლაც ბავშვებივით აჟრიაშულდნენ. წამო-
იძახეს ყოველი
მხრიდან

— მაპატიეთ, ამხანაგებო, თუ გალოდინეთ! — ახლა სხვებს მიუბრუნდა
რაზმაძე. სათითოოდ ჩამოართვა ყველას ხელი. ზოგი იცნო, ზოგი მოავგონეს,
ზოგი აქამდეც მრავალჯერ ენახა.

სანდრო რაზმაძეს მოწაფეობის დროს არა მარტო თანაკლასელები, არა-
მედ მთელი სკოლა იცნობდა. გონიერი, დინჯი, დაკვირვებული და ბეჯითი ჭა-
ბუკი ჭეღამ გამოირჩეოდა სხვებისაგან. გამოშვების დროს იგი სასკოლო
კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი იყო. გამოცდები კარგზე ჩააბარა, მაგრამ
უნივერსიტეტში ფრიადებზე სწავლობდა. უმაღლესი განათლების მიღების
შემდეგ ერთხანს ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, იქიდან კომკავ-
შირის ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს, ხოლო მერე, აგერ მეორე წე-
ლიწადა, რაც პარტიულ საწუშაოზეა. ახლა ის იშვიათად თუ სადმე ხვდება
ბავშვობის მეგობრებსა და სკოლის ამხანაგებს.

სანდროს გამოჩენამ კიდევ უფრო ასწია საზეიმო განწყობილება. ბავშ-
ვებად იქცნენ ამოდენა ქალები და ვაჟკაცები. მოიგონეს ერთმანეთისათვის
შერქმეული სახელები: „კაკანა“, „ცეცერა“, „ანცა“, „ბორძიკა“, „ბოხოხა“.
სანდროსაც ჰქონდა ერთი ასეთი სახელი, მაგრამ ახლა მისი გახსენება უხერ-
ხულად მიიჩნეის.

— კი, მაგრამ მე რად მიკარგავთ, ამხანაგებო, დამსახურებას? განა გუგ-
ნია დასავიწყებელი ბიჭია? — გაათამამა ამხანაგები რაზმაძემ.

ოხუნჯობა სერიოზულ საუბარში გადაიზარდა. ერთმა გამოსაშვებ სალა-
მოზე წარმოთქმული სიტყვა მოავგონა რაზმაძეს. მეორემ სხვა რამ გაიხსენა იმ
დროიდან შემორჩენილი.

ბევრი რამ იყო მაშინ მათთვის შეუცნობელი და გაურკვეველი. ცხოვრება
სატრუიალო რომანებში ამოკითხული ამბებივით იოლი ეჩვენებოდათ, დასა-
ხული მიზნების მიღწევა ადვილი ეგონათ, მაგრამ წლების მანძილზე ყველა-
ფერი ნახეს და გამოსცადეს. მართალია, შეკრებილთაგან ბედს არავინ ემდუ-
რის, გზა-კვალი ყველას გაუგნია და თავისი ადგილი უპოვნია, მაგრამ აქ მოს-
ვლამდე არა ერთი და ორი შკაცირი ბრძოლა გადაუხდიათ.

— ჩვენს შორის ყველაზე დიდ მეოცნებეს ვერ ვხედავ, ამხანაგებო! —
უეცრად მოავგონდა საუბარში გართულ რაზმაძეს.

— ნერო თავაძე! — წამოიძახა ერთმა.

— ჯღუნია?

— ჰო, მგონი ჯღუნიას ვეძახდით. სად არის?

— მოსაწვევი მიიღო. მიკვირს რატომ არ მოვიდა. — თქვა ელიკომ სან-
დროს პასუხად.

— ვერ უნდა ჰქონდეს იმ ბიჭს საქმე კარგად. — ჩაილაპარაკა ლევანმა.

— ამას წინათ შემხვდა და არ მომეწონა...

— ოჯახური მდგომარეობაც ვერ აქვს სახარბიელო.

— როგორც ვიცი, პატიმრობაშიც ყოფილა....

— მართლა? — წყენა დაეტყო რაზმაძეს. — საბრალო ბიჭი. შველა სჭი-
რდება ნამდვილად, ჩვენი შველა. ნეტავ სად არის ახლა?

II

ლენინს სარდაფში, კარებზე რომ ეწერა, ლენინო მხოლოდ გატანით იყი-

დებო, გაჩაღებული სმა იყო. ცარიელ კასრებზე სახელდახელო სუფრა გვე
შალათ და გაუთავებელ სადღეგრძელოებს ამბობდნენ, უზვად აფრქვევდნენ
სახოტბო და სალაღობო სიტყვებს, ერთმანეთს ტუჩებში ჰკოცნიდნენ, ხოლო
წუთის შემდეგ საცემად მიიწვევდნენ.

გამყიდველი, ქერაულვაშებიანი, ღიპიანი კაცი მალიმალ გაიხედავდა ხო-
ლმე ვიწროდ გადებულ კარში და მობრუნებული ახმაურებულ სტუმრებს
დაერეოდა, სიჩუმისა და წესრიგისაკენ მოუწოდებდა.

— თუ არ დაიშლით და იხმაურებთ, ღვინოს არ მოგცემთ. თუ წესიერად
არ მოიქცევით, საწყობს დაგკეტავ. — იმუქრებოდა იგი. მაგრამ ხმაური არ
წყდებოდა, წესრიგი არ მყარდებოდა, ხოლო მუქარა მუქარად რჩებოდა და
ღვინით სავსე ბოთლები ზედიზედ იცლებოდა.

— ქართველ კაცს ვინ დაუშლის ღვინის სმასა და დროს ტარებას?!

— პური და ღვინო ქართველი კაცის მოგონილია!

— ვაშა პურ-ღვინოს!..

ყველაზე უფრო ის ჯგუფი აქტიურობდა, კუთხეში მიდგმული კასრის ირ-
გვლივ რომ შეკრებილიყო.

— არ შეიძლება! ეს ისეთი სადღეგრძელოა, რომ... — ჭირვეულობდა ერ-
თი წვერმოშვებული ჩია ტანის კაცი, რომელსაც ძველი პიჯაკი მსუბუქად მო-
ესხა მხრებზე. — ყველამ უნდა დაცალოს. — და გვერდით მდგომ გრძელ-
ცხვირა კაცს სავსე ჭიქას ხელში აჩრიდა.

— არ მინდა, არ შევსვამ. — მელოტ თავზე შემოჩენილ ბუხს იგერიებდა
მოვრალი. ცდილობდა აეცილებინა სადღეგრძელო, მაგრამ სხვები არ ანე-
ბებდნენ.

— არა, მაგას კი შევსვამ, მაგრამ... — ენის მობრუნებას ძლივს ახერხე-
ბდა მელოტი. — კი შევსვამ, მაგრამ... ერთი სიტყვით, ეს იმის სადღეგრძელო
იყოს, რომელიცა რომა... — სასმისი შეაშდეც ვერ შესვა, თავი კასრზე ჩა-
მოლო და ხერხინვა ამოუშვა.

ნახევრად ღია კარში ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭმა შეიჭვრიტა, ბავშვუ-
რი ფრთხილი თვალები იქაურობას მოავლო, შემდეგ ქურდული ნაბიჯით შე-
ვიდა და წვერმოშვებულ კაცს შეუმჩნეველად გვერდით აეტუზა. იგი ერთხანს
უხმოდ იდგა. ცნობისმოყვარეობით აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით, ისმენდა
მომაბეზრებელ უაზრო სიტყვებს და ბავშვური სახე უმწუხრდებოდა. როცა
წვერმოშვებულმა ერთხელ კიდევ შეავსო სასმისი, ასწია და მორიგი სადღე-
გრძელო წამოიწყო, ბავშვი ნაბიჯით წინ წაიწია და წამოიძახა:

— მამა!

წვერმოშვებული კაცი სწრაფად მიტრიალდა და, მის წინ ბავშვი რომ
დაინახა, შეკრთა, ჭიქა დადგა.

— გურამ, შენ აქ რა გინდა?

— დედამ გამომგზავნა... არა, დედამ კი არა, ჩემით მოვედი. — შეწუხ-
და ბავშვი. — მამა, წავიდეთ სახლში. დღეს ჩვენსაა...

— აქედან გამეცალე! — შეჰყვირა მამამ, მაგრამ მალე მოლბა. — თუმ-
ცა არა, მოდი, შეილო, აქ, დალიე! — ჭიქა აიღო და მიაწოდა: — ადღეგრძე-
ლე ეს ბიჭები.

— არა, ღვინოს არ დავლევ! — უკან დაიხია ბავშვმა.

— მაშ, ჩვენ გიყები ვართ, რომ ესვამთ?! — იწყინა ერთმა.

— თქვენ დიდები ხართ! — იმართლა თავი ბავშვმა.

— მეგრე, არ გინდა შენაც დიდების ამქარი გახდე?

— კარგი, რა. — მოფხიზლდა კასრზე თავჩამოდებული. — მიეცით გზა მანეთი, კინოში წავიდეს.

წვერმოშვებულმა ჯიბეები გაიჩხრია. ვერაფერი იპოვა, შემდეგ პიჯაკის უბეში რაღაც ქაღალდი აღმოაჩინა.

— აჰა, წაილე, — ბავშვს გაუწოდა, მაგრამ სანამ მისცემდა, უნებლიედ გადაავლო თვალი და შეჩერდა.

„მოსაწვევი ბარათი.

ამხ. ნერო თავაძეს.

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს ლევან ჯაფარიძის ბინაზე ეწყობა ვ. ი. ლენინის სახელობის ქართული საშუალო სკოლის პირველი გამოშვების ყოფილ მოსწავლეთა შეხვედრა. გთხოვთ დაგვესწროთ.

პატივისცემით ელიკო ჯაფარიძე“.

— ნერო თავაძეს... ნაღვლიანად ამოილაპარაკა მთვრალმა. — მიწვევენ... უნდა მივიდე... ხა, ხა, ხა. — ახარხარდა იგი. — ახირებული ხალხია. პირველი გამოშვების ყოფილ მოსწავლეთა შეხვედრა... მერე, ვის მოაგონდა ეს? ელიკო ჯაფარიძე... გასაგებია, აჰა, წაილე და წადი! — ქაღალდი ისევ ბავშვს გაუწოდა.

— ეს ხომ შენ გეკუთვნის, მამა! შენს სახელზეა!

— მერე რა? შენც ხომ ჩემს სახელზე ხარ? მამის ვალის გადახდა შეილს ეკისრება. წადი-მეთქი! — შეჰყვია ბავშვს. — უთხარი იმ უსაქმურებს, მამა-ჩემი, ნერო თავაძე დაკავებულია, დიდ საქმეშია გართული-თქო, არა აქვს დრო თქვენთან მოვიდეს-თქო! გესმის?! — კვლავ ვარდისფერ ქაღალდს დახედა და მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა. — ნერო თავაძეს. ესე იგი მე. მე ვარ ნერო თავაძე. მე ვყოფილვარ პირველი გამოშვების ერთ-ერთი წევრი. მე... დიახ, ასე წერია. ეჰ, რამდენი საუკუნე გავიდა მას შემდეგ! რამდენი რა გამოცდადე!... ახლა მიწვევენ, მეპატიჟებიან. მოდი, შენი წარმატებებით გაგვა-ხაოეო... ასე დავთქვით მაშინ... რას მომიჩერებიხარ?! — უყვია უეცრად ბავშვს. — ხომ ხედავ, მეგობრებში ვარ! გამეცალე აქედან! ნუ დამდევთ შენ და დედაშენი, ფეხნაფეხი! — და ისე ძაგრად ჰკრა ხელი, რომ ბავშვი დაბარბაცდა.

III

საზეიმო შეხვედრაზე შეკრებილთ ჯერ კიდევ ვერ მოეთავებინათ ერთ-მანეთის მოსიყვარულება და გამოცნობა.

პოლკოვნიკი დავით კეთილადე სამამულო ომის ამბებს უამბობდა ამხანაგებს. ყველა გულდასმით უსმენდა. მხოლოდ ხანდახან ეთერი ჩაუკრავდა ხოლმე.

— ბუენია, თუ ხათრი გაქვს, გუდას ნამეტნავად ნუ გაბერავ, თორემ გასკდება. — მაგრამ პოლკოვნიკი შენიშვნას აინუნზიაც არ აცდებდა.

— შენ ტყვილა კი არ შეგარქვეს ქაქანა, — ეუბნებოდა იგი. — ქაქანობ და ჭაქანობ. გოგო, იმდენმა ბაღნებმა მაინც ვერ გადაგაჩვიეს ამ ქაქანს?

— პირიქით, ვადამაჩვიეს კი არა, ქაქანი სწორედ მათი გაჩენის შემდეგ შევისწავლე. — ხუმრობითვე უპასუხა ეთერი.

რეჯებ ბაჯელიძემ თავისი კოლმეურნეობის ანგარიში წარმოადგინა. ამ-

დენი და ამდენი პროცენტით მეტი მოვიწიეთ, ამდენითა და ამდენით დავავტოვეთ.

ოქრო კელტაძემ რაიონში ჩატარებული აგროლონისძიებების შესახებ მოახსენა ამხანაგებს. ბევრი რამ ახალი თქვა ბიოლოგიიდან.

კორნელი ზაქარიაძე მანქანათსაშენი ქარხნის საქმიანობას შეეხო. გივი ზეიძემ საბჭოთა ლიტერატურის თანამედროვე ამოცანებზე ილაპარაკა.

ყველას მოუსმინეს, ყველას მოუწონეს, ყველა შეაქეს, მაგრამ სანდრო რაზმაძეს, ცოტა არ იყოს, მეტი შეჰყადრეს.

სარგებლობდნენ ყოფილი თანაკლასელის თავმდაბლობით, შეკითხვებს გაბედულად აძლევდნენ და პარტიული კომიტეტის ზოგიერთი მუშაკის საქმიანობას აკრიტიკებდნენ.

— ბევრი საკითხი არ არის მოგვარებული. — წამოიწყო ერთმა. — განსაკუთრებით განათლების დარგში. ბევრია ჰუმანიტარული სასწავლებელი. საჭიროა მეტი მოვაშალოთ ინჟინრები და სხვა სპეციალისტები.

— ძალიან კარგი ახალგაზრდობა გვყავს, მაგრამ სათანადოდ ვერ ვიყენებთ! — წამოიწყო მზია ბერიძემ. — ვერ ვეხმარებით, ვერ ვაწინაურებთ. ზოგიერთი ძველი მუშაკი ვითომ ზედმეტ პატრიოტობას იჩენს, პენსიაში გასვლაზე უარს ამბობს და ახალგაზრდა კადრებს დაწინაურების საშუალებას ართმევს.

— მართალია! — დაუდასტურა ზეიძემ. — ახალგაზრდობა ყველას გამოგვიცდია. იგი მთის მდინარესავით მჩქიფარება, სიცოცხლითა და ინერგიით აღსავსე, სასპარეზოდ არც არ ყოფნის. სურს გადალახოს ის მწვერვალები, წინაპრებს რომ სარეკორდოდ მიაჩნდათ. ასეთი მისწრაფება მოწონებისა და წახალისების ღირსია. — და ზეიძემ საყვედური გამოთქვა, რომ ხშირად ერთი ან ორი უღირსი ახალგაზრდის საქციელის გამო მთელ ახალგაზრდობას კიცხავენ.

თანდათან უფრო გაბედულად ალაპარაკდნენ. ერთმა რკინიგზაზე მგზავრობის დროს აღმოჩენილი დამახინჯებები ამოალაგა. საკმარისია გამყოლს რამდენიმე გროში მისცე, რომ ბილეთის აღება არ დაგჭირდეს. შვილ-შვიდ მანეთად შვიდი კაცი ჩამოვედით ქუთაისიდან ბათუმშიო. მეორემ თქვა, ძმის-შვილი რომ ინსტიტუტში მომეწყო, ათასობით მანეთი ქრთამი მივეციო.

ილაპარაკეს სავაჭრო ქსელის ნაკლოვანებებზე, ლოთობის, სპეკულაციის შესახებ და ვინ იცის კიდევ რაზე.

რაზმაძე იჯდა და თითქოს გულგრილად ისმენდა ამხანაგების შენიშვნებს. როცა ყველამ თავისი სათქმელი თქვა და გული იჯერეს, მან ელიკოს გადახედა და ღიმილით ჰკითხა.

— კაკანა, შენ არაფერს დაუმატებ?! —

— საკმარისია, ბიჭო, რა უნდა გითხრა. მეცოდები კიდევაც. კაცმა რომ მართალი თქვას, გადაწყვეტი ზომების მიღება კი არის საჭირო. — თანავრობით შეხედა ელიკომ თანაკლასელს.

— მაგალითად, როგორი?! — იკითხა რაზმაძემ.

— როგორი და სასტიკად უნდა დაისაჯოს ყველა ის, ვინც საბჭოთა ადამიანის სახელს ჩირქს ცხებს. — თქვა რეკვებ ბაჯელიძემ.

— ღიახ, არავის არ უნდა ეპატიოს გაიძევრობა და თადლითობა...

— სწორია, სწორი. — დაუდასტურეს ყოველი მხრიდან.



— დიახ, სწორია, ამხანაგებო! — დაეთანხმა რაზმაძე. — სწორია, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ყველა იმ ბოროტმოქმედისა და გადაგვარებულ ადამიანს, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ მადლობას არ ვეტყვი. მაგალითად, ჩვენამდე რომ მოეღწია იმ ამბავს, რომ ამხანაგმა ზეიძემ მისი შვილის ინსტიტუტში მოწყობისათვის ვიღაც გაიძვირას ათასები მისცა, თანხის ამღებს სასტიკად გავუსწორდებოდით, ხოლო ამხანაგ ზეიძეს, მიუხედავად მისდამი დიდი პატივისცემისა, პარტიიდან გავრიცხავდით. ეს პირველ შემთხვევაში.

— მე რომ არ მიმეცა, სხვა მისცემდა! — წამოჭარხალდა ზეიძე.

— გგოლისხმობ იმ სხვასაც. — მოუჭრა სანდრომ. — მართალია, დასასჯელია ის მუშაკი, რომელმაც უბილეთო მგზავრი მატარებელში შეუშვა, მაგრამ რა ეკუთვნის იმ ამხანაგებს, რომლებმაც იცინა, რომ უბილეთოდ მგზავრობა არ შეიძლება და შეგნებულად არღვევენ კანონს?!

— მე ეს ვანზრახ კი არ ჩამიდენია... — წამოიწია ადგილიდან რეჯები.

— მესმის. ამხანაგო რეჯებ. თქვენ როგორაც ჩაიღინეთ, ეს სულერთია, დაარღვიეთ წესი. მიეცით ქრთამი, ხელი შეუწყვეთ ბოროტმოქმედს, დაფარეთ სხვისი და თქვენი დანაშაული. ვის დავავალეთ დამნაშავეთა პოვნა და დასჯა? ჩვენ ერთ სკოლაში გიზრდებოდით, ერთ კლასში ვსწავლობდით. ერთი მიზანი და მისწრაფება გვქონდა. ერთად შევეფიცეთ პიონერულ ორგანიზაციაში შესვლისას ვყოფილიყავით სიმართლის მოყვარული, სამშობლოს ერთგული, პატიოსანი და კეთილსინდისიერი. კომკავშირში შესვლის დროსაც ასეთივე ფიცი გავიმეორეთ. მერე?! როგორ ვართ პირობაზე? ჩვენ იქ თქვენს დავალებას ვასრულებთ. თქვენ აქ ჩვენს დავალებას უნდა ასრულებდეთ. მე, თქვენი ყოფილი თანაკლასიკი, მაშინ ვიქნები მტკიცედ და მაგრად, თუ თქვენ, ჩემი მეგობრები და ამხანაგები, გვერდით მეყოლებით და დამეხმარებით.

— სწორია, შეილო! — წამოდგა ნატო, სანდროსთან მივიდა და შუბლზე აკოცა.

ყველამ ტაში დაუჭრა ღვაწლმოსილ მასწავლებელს.

უეცრად კარი გაიღო და დარბაზში ნერო თავაძე შემოვიდა. შემოვიდა დინჯად, ძალზე მთვრალი, მაგრამ თავდაჭერილი. ცდილობდა ფეხი არ შემოეშალა, უწყესოდ არ მოქცეულიყო. ვითომ გაღიმებასაც ცდილობდა.

— ბოდიში... — მიმოიხედა და უხერხულად გაიღიმა. — რომ შეატყო გაცივრებული შემოსცქეროდნენ. შეჩერდა. — ბოდიში. ბოდიში. იქნებ შემეშალა... ბოდიში... მაპატიეთ. — ხელში შერჩენილი მოსაწვევი ბარათი შეატრიალ-შემოატრიალა.

— ნერო თავაძე. — გადაულაპარაკეს ერთმანეთს ქალებმა.

— მობრძანდით! — წამოდგა და მიეგება ელიკო. — ჩვენი ყოფილი თანაკლასელებია.

— თანაკლასელებია?! — გაღმიჭა თავაძე. — მაპატიეთ. — ყოფილი მასწავლებელი იცნო და მასთან მივიდა. — მაპატიე, პატივცემულო მასწავლებელო... მომიწვიეს და...

— მერე, რატომ დაიგვიანე, შეილო? ამხანაგები ალოდინე. შენ რომ ასეთი მოსწავლე არ ყოფილხარ?

— ბოდიში, მაპატიე, პატივცემულო მასწავლებელო. — ალუღლუღდა ნერო. — დამნაშავე ვარ. უღისციპლინო გამოვდექი... დიახ, ხულიგანი და

ლოთი... აი თქვენი ნერო თავაძე. — თვალეზში მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა.

— ნერო, მომიხლოვდი! — ბრძანების კილოთი უთხრა ნატომ ნამოწაფარს. და როცა თავდახრილი თავაძე მასთან მივიდა, მოხუცმა მაჯაზე მოაქო ხელი და თვალეზში ჩახედა. — აბა, მომიყევი შენი ამბავი! სად დადიხარ, რას აკეთებ?

თავაძემ უფრო საბრალოდ ამოიოხრა.

— მაპატიე, პატივცემულო მასწავლებლო. — დამნაშავე მოსწავლის ხმით დაიწყო მან. — ჩემი პასუხით თქვენ მუდამ კმაყოფილი რჩებოდით. ფრიადებს მიწერდით... მაგრამ ახლა კი... სად დავდივარ? რას ვაკეთებ? როგორ მოღვაწეობას ვეწევი? ვაი, რომ ახლა ვერ გაგახარებთ ჩემი პასუხით... — ამოიგმინა და მაგიდის ირგვლივ მსხდომთ გადახედა. — ალბათ, ჩვენი ბიჭები... ჩვენი გოგონები... მე მათ ვერ გიცნობ. ჩემი ნაცნობობა ვის რად უნდა. — კუთხეში მიდგმულ სავარძელთან ბარბაცით მივიდა, მოწყვეტით დაეშვა, ხელები სახეზე აიფარა და აქვითინდა.

თავაძის საქციელმა ყველაზე იმოქმედა. ვინ იფიქრებდა, ერთ დროს ისე მხიარული, ბეჯითი და სანიმუშო მოსწავლე თუ ასე შეიცვლებოდა, გალოთდებოდა და დაეცემოდა.

— არა გრცხვენია, ბიჭო? — ყველაზე უწინ რახმაძე მივიდა ყოფილ ამხანაგთან და თავზე ხელი დაადო. — აბა შემომხედე! აღეჭი, ამხანაგებს გამოეცნაურე!

ნერომ ძლივს ასწია ბოლმითა და ალკოპოლით დამძიმებული თავი და სანდროს შეხედა.

— ვისთვის რა საჭირო და გამოსაცნობი ვარ?! — ჩაილაპარაკა მან. წამოდგა, დაჭმუჭნილი ძველი ქუდი, ხელში რომ შემორჩენოდა, იატაკზე დაადო და ფეხი დაადგა. — აი, ასეთი ვარ მე ახლა, ასეთი...

— ჯლუნია! — ახლა პოლკოვნიკი მიიჭრა თავაძესთან. ორივე ხელში მოიმწყვდია და მაგრად შეანჯღრია. — ასე რამ შეგცვალა, ბიჭო?!

— ნერო, რა გემართება?!

— ამას მოველოდით შენგან?!

და თავაძის ირგვლივ ნელ-ნელა მთელი დარბაზი დადგა.

ნერო თითქმის მოაფხიზლა ამხანაგების შემოძახებამ. თავი მალა ასწია და ნალვლიანად ამოილაპარაკა:

— მაპატიეთ, თქვენ რომ მოელოდით, ისეთი ვერ გამოვდექი. ერთი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმით აცდი გზას და უფსკრულში გადავეშვი... ახლა?! ახლა ბნელ ლანდებს დავდე. ალბათ, ჭკუიდან შევიშლებოდი, არაყიდა ღვინო რომ არ მშველოდეს... შენ სანდრო უნდა იყო... თვალეზში გიცანი. სასახელო კაცი დადექი, საბრალო დედაშენი, ალბათ, ბედნიერად თვლის თავს. აღარ უჩივის სიღარიბესა და უქონლობას... რამდენჯერ მიფიქრია, სანდროსთან მივალ, გამოვეცნობი, გავაცნობ ჩემს მდგომარეობას, იქნებ ხელი მომაშველოს, წამომაყენოს, გზაზე დამაყენოს-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე. ასე დაცემული და შერცხენილი როგორ გჩვენებოდი?! ყოფილ ამხანაგებთან შეხვედრასაც გავუბოდი... აქ ღვინომ მომიყვანა, ალკოპოლის შხამმა გამაბნევეს ეს ძნელი საქმე... ახლა თქვენ იცით, როგორ განაჩენს გამომიტანო...

აჰ, ქაქანაც აქ ყოფილა... ბუთხუზაც, ანცაც... თითქმის ყველას ვცნობ... გენაცვალეთ, ბიჭებო... — და ქვითინმა კვლავ დაუბა ენა.

რაზმაძე ძალიან დაინტერესდა ყოფილი თანაკლასელის მდგომარეობით. თავაძეს არაფერი დაუფარავს.

დედ-მამა მოულოდნელად დაეხოცა და ინსტიტუტში სწავლის გავრძელება ვერ შეძლო. შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა და დაცოლშვილდა კიდევ. სამამულო ომი რომ დაიწყო, ორი შვილი ჰყავდა: ისინი ცოლს დაუტოვა საპატრონოდ და თვითონ ფრონტზე წავიდა. იბრძოდა ომის დამთავრებამდე. ბევრი ჭრილობა მიიღო. ბევრჯერაც მადლობა, ჯილდო და ორდენი. შინ დაბრუნებულს ორიდან ერთი შვილი დახვდა ცოცხალი. მწვავედ განიცადა ეს დანაკლისი, მაგრამ რაღა გზა ჰქონდა, მდგომარეობას უნდა შერიგებოდა. გაიჩინა პროფესია, შოფრობა შეისწავლა და მუშაობა დაიწყო.

ეს პროფესია მეტად თავისებურია. თუ ადამიანი განსაკუთრებული სიმკაცრისა და ნიბისყოთის არ არის, ადვილად შეიძლება აცოდეს გზას. მძაბიჭობა, პურ-ღვინო, დარდიმანდობა და ხათრი და პატივისცემა... ერთი სიტყვით, ბევრი რამ ისეთი ხვდება ამ პროფესიის ადამიანს, რომ ძნელია გვერდის ავლა. მაგრამ თავაძემ შეინარჩუნა სიმტკიცე და ბევრ თავის ამხანაგთან ერთად მოწინავე მძღოლის სახელი დაიმსახურა. დიდხანს ერთ მშენებლობაზე მუშაობდა. მისი დამთავრების შემდეგ, შექმნილი და დაჯილდოებული, სხვა მშენებლობაზე გადაიყვანეს. იქაც პირველთა შორის იდგა... მაგრამ...

ნეროს ბოლმა აწვება და ლელავს.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, ბიჭო! — ტკბილად ეუბნება რაზმაძე და თანაგრძნობით მისჩერებია.

— ათიილი სათქმელია, დამშვიდდი. — ჩაილაპარაკა თავაძემ. — ცოლ-შვილიც ასე მეუბნება... ამხანაგებიც ასე მირჩევენ. რაც იყო, ყველაფერი დავიწყებას მიეცით. კარგი რჩევაა. განა არ უნდა ნეროს დამშვიდდეს, დავიწყებას მისცეს ყველაფერი და ახალი ცხოვრება დაიწყოს? რასაკვირველია, უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს... ისეთი არაფერ გამოუჩნდა, ერთბაშად რომ დასტაცოს ხელი, ამოზიდოს და წუმბელდან ამოათრიოს. თავისით კი ვერ ახერხებს ამოსვლას... პირიქით, თანდათან უფრო და უფრო იფლობა და იძირება.

— იჯექი? — შეეკითხა სანდრო, როცა წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ორი წელი მქონდა მისჯილი.

— მერე?

— თოთხმეტ თვეში მოვიხადე სასჯელი... სასჯელი... სასჯელი... — ეს სიტყვა რამდენჯერმე გაიმეორა და კბილები გაახრჭიალა.

— არ მეტყვი, რა დანაშაული ჩაიდინე? — შეაპარა რაზმაძემ.

თავაძე ჩაფიქრდა. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და შემდეგ უბასუხა.

— რა დავაშავე? ჰმ. რომ გითხრა, უდანაშაულოდ დამსაჯეს-მეთქი, გეწყინება. ჩვენს ქვეყანაში უდანაშაულოდ ადამიანს არ სჯიანო, იტყვი. ვერც გაგიმტყუნებ. ასეც უნდა თქვა.

— რატომ ფიქრობ ეგრე? — შეაჩერა სანდრომ. — პირიქით, ჩვენ არა-ერთი უდანაშაულოდ მსჯავრდებული მოქალაქე გავგითავისუფლებია, ბრალდება მოგვისხნია და თავის უფლებებში აღგვიდგენია. შეიძლება შეცდეს არა მარტო უბრალო ადამიანი, არამედ პროკურორი, გამომძიებელი და მოსამარ-

თლევ; მაგრამ არის ინსტანციები, სადაც შეცდომას ასწორებენ და სიმართლეს აღადგენენ. გეცნობებია ჩემთვის, მოგეწერა, შემოგეთვალა...

— განა არ განვიზრახე? მაგრამ... რა უფლება მქონდა? ჩვენ ხომ ერთად ვიზრდებოდით წლების მანძილზე? ერთი მიზნითა და მისწრაფებით ესუღდგმულობდით. შენ წინ წაიწიე. მოწინავე ადამიანების რიგებში ჩადექი... მე კი... ხულიგნობისათვის დაპატიმრებული და შერცხვენილი... გეამებოდა ყოფილი თანაკლასელისაგან ასეთი ბარათის მიღება? ხომ იტყოდი, მე კაცი მეგონა, ეს ხულიგანი ყოფილა და შევლას მთხოვსო? არა, ვარჩიე ისევ უსიტყვოდ მიმეღო სასჯელი და...

...— შემდეგ ვერ ჩავდექი კალაპოტში. — განაგრძო ნერომ. — პასუხისგებაში ნამყოფი ხარ, მანქანას ვერ ჩავაბარებთ, მძღოლად ვერ გავიშვებთ... სხვას რომ თავი დავანებოთ, ცოლ-შვილის მრცხვენია. ქალ-ვაჟის პატრონი ვარ. სწავლობენ, ფრიადოსნები არიან, მაგრამ მე?!

— შენ მაინც არ მითხარი რა დანაშაულისათვის მიგცეს სამართალში. რა ჩადინე, რა დააშავე? — არ მოეშვა რაზმამდე.

— რა დავაშავე?

ერთ დღეს სამუშაოდან დაბრუნებულმა ამხანაგთან ერთად მახლობელ სასადილოში ისადილა. რა დასამალია, ცოტაოდენი დალიეს კიდეც. ნეროს ამხანაგს უცაბედად სკამი დაუცურდა, იატაკზე დაეცა, სკამს ფეხი მოტყდა. სასადილოს გამგემ ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. უარი რომ მიიღო, მილიციელს გამოუძახა. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ნეროს ამხანაგის საქციელი ხულიგნობად ჩათვალა და უბრძანა უბანში გაჰყოლოდა. ნერო ამხანაგს გამოესარჩლა. მილიციელს ეს არ მოეწონა და ამხანაგთან ერთად ისიც უბანში წაიყვანა.

ამხანაგის დაცვაზე იქაც არ აუღია ხელი თავადეს. შეიძლება ოდნავ გადააჭარბა კიდეც. მილიციის ლეიტენანტმა, რომელმაც ამ საქმის გამოკვლევას მოჰკიდა ხელი, ზომავზე მეტი სიმკაცრე გამოიჩინა. ისეთი სიტყვები აკადრა თავადეს, რომ უკანასკნელმა ვერ მოითმინა, წონასწორობა დაჰკარგა და მაგიდას ხელი დაჰკრა.

ეს საქმარისი გახდა, რომ თავადე ხულიგნად გამოეცხადებიათ. სასწრაფოდ ექიმს გამოუძახეს, დადასტურეს, რომ თავადე ნასვამია. და რადგან ნასვამია — მთვრალია, რადგან მთვრალია — ხულიგანია, და რადგან ხულიგანია — ხელისუფლების წარმომადგენელს შეურაცხყოფა მიაყენა და რადგან შეურაცხყოფა მიაყენა, ოქმი უნდა დაიწეროს, საქმე შედგეს, მუხლები მოიძებნოს და სასამართლოს გადაეცეს.

სასამართლომ მიიღო მხედველობაში, რომ თავადე სამამულო ომის მონაწილეა, რომ ხულიგნობა პირველად ჩადინა, მაგრამ, რადგან ხულიგნობა ძველი დროის გადმონაშთია და საჭიროა აღმოიფხვრას, ამისათვის თავადემ ორი წელი ციხეში უნდა გაატაროს, რათა საბოლოოდ გამოსწორდეს... მერე? გამოსწორდა ნერო თავადე პატიმრობაში?

— ციხე გარედან უფრო საშინელია. — განაგრძო თავადემ. — ყველა გონიერი ადამიანი ცდილობს არ მოხვდეს შიგ. ეშინიათ, ეკრძალებიან... ხოლო თუ ამ შიშს ვინმეს იძულებით ჩაუქრობთ, ამით ერთ ზედმეტ ადამიანს დავამახინჯებთ.

ნერომ ვის უნდა ასწავლოს, მაგრამ ხელისუფლების პირველი საფეხურის



ზოგი წარმომადგენელი უბრალო თავმოყვარეობის გამო საბჭოთა კანონს ამ-
ხინჯებს. განა თავაძემ არ იცის, რა საპატიო მოვალეობას ასრულებს მილიცი-
რამდენი საგმირო საქმე გაუკეთებია მას? მაგრამ ნათქვამია, ერთი წვეთი კუ-
პრი ერთ კათხა თაფლს გააფუჭებსო. განა ნერო თავაძე ამ დღეში იქნებოდა,
მილიციის იმ ლეიტენანტს გულისხმიერება რომ გამოეჩინა? არ შეურაცხყო
მისი ღირსება? რახან მძღოლია, მანქანაზე ზის, მოხალტურეა, ლოთია, ზული-
განია, მოჩხუბარია... განა ნერომ დაიმსახურა ასეთი შეურაცხყოფა? გა-
ნა ცოტანი არიან ისეთი მძღოლები, რომლებიც ხალხის სიყვარულსა და პა-
ტივისცემას იმსახურებენ? განა ჩვენს მშენებლობას ცოტა ოფლი შეაზარჯეს
ჩვენმა მძღოლებმა? ნუთუ ერთი ჯოხით უნდა გაირეკოს მტყუანი და მართა-
ლი?

— ჩვენთან გაზრდილი ამხანაგი ხარ, გიცნობ და მიცნობ. იცი ჩემი
სიაყვარგე. ამიტომ გიბედავ ყველაფერს ასე აშკარად... ალბათ, შენ სულ სხვა
აზრი შეგექმნა ჩემზე. წამხდარა, დაცემულა, გახულიგნებულა, გალოთებუ-
ლაო... მართალია, წამხდარი, დაცემული, გალოთებული, საზოგადოებისაგან
გამოთიშული ვარ, მაგრამ, გახსოვს პიონერთა რაზმში შესვლისას რა შევფი-
ცეთ წითელ ყელსახვევს? ერთმანეთს დავეხმაროთ, ჩამორჩენილი წამოვწი-
ოთ, ცუდი საქციელის ამხანაგი გამოვასწოროთ?! მიპასუხე, აქვს თუ არა ამ
ფიცს ამჟამად ძალა? — პირდაპირ გაუსწორა თვალები რაზმამდეს ყოფილმა
თანაკლასელმა.

— უსათუოდ აქვს. — მიუგო სანდრომ.

— ჰოდა, მე ამჟამად ჩამორჩენილი ვარ, შერცხვენილი, დაცემული, ლაფ-
ში ამოსვრილი. მსურს წამოვდგე, წელში გავსწორდე, სწორ გზას დავადგე...
ლოთები ღვინითა და არაყით სავსე სასმისებს მაწვდიან. მთხოვენ შევსვა, მა-
თი სურვილი ავასრულო, მათი ამქარი და მეგობარი გავხდე. თქვენ, ჩემმა ყო-
ფილმა ამხანაგებმა, სასმისის ნაცვლად ხელი გამომიწოდეთ, მომეშველეთ,
ამომიყვანეთ წუმპედან... — და ნერომ ცრემლი მოიწმინდა.

— შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას. — მტკიცედ უთხრა სანდრომ. —
აქედან პირდაპირ შენსას მოვდივარ. ნუ გეშინია, ჩვენ ადამიანს არ დავლუ-
პავთ. — ხელი მოჰკიდა, ნატოსთან მიიყვანა. — პატივცემულო მასწავლებლო,
ძვირფასო ამხანაგებო, ამხანაგი თავაძე მე მომამაგრეთ, დავეხმარები, ყველა
საგანში მოვამზადებ და გამოვასწორებ. მენდეთ ამაში.

— გენდობით! — და სახლის ჭერი ტაშის გრიალმა ასწია.

— მე თქვენი მჯერა, შვილებო, — დინჯად წამოდგა ნატო და იქ მყოფთ
მიმართა. — თქვენს სიახლოვეს მრავალჯერ სიამით აუღელვებია ეს ჩემი
გული, თქვენს წარმატებებს ბევრი სიხარული მოუგვრია ჩემთვის, მაგრამ ამო-
დენა აღტაცება და სიხარული არასოდეს არ განმიცდია. ვმადლობ განგებას,
ასეთი ადამიანების აღზრდა რომ მარგუნა... — ცოტა შეისვენა, სიხარულის
ცრემლი მოიწმინდა და განაგრძო: — მრავალ ფრიალს შორის ზოგჯერ დაბა-
ლი ნიშანიც დამიწვრია თქვენთვის, მაგრამ დღეს ვასწორებ და ყველას საე-
რთო ნიშანს ფრიალს გიწვრთ.

მოხუცმა ჩამოუარა და სათითოდ ყველა გადაკოცნა.



პარანე ჩუჩუა

პარანე ტყეში

ჩუმი ოცნებით ხო ში-შინის კარავთან გავჩნდი,
ტყის მყუდრო ტევრში აუვია თავისი ბინა.
სამფეხა სკამზე მაგიდასთან ზის ის უბრალოდ,
ჩაის ფინჯანი ლოტოსივით ლივლივებს წინა.
სამშობლო რუკას გადახედავს და წერს ბრძანებას,
მხედარს მარჯვენით შეეხება როგორც მშობელი:
— მონობას ებრძვი, გასწი, შვილო, იარე მედგრად,
იკოდი, მტერთან უნდა ვიყოთ ჩვენც ულმობელი.
წამოდგება და ტყის სიმწვანეს გახედავს თვალით,
პიონერებთან მიდის შემდეგ, გული მშვიდდება.
თვითონ უცოლოდ და უშვილოდ გათეთრებული
ეალერსება ბავშვებს ტკბილად და ილიმება.

დიღა ცისკარზე

ელვარე მზის სხივი
წვეთივით დამეცა.
თვლები სივრცეში
ზეცისკენ გამეჭეცა.
რა მწვანე მთებია,
წარმტაცი, დიადი!
თვალს ველარ უსწორებს
სინათლეს წყვილიადი.
მთის წყარო ჩუხჩუხებს,
დაფრინავს მზეწვია!
მზე თეთრად ქათქათებს,
ზაფხული გვეწვია.

ბაღები ზღვასავით
დეღავს და შრიალებს,
ფოთლებზე ცვარ-ნაში
კამკამებს, ციალებს.
გულს შვება ახარებს,
სიკვდილი წბილდება!
სიცოცხლე იმარჯვებს,
ცხოვრება ბრწყინდება.
ზღვა მკერდით ეგება
სხივების ისარზე
და ტყდება ისრები
მის ბროლის ფიქალზე!



ნესვორ მადეონია

მ., ნეტავ ლექსიც...

მდინარეა თუ ცოცხალი ქუჩა!
ყვავილებს ფცქვნიან,
ყვავილებს ცვრიანს
აფრქვევენ გზაში.

უძრავად ვწევარ და თვითონ მიცვირს:
რამ გამალურჯა,
რამ დამამუნჯა,
რამ ჩამაყუჩა!

ან ბეთჰოვენის რად ტირის მარში —
ასე უსიტყვო და ენამქვერი!
ან ვინ კისკისებს ამ გლოვის ხმაში!
გოგო და ბიჭი ანცია ბევრი.
ჩემი ხნისანი მოდიან ღინჯად,
ჯოხზე დაბჯენით:
მათიც ახლოა რიგი და ჯერი...

გოგო და ბიჭი ანცია ბევრი:
აი, გოგონას გაუსწრო ბიჭმა,
გაუღლიმა და:
— გზა მოგიტერი!

გოგო და ბიჭი ანცია ბევრი.
გამოსათხოვარს მუსიკა უკრავს,
ბორცვი წამოდგა და მოიქუფრა.

ცივად იცინის სამარის მიწა...
გოგო და ბიჭი ანცია ბევრი.
მაგრამ სულ მალე ხმაური მიწყდა...
ო, ნეტავ ლექსიც გაბრუნდეს უკან,
როგორც სხვა ყველა გამცილებელი!

ბარათაული

მთვარე ლაქვარდში ისე გაგორდა,
თიტქოს პერანგამ გაპკრა თავური.
მთებს შეესია ათასი ოდა —
ჩვენი სოფელი ბარათაული.

კლუბში დაიძრა მწყობრი სიმღერა,
ხევიდან მთისკენ აიაღმართა,
ქალიშვილების ცქრიალა მზერამ
მთელი მიდამო გადაანათა.

ოი, ამ სოფლის შვებავ და ლხინო,
ყანავ, ბაღო და ჩხავერის ღვინოვ,
მწვანე სერების ფუნჩულა ნისლო,
ღიმილით სავსე დიასახლისო,

კაკლის და ნაძვის ტოტო და ჩრდილო,
ტარიელაძის ცამეტო შვილო,
მთებში მოსულო მზიანო დარო,
გაცოცხლებულო ვაზო და ზეარო,

ქალო და ვაჟო ტკბილმოუბარო,
ხალხო სვიანო და წელმაგარო,
თოფჩიშვილების კამკამა წყაროვ...
ოი, სოფელო დაუვიწყარო!



ამიკან შეიკაშიძე

„კატარა შეცდომა“

სოფლის შუაგულში, მრისხანე ნაპრალთან, იმ კუთხეში ყველასათვის ცნობილი რეკებ-ალას კარგა მოზრდილი ქვის სახლი იდგა.

უკვე ორ თვეზე მეტი იყო, რაც რეკებ-ალა ართვინსა და არდაგანს წავიდა სავაჭროდ და უმეთაუროდ დარჩენილ ოჯახში მოწყენილობა სუფევდა.

დროგამოშვებით, ისიც მხოლოდ ჯუმა დღეს, რეკებ-ალას მეუღლეს მერიემ ხანუმს მეზობელი ქალები აკითხავდნენ, თავიანთ გასაჭირსა და სადმე ყურმოკრულ ახალ „ხეხერს“ უამბობდნენ, შენდევ ყავას შეეჭეოდნენ, მერე კი ყავის ნალექზე მარჩიელობდნენ, უფრო ხშირად იმის შესახებ, თუ ვინ იქნებოდა რეკებ-ალას ქალიშვილის ნიგარის საქმრო: კარგი თუ გონჯი, მდიდარი თუ ღარიბი. მზის ჩასვლის წინ ისევ დაიშლებოდნენ და ზამთრის გრიელ ღამეში ნიგარს დიდხანს არ ეძინა, სულ მუდამ თავის საქმროზე ფიქრობდა, საქმროდ კი ჯემალ ირემაძეზე უკეთესი არავინ ეგულებოდა ქვეყნად.

ნიგარს იმხანად თვრამეტი წელი შეუსრულდა და აღარ შეეძლო ხშირად და თამაზად შეხვედროდა ჯემალს, ოცდახუთი წლის ჭაბუკსა და მთელ იმ კუთხეში ყველაზე სასურველ სასიძოს. ჯემალი ცდილობდა შეხვედროდა ნიგარს, მაგრამ ეს სურვილი მიუწვდომელი იყო... მხოლოდ ამ ორი კვირის წინ გაუღიმა ბედმა და როგორც იქნა დაიმატოხელა სატრფო. დაიმატოხელა და თავისი გულის ვარამიც, გადმოთულაგა, საწადელს კი მაინც ვერ მიაღწია... ბოლომდე ვერ გაიგო საყვარელი ქალიშვილის სურვილი: ჰოს ამბობდა თუ არას, უფრო კი, როგორც ჯემალმა შეატყო, ნიგარს რაღაც ჯავრი აწუხებდა და ვერ მიუხვდა, რა იყო ამის მიზეზი. ვერ მიუხვდა იმიტომ, რომ დრო აღარ ეყოთ, ხოლო დრო იმის გამო არ ეყოთ, რომ...

ეს ამბავი ასე მოხდა: უკვე დღეს ჯამეს მახლობლად ჯემალმა ქალებს შორის მერიემ ხანუმი და ნიგარი ადვილად გამოიცნო... მათ სოფელში ატლასის ჩადრი მხოლოდ მერიემ ხანუმსა და ნიგარს ეცვათ, სტამბოლური პირბადე კი მარტო ნიგარს ჰქონდა. თუმცა ნიგარის გამოცნობა უამისოდაც ადვილი იყო — ასეთი მოხდენილი სიარული მხოლოდ ნიგარმა იცოდა, ასეთი

კობტა ტანი მხოლოდ ნიგარს ჰქონდა და ასეთი კისკისა სიცილი მხოლოდ ნიგარმა იცოდა.

შინ მიმავალ ქალებს ჯემალი შეუმჩნევლად აედევნა. წისქვილს რომ მიუახლოვდნენ, მერიმ ხანუმმა უკვე ბოგაზე გასულ ნიგარს მიამხა, ცოტა ხნით ალა-ხანუმთან გადავალ და ჩემს მოსვლამდე სადილი მოამზადეო. ჯემალსაც ეს უნდოდა. ბოგას გვერდი აუხვია, წისქვილის ახლოს, მდინარის ვეება ლოდებზე ელვის სისწრაფით გადაირბინა და სულ რაღაც ორსამ წუთში რეჯებ-ალას სახლის ლობესთან გაჩნდა. მაგრამ ეზოში, მით უმეტეს სახლში შესვლა მაინც ვერ გაბედა, ვერ გაბედა იმიტომ, რომ იქ ნიგარის გარდა თოფალ ხუსეინიც ეგულებოდა. თოფალ ხუსეინს წინათ ხუსეინ-ალას ეძახდნენ და მისი ოჯახი მთელ იმ კუთხეში ერთ-ერთ შექლებულად ითვლებოდა. თუმცა ამ რამდენიმე კვირის წინათ ხუსეინ-ალას სახლ-კარი თურქებმა გადაწვეს და ცოლ-შვილიც დაეღუპა. თვითონ ხუსეინ-ალა ძლივს გადარჩა, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას — სულით დაეცა, ორივე ფეხით სამუდამოდ დაკოჭლდა და მას შემდეგ ზედმეტ სახელად თოფალ ხუსეინი შეარქვეს...

ერთხელ ხუსეინ-ალა ართვინიდან ცხენით მოდიოდა. საზღვრის ახლოს ტყეში შეეფეთა ვიღაც თურქს, რომელიც, ნაღლად ეტყობოდა, მღევრებს ემალებოდა. ძირთლაც, მალე შეიარაღებული თურქი ჩეთნიკები ქლოშინითა და ყვირილით შეეჭრნენ ხუსეინ-ალას. ისინი ორნი იყვნენ და ორივენი ერთად ყვირილით ეკითხებოდნენ ხუსეინ-ალას:

— აქ არავის შეხვედრიხარ?

— ვის კითხულობთ? მე არაფერი ვიცი?! — გაიკვირვა ხუსეინ-ალამ.

— ორმოცი წლის იქნება, თავზე ფესი ახურავს.

— ჩქარა გვითხარი, საით გაიქცა ის არამზადა!

— ფესიანი კი დავინახე, მაგრამ რომ მცოდნოდა არამზადა იყო, დავიქერიდი და...

— საით გაიქცა?

— ჩქარა გვითხარი! — ერთმანეთს არ აცლიდნენ ჩეთნიკები.

— აი იმ ხევისაკენ გარბოდა, იმ კლდეზე თხასავით აცოცდა და ახტა, ალბათ, იმ ციხის ნანგრევებში იმალება.

— ამდენს ვერ მოასწრებდა! — უგუნებოდ ჩაილაპარაკა პირველმა ჩეთნიკმა.

— დავედევნოთ, თორემ სულ დაგვეკარგება. — წამოიძახა მეორე ჩეთნიკმა და ორივე ერთად გაიქცა.

როცა ჩეთნიკები კარგა მანძილით მოშორდნენ და თვალს მიეფარნენ, ხუსეინ-ალამ უკან მოიხედა და დაინახა ბუჩქებიდან გამოსული თურქი.

— კარგი კაცი ყოფილხარ, ალაჰი გადაგიხდის სამაგიეროს! — თქვა და თურქის თვალები, რომლებიც ხუსეინ-ალას შესცქეროდნენ, გულწრფელი მადლობის ნაპერწკლებით აციმციმდნენ. ხუსეინ-ალამ თურქს გულლიად გაუღიმა და ტკბილად მიმართა:

— გატყობ, ცუდი კაცი არ უნდა იყო, რისთვის მოგვედნენ?

თურქს ეამა ხუსეინ-ალას ქება.

— ვერ დაგიმალავ, ფათერაკი ვადამხდა... სტამბოლელი ბეი დავქერი.

— რამ გაიძულა?

— სინდის-ნამუსმა... გიაური და ღორისშვილი მიწოდა მაშინ, როცა ალაპისა და ფეიჰამბერის გულისთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ.

— მაინც რა მოხდა?

— ჩემი სახლ-კარის მიდამოებში რაღაც მადანი აღმოჩნდა... ფული შე-

მომთავაზეს და მითხრეს, აქედან აიყარეო. მე უარი ვუთხარი. მაშინ სტამბოლელმა ბეიმ ყაღთან დამიბარა და იქ ჯერ ტყბილი სიტყვით მაგვრებდა და, როცა არაფერი გამოუვიდა, მერე მუქარაზე გადავიდა და მითხრა, ძალით აგყრით და ფულსაც არ მოგცემთო... შენო არც ყადს. არც ხოჯას, არც მე და, ალბათ, ალაჰსაც პატივს არ სცემო... ნამდვილი გიაური და ღორის შვილი ყოფილხარო. მერე თავის კაცებს უბრძანა, წადით და აპყარეთო. თავში სისხლი ამივარდა, გულზე ბოლმა მომაწვა, ველარ მოვითმინე და ბე-
ზუთით დავჭერი...

— აქეთ საით გარბოდი?

— თვითონაც არ ვიცი.

— რომ დაგიჭირონ?

— ალბათ, სახრჩობელაზე ჩამომკიდებენ... ვინ იცის, ის სტამბოლელი ბეი შეიძლება მოკვდა კიდევ.

ხუსეინ-ალამ ერთხელ კიდევ ახედ-დახედა თურქს, რომელიც ძლიერ მოეწონა და მასპინძლობა შესთავაზა.

— შენისთანა კაცს სახრჩობელაზე რა უნდა, ჩემთან წამოდი. მე შეგიფარავ.

თურქმა შევებით ამოისუნთქა, ხელებით კისერს ისრესდა, თითქოს უკანასკნელ წუთებში მიუსწრეს, სახრჩობელიდან ჩამოხსნეს და სიკვდილს გადარჩინესო.

— რა გქვია? — შეეკითხა ხუსეინ-ალა.

— ესკი მუსტაფას მეძაღნენ...

ამ დროს ხევში მღევარი ჩეთნიკები გამოჩნდნენ. ესკი მუსტაფას სახე მოედრუბლა, მაგრამ ხუსეინ-ალამ უკან შემოიჭინა, ცხენს მათრახი გადაუჭირა და ისე გაეცალა იქაურობას, ჩეთნიკებს არც კი შეუმჩნევიათ.

ორი კვირის შემდეგ სოფელში ხმა გავარდა, სულთნის ჯარები გამოჩნდნენ საზღვართან, ენვერ ფაშას კაცები მთელ აჭარას მოედნენ და თურქების სასარგებლოდ ქადაგებნო. ხუსეინ-ალამაც ნახა ერთი ასეთი კაცი, რომელმაც ჯამესთან თავმოყრილ ხალხს უქადაგებდა, მომავალ ომში აჭარლებს, როგორც მუსლიმანებს, ჯიხადში — საღმრთო ომში მიეღოთ მონაწილეობა და რუსეთის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.

— მუსლიმანებო, — ზრინწიანი ხმით გაიძახოდა მქადაგებელი, — მუჰამედ ფეიჰამბერისა და ჩვენი ხალიფის ღრმში კვლავ უნდა აფრიალდეს გურჯისტანისა და კავკასიის მთებზე. მას ჭეშმარიტ მუსლიმანთა მთელი მილეთი ესალმება და ამასთან ერთად დიდი ხალიფი გიგზავნით თავის ლოცვა-კურობევას და გიწვევთ თვითონ მუჰამედის მიერ მითითებულ ჯიხადში, ყველა ჭეშმარიტი მუსლიმანისათვის სავალდებულო საღმრთო ომში და, ვინც ამ წმიდა საქმისათვის სისხლს დაღვრის, ჯენეთი იქნება მისი ხედარი. რუსეთმა მიიტაცა ფადიშაჰის კუთვნილი თქვენი მიწა-წყალი. ქართველები კი გზაკვალს გიბნევენ... ნათ უნდათ თავიანთ რჯულზე გადავიბირონ... ისინი ისლამის შტრები არიან. ჩვენ ქართველები კი არა, თურქები ვართ და ჩვენ ჩვენივე ხალიფი და ფადიშაჰი გვყავს. მუსლიმანებო! აღსდევით რუსეთის წინააღმდეგ და დაიწყეთ საღმრთო ომი, დაიცავით ყურანი და შარიათი გიაღრების შეურაცხყოფისაგან, შეიარაღდით და განდევნეთ მტერი თქვენი ქვეყნიდან, ჩვენი ხალიფის კანონიერი სამფლობელოდან. ნუ მისცემთ ჩვენს დუშმანს მოძრაობის საშუალებას, გადახლართეთ გზები, დაანგრეთ ტელეფონი, ტელეგრაფი, მოუსხეთ ჩვენს მტერს სურსათ-სანოვაგე და დაეხმარეთ

თქვენთან მოსულ ჩეთნიკებს, შეასრულეთ იმათი მითითებები და თქვენს მათ ჭეუერთდით, ალაჰ აკბარ!

სიტყვის დამთავრებისთანავე თავისი ნათქვამით კმაყოფილმა მქადაგებელმა გადახედა ხალხს, ეგონა მის მოწოდებას აღტაცებით შეხედებოდნენ, მაგრამ ირვლივ ცივი სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ ყველას ყურადღება მიიპყრო ვიღაც ლამაზი შეხედულების ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც წრე გაართვია და მქადაგებელთან მივიდა. ეტყობოდა, იგი იმ სოფლიდან არ იყო, ქალაქელს გავდა, თუმცა სოფელში სწირად უნახავთ, ბევრი იცნობდა კიდევ... ზოგი მათგანი მას ჰაიდარ-ბეგს ეძახდა, ზოგი კი „გურჯი შეითანს“. ბევრს უყვარდა, ზოგს კი ჭირივით სძულდა. ახალგაზრდამ მქადაგებელი თვალთ ასწონ-დასწონა, მერე ზურგი შეაქცია და ხალხს მიმართა:

— ჩემო ძვირფასო ძმებო, ჩემო თანამემამულენო. რაც ჩვენ აქ მოვისმინეთ ამ გადაგვარებულის პირით, ეს ჩვენი ყველაზე დიდი სირცხვილია... ქართველები თქვენი მტრებიან... ჩვენ ვინა ვართ... მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარა ვართ? მაშ, სადაურია ეს ჩვენი ტკბილი ქართული დედაენა, რომელზეც ჩვენი დედები აკვნიდანვე გვზრდიდნენ, სადაურია ჩვენი გვარი და ჩვენი ზნე-ჩვეულებების დიდი ნაწილი, რომელიც ძველთაგანვე შემოგერჩა? რაზე მეტყველებენ თქვენი სოფლის დიდებული ციხის ნანგრევები? მიდით და ნახეთ, თვით მისი ქვანიც კი ღალადებენ, თუ რისთვის იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები და ვინ ვართ თვითონ ჩვენ. ქრისტიანობა საქართველოსა და რუსეთში ბერძნებმა შემოიტანეს, მაგრამ ამით არც ქართველები და არც რუსები ბერძნები არ გამხდარან... და თუ დღეს მუსლიმანები ვართ, რატომ მიაჩნია ამ ვაჟბატონს, რომ თურქებიცა ვართ? რჯული რჯულია და ეროვნება ეროვნება. რჯულით თუ მუსლიმანები ვართ, ეროვნებით ხომ ქართველები ვართ? რჯულით სპარსელები, ავღანელები, არაბები და ბევრი სხვაც მუსლიმანები არიან, მაგრამ თურქები ხომ არ არიან? არაბი არაბულად ლაპარაკობს, სპარსელი სპარსულად და თურქი თურქულად. ჩვენ კი ჩვენს მადლიან ქართულ ენაზე ვლაპარაკობთ. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარელ ქალს, მრავალტანჯულ ქართველ დედას, რომელმაც თავის შვილებს სათუთად შეუნახა მშობლიური ენა და სამასწლიან ქარცეცხლში გამოტარებული შეურყვენელად მოიტანა ჩვენს დღემდე. დღეს კი ეს გაიძვერა ჩვენი ღვიძლი ძმები ქართველების წინააღმდეგ გვისისინებს და რუსეთსაც აუჯანყდითო... თქვენს დედაენას მიაფურთხეთო და თქვენი მიწა-წყალი ფაღმავს მიუგდეთ საჩივანადო. ამ გადაგვარებულს მხოლოდ მასავით მურღლები დაუჯერებენ და გაჰყვებიან მის გზას, რომელიც მათ დაღუპვამდე მიიყვანს. ჩვენ კი მხოლოდ ერთი გზა გვაქვს, ისე როგორც ყველა ქართველს, ვანურჩველად სარწმუნოებისა, გზა ქართველი ხალხის გაერთიანებისა და გზა მომავლისა რუსეთთან ერთად.

— გურჯი შეითანი, გურჯი შეითანი, ნამდვილი გიჟური! — გაისმა კანტი-კუნტი წამოძახილი.

ისინი ყველასათვის ცნობილი პანისლამისტები და პანთურქისტები იყვნენ... მათ ჭირივით სძულდათ ყველაფერი არათურქული, არამუსლიმანური და მზად იყვნენ „გურჯი შეითანი“ კბილებით დაეგლიჯათ, მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, რადგან „გურჯი შეითანის“ სიტყვებმა ხალხში დიდი მოწონება გამოიწვია და ვაი მას, ვინც გურჯობის ქომაგს ხელს ახლებდა.

ფანტიკოსებმა ზუსეინ-ალასაც კი შესთავაზეს მათთან კავშირი, მაგრამ იგი უარზე იყო, მერე მუქარა დაუწყეს და მათგან თავის დასაღწევად თესაგების პატარა რაზმი შეადგინა. ესკი მუსტაფა კარგად ხედავდა თავისი სტუმართმოყვარე მასპინძლის გასაჭირს და ისევ ზუსეინ-ალას დახმარებით სამშობლოში დაბრუნდა, მხოლოდ არა თავის სოფელში, სადაც მას შავი ღლე ელოდა, პირდაპირ დიარბექირისაკენ გასწია შორეულ ნათესავებთან.

სწორედ იმ დღეებში თურქეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია, რუსეთ-გერმანიის ომში გერმანიის მხარეზე გადავიდა და 1914 წლის ნოემბერში თურქთა ჯარები რუსეთის იმპერიის სანჩრეთის საზღვარს მოადგა. კავკასიის ფრონტი ამ დროს ძლიერ სუსტი იყო, რადგან თითქმის მთელი ძალები რუსეთ-გერმანიის ფრონტზე იბრძოდა და თურქებმა ადვილად აიღეს არტანუჯი, ბორჩხა, ართვინი და ბათუმისაკენ მოიწევედნენ. მაგრამ მალე ისინი აჭარის წყალთან შეაჩერეს და თურქთა მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე დაიწყო მოსახლეობის საშინელი აწიოკება. თურქი ხელისუფალნი აჭარლებს იძულებდნენ იარაღი აეღოთ ხელში რუსეთის წინააღმდეგ. ურჩობისათვის სჯიდნენ და მთელი ოჯახებით თურქეთში ასახლებდნენ. ათიათასობით ადამიანი მოაშორეს თავის სამშობლოს მთებსა და ველებს, თავის სახლ-კარს და გაჰყვანეს დიარბექირის, ბურსას, ანგორის და თურქეთის სხვა ვილაეთებში, სადაც იმათი ცოდვით და უმწეო მდგომარეობით ბევრ პატიოსან თურქსაც კი ასწვია გული. ზუსეინ-ალასაც გამოჰკრა კლანჭი ბედის უკუღმართობამ და მის ოჯახსაც მიადგა თურქ ჩეთნიკთა დამსჯელი რაზმი. ზუსეინ-ალა სახლიდან გამოდიოდა, როდესაც მის ეზოში ჩეთნიკები შეიჭრნენ.

— ზუსეინ-ალა შენ ხარ? — უხეშად შეეკითხა რაზმის მეთაური.

— მე ვასლავარა! — მოკლედ და თამაზად მოუჭრა გაკვირვებულმა ზუსეინ-ალამ. მაგრამ იმ წამს მის სახეზე შიშმა გადიარბინა, თვალებში შემფოთება დაეტყო.

— გაძლევთ ნახევარ საათ დროს... ოჯახის წევრებთან ერთად შეაგროვეთ, რაც თან შეგიძლიათ წაიღოთ, და ჰაიდა, ბურსასაკენ.

— რისთვის, რა დავაშავე ასეთი?

ახლა უკვე საკმაოდ აღელვებული ხმით შეეკითხა ზუსეინ-ალა რაზმის უფროსს და თვალებში მიაჩერდა. ჩეთნიკთა რაზმის მეთაურის ყვირილიდან ზუსეინ-ალამ მაინც დაახლოებით გაიგო მისი გაუბედურების მიზეზი... პირველი და მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თურმე ზუსეინ-ალასთან თავს აფარებოდა ვიღაც თურქი ესკი მუსტაფა, რომელიც ფადიშაჰისა და თურქეთის მტერი იყო, მეორე, და არა ნაკლები მიზეზი კი ის იყო, რომ თვითონ ზუსეინ-ალა, როგორც რუსეთის მოსყიდული, თურქეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

— ესკი მუსტაფა ბოროტმოქმედი კი არა, უსამართლოდ დევნილი და პატიოსანი ადამიანი იყო... პატიოსანი კაცი კი, ვინც არ უნდა იყოს იგი, თურქი, რუსი, ურუმი თუ ათასი მთის იქიდან მოსული გადამთიელი, ყველას ერთნაირად პატივს ვცემ, ღოღო უპატიოსნოს საკუთარ ძმასაც არ დავინდობ! — ახლა უკვე თამაზად უპასუხა გულმოსულმა ზუსეინ-ალამ ჩეთნიკების უფროსს და თვალი თვალში გაუყარა.

— შეპკარით, შეპკარით და მათრახებით აუჭრეღეთ ზურგი! — იღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა რაზმის უფროსმა და ის იყო ჩეთნიკებიც გადმოვიდნენ ცხენებიდან, მაგრამ ზუსეინ-ალამ მოასწრო, ელვის სისწრაფით

შევარდა სახლში, კარები გადარაზა, თავის ბერდანას წაავლო ხელი და ფანჯარასთან მიიღრძინა. როგორც კი ჩეთნიკები სახლისაკენ დაიძრნენ, ფანჯარიდან ბერდანის სროლა მოისმა და თურქი ჩეთნიკი მოწყვეტით დაეცა ხუსეინ-ალას ეზოში. რაზმის უფროსი მიწაზე გაწვა, დანარჩენებმა უფროსს მიბაძეს. სამოღდე წუთში, ათიოდე ჩეთნიკის ნასროლმა ასამდე ტყვიამ საცერივით დაცხრილა კედელი ფანჯარასთან, საიდანაც ხუსეინ-ალა ისროდა... იგი უკვე მკვდარი ეგონათ და ჩეთნიკები თამამად წამოდგნენ, მაგრამ ახლა მეორე ფანჯრიდან მოისმა ბერდანის სროლა და წინანდელ ჩეთნიკს კიდევ ერთი მიემატა. ჩეთნიკები ისევ გაერთხნენ მიწაზე და ახლა მეორე ფანჯარას აუტეხეს სროლა... რაზმის უფროსის განკარგულებით, ორი ჩეთნიკი გაფოფხდა თივისა და ჩალის ზვინებისაკენ, სახლს უკანიდან შემოუარა; თივა და ჩალა შემოაყარა, ცეცხლი წაუკიდა და უკანვე გამოფოფხდა. ცეცხლი მალე სახლსაც მოეკიდა... რამდენიმე წუთში ვეებერთელა ალმა დაფარა სახლი და კვამლმა ხუსეინ-ალას თვალები აუწვა, უკან მოიხედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია... მთელ ოთახში კვამლი და ცეცხლის ენები ბობოქრობდა.

— სადა ხართ, აიშე, შეილებო! — შემზარავი ხმით იღრიალა ხუსეინ-ალამ. პასუხის ნაცვლად მეორე ოთახიდან მომაკვდავთა კვნესა მოისმა. მაშინ ოთახისაკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. კარებს ვერ მიაგნო. უცბად ნახევრად დამწვარი და ცეცხლის ალში გახვეული კარი ხუსეინ-ალას ფეხებთან დაეცა, მარცხენა ფეხის თითები დაუტევეკა და შარვალზე ცეცხლი წაუკიდა. უფროსი შეილი, ათი წლის რეჩები აღმოდებული გადახტა ფანჯრიდან, მაგრამ ჩეთნიკთა ტყვიებით დაცხრილული იქვე დაეცა. მეორე ოთახში აიშე პატარა ქალიშვილთან ერთად ცეცხლმოდებულ იატაკზე ეგდო, ზედ ჰერიდან ჩამოცვენილი გავარგარებული ფიცრები ეყარათ.

— ვაიმე! — ღრიალებდა ხუსეინ-ალა და სახე შემოილივით დაღრეჯოდა. ცეცხლის წრე მასაც მიუახლოვდა. ხუსეინ-ალას სული ქსუთებოდა, კვამლით გავსებული თვალებით ვერაფერს ხედავდა, მაგრამ არ დაიბნა, ავუზღუზებული ცეცხლი სწრაფად გადაჭრა და ტანსაცმელშემომწვარი სახლის უკან, ეზოში აღმოჩნდა. ჩეთნიკებმა მაინც შეამჩნიეს, მაგრამ სანამ სროლას აუტეხდნენ, ხუსეინ-ალამ მოასწრო, ღობეს გადაახტა და ხევისაკენ გაიქცა. ნაპრალოთან შეჩერდა, ქვევით გიჟყავლა მდინარე მიჰქუხდა. გაისმა სროლა და ხუსეინ-ალას მარჯვენა ფეხის წვივი აეწვა, თავი ვერ შეიმაგრა და ნაპრალში გადაეშვა.

ჩეთნიკებმა ხუსეინ-ალას სახლ-კართან ერთად კიდევ რამდენიმე სახლი გადაწვეს, ათიოდე აჭარელს ხელ-ფეხი შეუბორკეს, ართვინისაკენ გაგზავნეს და თვითონაც იქით გასწიეს.

მეორე დღეს, აღრე დილით სოფლებმა მდინარის პირას ცოცხალ-მკვდარი ხუსეინ-ალა იპოვეს, მას ორივე ფეხი დასახიჩრებოდა, ძლივსღა სუნთქავდა და მნახველებს ჰკუთხე შერყეული მოეჩვენათ.

უსახლკაროდ დარჩენილი, სულით დაცემული და დასახიჩრებული, იგი როგორც ახლო ნათესავი, რეჩებ-ალამ შეიხიზნა. ამის შემდეგ თოფალ ხუსეინი რეჩებ-ალას ოჯახს შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა... მაგრამ საკუთარი სახლ-კარის კვლავ აშენების ფიქრი მუდამ თან სდევდა და საამისოდ ფულსაც აგროვებდა... ორი მოზრდილი თიხის ქოთანნი უკვე პირამდე აგებული ჰქონდა სხვადასხვა ზომის რკინისა და სპილენძის ბრჭყვიალა ფოლაქებით, რომლებიც თოფალ ხუსეინს ოქროს ლირებად ეჩვენებოდა...



... როგორც კი ეზოში მოფუსფუსე თოვალ ხუსეინი დაინახა, ჯემალმა მაშინვე დაუძახა, ფეხის ტკივილი მოიმიზეზა, თოვალ ხუსეინს ვერცხლისა და ზიანი აჩუქა და უთხრა: „ხედავ რა დღეში ვარ? სიარული აღარ შემიძლია, ჩემსას ადი და ნენეს უთხარი, ცხენი გამოგატანოს“.

თოვალ ხუსეინმა იმშინვე ჯემალის სახლისაკენ გასწია, თან გზაში ვერცხლის აბაზიანს სიხარულით ათამაშებდა...

როგორც კი ხუსეინ-ალა იქაურობას გასცილდა, ჯემალი თვალის დახამხამებაში რეკებ-აღას სახლის კარებთან გაჩნდა, კარი ფრთხილად შეაღო, ფეხბერეფით შევიდა და იქვე შეეფეთა ნიგარს, რომელიც ამ მოულოდნელი შეხვედრით ისე დაიბნა, პირსახის დაფარვაც ვეღარ მოასწრო და სახტად დარჩენილი, შიშნარევი და ცნობისმოყვარე თვალეზით უცქერდა ჯემალს.

— ნიგარი... ნიგარი...

ეტყობოდა სათქმელი ბევრი ჰქონდა ჯემალს, მაგრამ მეტი ვეღარ მოახერხა, თვითონაც დაიბნა და მკილი გულთან დაედო, გული კი ახლად დაკლული ქათამივით უფართხალებდა. სიჩუმე ნიგარმა დაარღვია და წყრომით და გაკვირვებით მიმართა ჯემალს.

— როგორ გაბედე, ჯემალ? ახლაც წადი, თორემ თოვალ ხუსეინი დაგვინახავს, ანდა ნენესთან ერთად ვინმე მოვა და დავიღუპებით.

ჯემალი გონს მოვიდა, ნებისყოფაც დაუბრუნდა და გულის წადილი ახლა უკვე თამამად გადმოაფრქვია.

— რატომ უნდა დაიღუპო... შენი გულისთვის მთელ დუნიას გადავატარილებ. იცოდე, შენს თავს ვერავინ წამართმევს...

ნიგარმა თვალბეზე ხელები მიიფარა, სახე მიიბრუნა და გასაქცევად მოემზადა, მაგრამ გონებას გულმა სძლია და გაქცევა ვეღარ მოახერხა.

— წუხელ სიზმარში ვნახე, ვიღაც გადამითეღს გაატანეს შენი თავი...

— ეს არ მოხდება, არასოდეს არ მოხდება, ჯემალ!

— არც მე წამომყვები?

— რას ამბობ, ჯემალ?!

— ჰო, გეკითხები, წამომყვები თუ არა?

— მე რატომ მეკითხები? ჩემი ნება ხომ არ არის.

ამ დროს ჯემალმა ფანჯრიდან თვალი მოკრა გაღმიდან მომავალ მერიემ ხანუმს, რომელსაც ვიღაც ორი ქალი მოყვებოდა თან. დედა ნიგარმაც დაინახა და საშინლად შეწუხდა. შეწუხდა და ისე აწრიალდა, რომ ჯემალს ძლიერ შეეცოდა, მაგრამ წასვლას მაინც არ აპირებდა.

— ნიგარი, ოღონდ შენ მომეცი დასტური და მერე მე ვიცი.

— წადი, წადი, რატომ არ გეცოდები? წადი, ჯემალ, არ დამღუპო!

ქალები უკვე ეზოს უახლოვდებოდნენ, დრო ძლიერ ცოტა დარჩა. ხიფათს რომ არ გადაყროდა, ჯემალი სახლის უკანა კარებიდან გავიდა და გაუჩინარდა.

* * *

სოფელში ხმა გავარდა, თურქები მოდიანო... და მართლაც ერთ დღეს ადრე დილით საზღვრის მხრიდან სოფელს ათამდე კბილებამდე შეიარაღებული ასკერი მოადგა ონბაშის მეთაურობით. მთელი სოფელი ღუმით შეხვდა მათ გამოჩენას. მხოლოდ ხოჯა ისკენდერ ფეფენდი, მოლა იუსუფი და სულეიმან-ფეფენდი ვერ ფარავდნენ სიხარულს. ამ ამბავმა განსაკუთრებით სულეიმან-ფეფენდი აღაფრთოვანა. იგი სულ ერთი წლის წინ გამოჩნ-

და ზემოაქარაში და პანისლამისტურ პროპაგანდას ეწეოდა. სოფელში თურქ-თა ათეულის დაბინავება სულეიმან-ეფენდომ ითავა. თვითონ ონბაშ მუჰამედისათვის კი რეგებ-ალას სახლი აიჩნია.

* * *

კარგა ხნის დაღამებული იყო.

სოფელში სიჩუმე სუფევდა.

მყუდროებას მხოლოდ ჩანჩქერებისა და ნაკადულების ჩხრიალი არ-ღვევდა და დროგამოშვებით ძაღლების ყეფა თუ გაისმოდა.

რეგებ-ალას სახლში დიასახლისი შუა ოთახში იდგა, სახეს იფარავდა და ისე ესაუბრებოდა მის წინ გამოკიმულ ჯემალსა და თურქთა ჯარების ონბაშს.

— ვახშამს მოგართმევთ! — ძლივს გასაგონად წარმოთქვა მერიემ ხანუშმა.

— ძალიან კარგს იზამ, ეს ოხერი კუჭი ბევრს ითმენს, დილიდან არაფერი მიჭამია.

მერიემ ხანუში უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან და ვახშმის თადარიგს შე-უღბა.

— ონბაშ-ეფენდი, ეს ხომ ჩვენი შეურაცხყოფაა... რატომ აქამდე არა-ფერი გვითხარით, შიმშილით რისთვის შეიწუხეთ თავი! — მზრუნველობით სავსე ხმით წარმოთქვა ჯემალმა, თვალები კი ცბიერად უღიმოდა.

— სანამ ჩემი ათეული თქვენს სოფელში შემოდგამდა ფეხს და საპირო პიროვნებებსაც შეხედებოდა, — უბასუხა ონბაშმა, — შუადღეშა მოაღწია. მერე ჩემი ასკერების დაბინავებას მოუწდა დრო და ამასობაში შემოგვალამ-და კიდევ. კარგი ოჯახი ყოფილა... სულეიმან-ეფენდის ჩემი მადლობა გა-დაეცი ასეთი ზინისათვის.

— ზვალვე მოვასენებ.

— კი მაგრამ, ზვალამდე სად უნდა დარჩე? — გაიკვირვა ონბაშმა.

— აქ, თქვენ გვერდით, სულეიმან-ეფენდომ მიბრძანა თვალის ჩინივით მოვიაროთ... ონბაშ-ეფენდის რომ რამე დაემართოს, ზეზე ჩამოგკიდებო!

— კარგი კაცი ყოფილა სულეიმან-ეფენდი!

— კი, ასე ამბობენ. — ჩაიჩურჩულა ჯემალმა და ნოვადაფარებულ ტახტზე ჩამოჯდომა შესთავაზა ონბაშს. ისიც მოცელილივით დაეშვა ტახტ-ზე და ისე ამოიხენჭა, თითქოს უზარმაზარი ტვირთი ჩამოხსნეს ზურგი-დანო. თამბაქო გაახვია, ცეცხლი მოუკიდა, მაგრად გააბოლა და მერე ჯემალს ჰკითხა:

— ამ ოჯახის პატრონი სად არის?

— ორ თვეზე მეტია ართვისა და არდაგანს წაეიდა სავაჭროდ, ახლა თურმე არზრუმშია... კარგი ოჯახის პატრონია, თვითონაც კარგი კაცია რეგებ-ალა, ღაშა ბატონო!

— მე ჯერ ფაშა არა ვარ, ჯერ მხოლოდ ონბაში ვარ.

— მაპატიეთ, ეფენდი, მაგრამ ალაჰის წყალობით, ალბათ, მალე ფაშაც გახდებით.

— შენს პირს შეაჩარი... მე კი ახლა ხელები სად დავიბანო?

— წამობრძანდით! — თავაზიანად მიუგო ჯემალმა და ონბაში გარეთ გაიყვანა, ხოლო თვითონ ფანჯარას მიადგა და იქიდან გასძახა:

— ხუსია, ონბაშ-ეფენდის ხელები დააბანინე.
ოთახში ნიგარი შემოვიდა, ჯემალის დანახვაზე შეკრთა და ადგილზევე გაქცა.

— ვაიმე!

— რამ შეგაშინა?

— ვაიმე, რაღა ვქნა?

— ნიგარი, შენი ჭირიმე!

— ნუ ამბობ, ნუ ამბობ...

— რატომ ნუ ვამბობ, ცხოვრებაში ჯერ ამაზე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. იცოდე, მამაშენმა შენი თავი რომ არ გამატანოს, მთელ ღუნიას გადავატრიალებ.

— რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი?..

— შენ გამაგიჟე.

ჯემალის სიტყვები ნიგარს სასურველ სიმღერასავით ესმოდა და მთელ ტანში ქრუანტელი უვლიდა.

მოულოდნელად ოთახში ონბაში შემოვიდა, ნიგარის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა. სახე გაუბრწყინდა, მისი სილამაზით მოჩადოებულმა პირი დააღო და ადგილიდან ვეღარ დაიძრა. ნიგარი კი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

— სინამდვილე იყო თუ მოჩვენება? ჯენეთის დედოფალს ჰგავდა. ნეტავი ვინ არის, აქ საიდან გაჩნდა? — თითქოს თავის თავს ესაუბრებო, წაიჩურჩულა ონბაშმა.

— რეჯებ-ალას ქალიშვილია.

ონბაში ისევ ჩამოჯდა ტახტზე და თავისთვის ბურღლუნებდა:

— როგორი თვალები ჰქონდა... მუჰამედ-ეფენდი არ დაიბნე, ალაჰმა, ალბათ, ფეშქეშად გამოგიგზავნა.

ამასობაში მერიემ ხანუმიც გამოჩნდა თოფალ ხუსეინთან ერთად და სუფრა ვააწყო.

— დაბრძანდით, ჯემალ, სტუმარს ნუ მოაწყენთ.

— სტუმარი?! — თავისთვის ჩაილაპარაკა ჯემალმა და ონბაში სუფრასთან მიიპატიჟა.

— მოხარშული ქათამი, კაიმალი, ბაქლავა... ფაშას რომ ეკადრება, სწორედ ისეთი ვახშამია! — კმაყოფილებით წამოიძახა ონბაშმა. — ასეთ ხალხში, ალბათ, ჩემი ასკერებიც მშეირი არ დარჩებიან.

— ჩვენს ხალხს კეთილი სტუმარი უყვარს და პატივს სცემს.

— ჩვენ სტუმრები არა ვართ. ჩვენ იმისათვის მოვედით, რომ ეს კუთხე უკან დაევბრუნოთ თურქეთს... ჩვენი ჯარები უკვე ბათუმშიც შევიდნენ.

— დიდი ხნით? — ცბიერად შეეკითხა ჯემალი.

— ახლა სამუდამოდ.

— მეც ასე მგონია... სამუდამოდ დარჩებით ჩვენს მიწაზე.

— რა თქვი?

— მე ვთქვი, უეჭველად სამუდამოდ მიიღებს ჩვენი მიწა თქვენს ჯარებს.

— ეს უკვე გადაწყვეტილია.

— ჩვენშიც ასე ფიქრობენ.

მერიემ ხანუშმა კეცზე გამომცხვარი ცხელ-ცხელი მჭადი შემოიტანა.

— ასეთ შეჭამადთან ახლა ეს ჭადი ჭადასაც სჯობია! — მსუნაგად წა-

მოიძახა ონბაშმა და მჭადი ხელში შეატრიალა. მერე მუხლზე დაიდო და ნა-
კერი მოტეხა, მაგრამ თვალები გაუშტერდა — მჭადზე ჯვარი დაინახა.

— რა მოხდა, ონბაშ-ეფენდი?

— რა არის, ეს?.. ეს ხომ ჯვარია, გიაურების ჯვარი?!

— ჭადს ჩვენში ასე აცხოვენ...

— დაგწყევლოთ ალაჰმა, თქვენ ხომ მუსლიმანები ხართ? — არ ცხრებო-
და განარისხებული ონბაში.

— მაგრამ ჭადს ჩვენში მაინც ასე აცხოვენ! — მტკიცე და უკმაყო-
ფილო ხმით განუცხადა ონბაშს ჯემალმა და თვალებში რისხვის ნაპერ-
წყლები აუბრწყინდა.

— ასეთი ჭადი მხოლოდ გიაურის ნახელავია! — იღრიალა ონბაშმა და
მჭადი ძირს დაანარცხა.

ჯემალი გაბრაზებული წამოხტა და ონბაშს მრისხანედ შეუტია.

— პატიოსანი კაცი კი ჭადს მიწაზე არ დაანარცხებს.

ონბაში შეკრთა, უღებ მიხვდა, ძლიერ რომ შესტოვა და შეშინებული
თვალებით უმზერდა ჯემალს, რომლის ხელი იარაღს ეთამაშებოდა. ონბაში
დაწვდა და მჭადი სუფრაზე დადო. შემდეგ, როგორც იქნა, გონს მოვიდა
და თუმცა ბრძანების კილოთი, მაგრამ მაინც გაბზარული ხმით მიმართა
ჯემალს:

— შეგიძლია შინ წახვიდე, მცველი აღარ მჭირდება... მარტო დავრჩები.

ჯემალმა ზიზღით გადახედა ონბაშს და თითქოს თავაზიანი კილოთი
მიმართა, მაგრამ მის ხმაში მაინც იგრძნობოდა მუქარა:

— კარგად მეყოლე, ონბაშ-ეფენდი... მე წავალ, მაგრამ ერთს მაინც
ნუ დაივიწყებ... თქვენი სიტყვით, სამუდამოდ შემოდი... ჩვენს მიწაზე.
ჩვენს მიწაზე კი ჭადს მხოლოდ ასე აცხოვენ.

მერიემ ხანუმს თავაზიანად გამოემშვიდობა, ონბაშს უხეშად შეაქცია
ზურგი და სწრაფი და მტკიცე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. ონბაში ერთხანს
დაბნეული დასცქეროდა ხელში შერჩენილ ქათმის დიდ ნაჭერს, მერე გონს
მოვიდა, ჰამა განაგრძო და თავისთვის ჩურჩულებდა: „თუმცა მუსლიმანები,
მაგრამ მაინც გურჯები არიან, გიაურები!“

როცა ონბაშმა ნახევარ ქათამს წირვა გამოუყვანა, მერიემ ხანუმს
ახედა და ცალი ყბით უთხრა:

— ლოგინი მომიპზადეთ, დილით ადრე უნდა ავდგე.

როგორც კი მერიემ ხანუმი ოთახიდან გავიდა, ონბაში ქათმის მეორე
ნახევარს სწვდა და ორიოდ წუთში უკვე ბაქლავასა და კაიმაღს შეეჭეცოდა.

* * *

ონბაში ლოგინზე გაუხდელად იწვა. სასთუმალთან რევოლვერი ედო და,
თუმცა ოთახში საკმაოდ ციოდა, სახეზე ალმური ასდიოდა, „ბორგავდა და
ვერ ისვენებდა. ფეხზე წამოდგა, ლამპას აუწია და გამგელებული გაიხედა
ოთახისაკენ, სადაც ნიგარს ეძინა. — როგორი თვალები ჰქონდა, — თავის-
თვის ჩურჩულებდა ონბაში მუჰამედი, — რა ლამაზი იყო... ჯენეთის დედო-
ფალს ჰვავდა. ნუთუ ასეთი საუნჯე სხვას უნდა ერგოს?! მე ხომ დღეს ნამ-
დვილი ბატონი და მბრძანებელი ვარ აქ. ჰოდა, რაღას ვუცდი, ძალა ჩემს
ხელთ არის! მიდი, ნულარ აყოვნებ მუჰამედ-ეფენდი... თუ გინდა ამ
ქვეყნიური ჯენეთი იგემო, მიდი-მეთქი, მიდი, მუჰამედ-ეფენდი! — მაგრამ

ონბაში მაინც ერთ ადგილზე გაქვევებულიყო და ისევ ნიგარის ოთახისაკენ მიეპყრო თვალები. რევოლვერს წაავლო ხელი, ფრთხილად შეაღწა ოთახის კარები და შევიდა. მალე იქიდან ნიგარის კივილი მოისმა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ონბაშმა ჩაახრჩო, მაგრამ ქალიშვილმა იმარჯვა. ხელიდან გაუსხლტა ონბაშს და ოთახიდან გამოვიარდა. ვნებაშლილი ონბაში ისევ თავს წამოადგა, რევოლვერით ემუქრებოდა და თან ემუდარებოდა.

— არ მომეკარო! — ზიზღით შეჰყვირა ნიგარმა და ზურგით კედელს აეკრა.

— სტამბოლში წაგიყვან... დიდი ხანუმი იქნები... ამ დღეებში იუზბაშობას ველი, მალე ბინბაში ვიქნები... სულ ბაჯაღლო ოქროს ღირებში ჩაგსვამ... ნულარ ჯიუტობ, გირჩევნია დამნებდი, თორემ მაგ ლამაზ თვალებს სამუდამოდ დაგიბნელებ.

ონბაში სულ ახლოს მივიდა და, როდესაც წელზე გაუთლელი მამაკაცის უხეში ხელი იგრძნო, ნიგარმა საშინლად შეჰკივლა:

— მიშველე, ნენე, ხუსეინ!

თითქოს ამის პასუხი, გარედან სროლა მოისმა. სასიკვდილოდ დაჭრილი ონბაში იატაკზე გაიშოტა და ხელიდან რევოლვერი გაუვარდა. დაბნეულმა და შეშინებულმა ნიგარმა უცბად ფანჯარაში ჯემალი დაინახა.

— მიშველე, ჯემალ, შენი ჭირიმე!

სანამ ოთახში ჯემალი შევიდოდა, ნიგარის ახლოს გაჩნდა ნამძინარევი და შეშინებული მერიემ ხანუმი, იმ წამშივე თოფალ ხუსეინიც გამოჩნდა.

— რა მოხდა, რა აშბავია? — დაბნეული გაიძახოდა ნამძინარევი მერიემ ხანუმი.

— ამბავიცა და ჭირიც ერთად წაიღო! — შემოსვლისთანავე უბასუხა ჯემალმა, რევოლვერი ბოჩხაში ჩადო, მხარზე ჩამოკიდებული ბერდანა გაისწორა და იატაკზე უსულოდ გამოტილ ონბაშს ფეხი წაკრა, მკვდარია თუ არაო. ამ დროს შორიდან მოისმა ხშირი აოფლის ხმა.

— ეს რაღა არის? — ძლივს წარმოთქვა გაფითრებულმა ნიგარმა.

— ალბათ, ასკერებია, — წყნარად თქვა ჯემალმა, მაგრამ გულში შიში ჩაუვარდა, ვაი თუ აქეთ მოდიანო...

— ნენე, რაღა ვქნა ახლა! — შეჰკივლა ნიგარმა და დედას ჩაეხუტა.

— რახან სროლა აქედან მოესმათ, სადაც არის აქ გაჩნდებიან! — დინჯად დამარცვლა თოფალ ხუსეინმა და თან მოკლულ ონბაშს მიაშტერდა.

— მომყევი ნიგარი! — თითქმის ბრძანების კილოთი წამოიძახა ჯემალმა და ნიგარისაკენ გაიწია.

— საით, შვილებო?! — ძლივს წარმოთქვა მერიემ ხანუმმა.

— ქვეყანა დიდია, თავშესაფარს ყველგან ვიშოვით! — უფრო მერიემ ხანუმის დასამშვიდებლად თქვა ჯემალმა და ისევ ნიგარისაკენ წაიწია, მაგრამ მერიემ ხანუმი ნიგარს გადაუფარა.

— არა, ნიგარს ვერ გამოუშვებ.

ჯემალი გაბრაზდა.

— იქნებ ასკერების საჯიჯნად გინდათ, რომ დაეტოვო?.. არა, სანამ ცოცხალი ვარ, ამას ვერასოდეს მოესწრებიან.

უკვე კარგად ისმოდა მოახლოებული ასკერების ხმაური.

— მიშველე, ჯემალ, — წამოიკივლა ნიგარმა, ხელიდან გაუსხლტა მერიემ ხანუმს და ჯემალთან მიიბრინა. ჯემალმა კი მერიემ ხანუმს ურჩია:

— ხელი რომ არ გახლონ, ასე მოახსენე: ყაჩაღები დაგვესხნენ, ქალი-
შვილი მომტაცეს და ონბაშიც მოკლეს-თქო.

ჯემალმა ხელი მაგრად ჩაავლო ნიგარს და ორივენი უკანა გასასვლელი-
დან გავიდნენ, ამასობაში ასკერები ეზოში შემოიჭრნენ. მერიემ ხანუმა თავ-
ში ხელები წაიშინა და მოთქმა გააბა.

— რა დღეში ხარ, უბე...დურო მერიემ!

თოფალ ხუსეინს ონბაშის რევოლვერი ხელში აეღო, მოკლულს ნაღ-
ვლიანი თვალებით მიმტერებოდა.

— ნამდვილად ახირ ზამანია! — წაილულულა თოფალ ხუსეინმა და
ნერიემ ხანუმის დასამშვიდებლად ძლივს მოამზადა ორიოდ სიტყვა, მაგრამ
ამ დროს სახლში შემოცვენილი ასკერები წამოადგნენ თავს. მომზადებული
სიტყვები თოფალ ხუსეინს ყელში გაეჩხირა და ონბაშის რევოლვერი შიში-
საგან აკანკალეზულ ხელში კინაღამ გაუფარდა. როგორც ჯემალმა დაარეგა,
მერიემ ხანუმიც ისე მოიქცა, მაგრამ ასკერებს არ სჯეროდათ და ონბაშის
მოკვლისათვის შურისძიებით აღვსილთ მკვლელი თოფალ ხუსეინი ეგონათ...
ხომ თოფალ ხუსეინს ჰქონდა ხელში ონბაშის რევოლვერი და ერთადერთი
მამაკაციც ის იყო მკვლელობის ადგილზე. ამიტომ ასკერებმა თოფალ ხუ-
სეინს წაავლეს ხელი როგორც ონბაშის მკვლელს და, მამასადამე, როგორც
სულთნისა და ფადიშაჰის, მთელი „თურქი მილეთის“ მტერს ჩამოხრჩობა
გადაუწყვიტეს. შუაღლისათვის ჯამესთან მთელი სოფელი მორეკეს. სახრ-
ჩობელად გამოიყენეს მაღალი ხის ტოტი, რომელზეც გასანთლული ბაწარი
ჩამოკიდეს და თოფალ ხუსეინი ხელებშებოროკილი ცემა-ტყეპით მიიყვანეს.
საიდანაც კუნძი მოათრეეს და იმაზე შეაყენეს, თავი მარჯუთში გააყოფინეს
და ის იყო ასკერს კუნძი უნდა გამოეშალა, რომ ჩამოსახრჩობი შიშით სავ-
სე გაკვირვებული თვალებით მიამტერდა ასკერს:

— შენ ესკი მუსტაფა?!..

გვიანდა იყო, თურქთა ჯარების ასკერმა ესკი მუსტაფამ თოფალ ხუსეინს
კუნძი უკვე გამოაცალა, გამოაცალა და იქვე გაშეშდა... მან მხოლოდ ახლა
იცნო თოფალ ხუსეინი, ოდესღაც დიდად პატივცემული ხუსეინ-ალა. ესკი
მუსტაფას მთელი სხეული აუკანკალდა და თვალებში ბინდი მოაწვა... კვლავ
უნებლიეთ შეხედა სახრჩობელაზე ჩამოკიდებულ ხუსეინ-ალას. უცებ მან და-
ნა იშიშვლა და სახრჩობელის ბაწარი სწრაფად გადაჭრა. თოფალ ხუსეინი მი-
წაზე გაიშოტა და, როცა ნელი კენესა აღმოხდა, ხალხმა ღრმად და შვებით
ამოისუნთქა. ხოჯა ისკენდერი, მოლა იუსუფი და სულეიმან-ეფენდი ასკერებ-
თან ერთად მიცვიდნენ ესკი მუსტაფას, რომელიც თოფალ ხუსეინს თავს დას-
გომოდა და ჩასძახოდა: „ხუსეინ-ალა, ხუსეინ-ალა!.. ჰო ეს მე ვარ, მე, ესკი მუს-
ტაფა... ნუ გეშინია, შემომხედე, ჩემო ხუსეინ-ალა!“ ხუსეინმა ღრმად ამოისუნ-
თქა, თვალები გაახილა, სურდა თავისი მხსნელისათვის შეეხედა, მაგრამ ესკი
მუსტაფა უკვე გაეკოჭათ და მიწაზე დაეგდოთ.

— პატარა შეცდომა მოგვევიდა, მაგრამ ახლავე გამოვასწორებთ, ორივეს
ხეზე ჩამოვაკონწილებთ! — ხრინწიანი ხმით გაიძახოდა სულეიმან-ეფენდი.
ხელში მათრახს ათამაშებდა.

ხის ტოტზე ახლა უკვე ორი ბაწარი ჩამოკიდეს და ორი მარყუჟი გამოსკ-
ვნეს, თოფალ ხუსეინი და ესკი მუსტაფა კუნძებზე შეაყენეს, თავი მარყუჟში
გააყოფინეს, და ის იყო კუნძები უნდა გამოეშალათ, რომ ხალხში ხმა გაისმა:

— რუსები, რუსები!

— რუსის ჯარი! — სიხარულით წამოიძახეს სოფლელებმა და ყველამ თვა-
ლი მიაპყრო მაღლობს, საიდანაც რუსი მეომრები ბარაბანის ბრახუნითა და
სიმღერით მოდიოდნენ.



ლევან გელაძე

ახალციხე

მზე სამზეოს ეფერება,
 შორს მთა ნისლებს ახლაც იხვევს,
 ავირბინე შეფერდება
 და შივადეკ ახალციხეს.
 თვალს იტაცებს სხვა მშვენიება,
 ღიმი ამკობს ათას ბაგეს...
 სწაღდათ ქვეყნის აშენება
 აქ მრისხანე ათაბაგებს.
 აქ განუდგა ჯიქურ სულთანს,
 აქ დასახლდა სელიმ ფაშა,
 აქ უკმევდნენ სანთლებს სულთა,
 სჭედავდნენ ხმლებს,
 ქსოვდნენ ფარჩას.
 ბევრი ახსოვს ამ ცივ ციხეს:
 სისხლის გუბე,
 ცრემლთა ჩქერი,
 ქალი შიშით მოცანცახე,
 ნასახლარზე
 ბარდი,
 შქერი.
 აქ საღლაც ხავსს ღაუფარავს
 რუსთაველის ნატერფალი,
 მწყემსი გაშლის სერზე ფარას,
 ცად აფრენას ნატრობს თვალი.
 მზემ სამზეოს გაუღიმა,
 ის ცა ნისლებს ახლაც იხვევს.
 ამ მდინარეს,
 ამ ხევს მიღმა
 დგას ამაყად ახალციხე.

ჰეი, ვისია ის ქალი,
 კუბრი თმა, ხალი ცისფერი,
 თვალთა ნასროლი ჩინჩხალი,
 ოცნება მზემდე მიმფრენი?
 ვისია მწვანე ზამბორი,
 ფიჭვის ტყე, ხოხობ-შურთხები?
 მზე მთას აღვიძებს ამბორით,
 მთა ცას ახედავს კურთხევით.
 ცხვარს იალაღი ალაღებს
 და ყვავილს ნამი ციურთ.
 ვისია,
 ვინ ფლობს ამ ბაღებს,
 ვის კვებავს მიწა, ვით ცური?
 ვინ მოჰკლა ჯიხვი მაქაწლით,
 დალაშქრა
 შიბნი,
 კაპანი?
 კლდეში ვინ გასჭრა სასახლე,
 ვის ათბობს ცა, ვით საბანი?
 ვისია,
 უშბა,
 თეთნულდი,
 კახაბრის ველი მაძლარი?
 ხევსური ათრობს მთებს ლუდით,
 დმერთს ეურჩება მოძღვარი.
 ხულოში გასკდა ხორუმი,
 ქედელს მოსტაცეს ციცაბი.
 თავს ვინ იწონებს ხარ-ურმით?
 ვის ჩასჩურჩულებს ციცარი?
 ვისია სხალთის ტაძარი:
 ასე ვის ერჩის მარჯვენა,
 წყალი რუებში დავძარით,
 სწყურია ყანას მარჩენალს.
 ვისია მცხეთა,
 არმაზი,
 ვის ძვლებს ინახავს მთაწმინდა?
 ქვეყანა ასე ლამაზი,
 სულით ხორცამდე გაგწმენდავს.
 ძნელია მოკვდე აქ კაცი,
 დასტოვო ხევი,
 ეს წყარო,
 მთვარე მზეს ჩასვლას არ აცლის,
 ელავს ნარინჯის სამყარო.

ვისია ლერწმის ტევრები,
შავი ზღვა — თეთრი თოვლია?
დათვის გაბაწრავენ მღევრები,
ჭიუხში ისევ თოვლია.
ალარ იცრემლვის შტირალა,
მართვეს არ ეძებს ქედანი,
თავს ვინ გაეჭყეს ფირალად,
ვინ დაჰგმოს ქართვლის დედანი?!
ენა ბულბულთა ვისია,
ენა რითმის და ჰანგების,
გალაკტიონს და ტიცინს
თან დაჰყავთ მაღლი განგებით.
ვისია ქალი თამარი,
ან ბროლის კომკი ვისია,
ვინ წამომდგარა სამართ,
გორგასლის ზმალი ვის მიაქვს,
ვისია ქალი ლერწამა,
ეს ყველაფერი ვისია? —
ვინაც ამ მზისთვის ეწამა,
მისია, მხოლოდ მისია!



ჯამად ჯაყელი

მ ე ა რ ხ ე ნ ი

ხელი დაუზიანდა რეუფას, მარჯვენა ხელი, მარჩენალი.
არავის ახსოვს ამ ხელის შეჩერება, მოსვენება...
სათლელი და საშენი ყოველთვის ჰქონდა ნაქებ კალატოზს.
რამდენი სახლი ააშენა და ხიდის ბურჯი! . და უძებნელად იბოვა დიდი
სიყვარული სოფლის ხალხისა.

სატეხ-საჩუქურთმო არასოდეს გაცივებია.

ქვაზე დაეკოჟრა ახალგაზრდა მარჯვენა.

პაპა ხოსიტასთან მოყვრობა რომ დააპირა, სიტყვაძუნწობა დასჩემ-
და — გარინდულ ქვასთან ცალ მხარეზე დახრილი ჩუქურთმას უსიტყვოდ
სულს უდგამდა.

გამოხედვა ჰქონდა აზრით სავსე...

ქვა ყველას დაუნახავს ამ ქვეყნად, მაგრამ მისი მზერისას ისეთი სითბო-
თი არავინ აცხებულა, როგორც რეუფა.

მასში სიცოცხლეს ხედავდა უკვდავს...

და ბროლივით თლიდა ქვას.

მეზობლები ხუმრობდნენ: მომავლედ ბაბუამისს ხოზაპირის წყაროს
წყალი დააღვინა და მარჯვენი დაალოცვინა: შეგრჩესო და მოგახმაროს
საბედნიერო საქმეზეო ღმერთმა.

და რეუფას ყველა უქებდა მარჯვენას — ახალგაზრდაო და ასე დაოს-
ტატებული, ხანში რომ წევა, არავინ ეყოლება გამსწრე.

მაგრამ ჭაბუკი არ იფერებდა ქებას. ერთი იყო მისი ოცნება: ვერ მო-
წალოს! საუკუნეთა ქარ-წვიმამ ჩემი დაშენებული ქვა.

საუბარს ყოველთვის საყვედურით იწყებდა; მაგრამ ამ საყვედურში
საქმის სიყვარული არასოდეს გაქარვებია.

მეზობლებს მისგან ხშირად მოუსმენიათ: არავინ ითავაო თავკაცობა,
თორემ ყურღელის წყალს სოფელში ჩამოიყვანდითო.

პაპა ხოსიტამ ფიქრიანად შეიფხანა ქათქათა წვერი, როცა შეიტყო
რეუფას საყვედური.

„ქკვიანი გამოდგაო ბადიშის საქმრო“, — კმაყოფილებით ჩაიღიმა და ილდიზას დაუძახა:

— ილდიზავ! მომე ქურთულა წინდები და ჯაგნარში ჩასაცმელი წილები! რეუფას საყვედური შევიტყვე, არავინ გამოდგაო მეთავედ, თორემ მოვიყვანდიო სოფელში ყურღელის წყალს...

— რატომ შეგაწუხაო საყვედურით, — თქვა და კარებში გავარდა საქმროს სახელის სხენებით დარცხენილი და აწითლებული ქალიშვილი.

შეგროვდნენ ზოხიანი მეარხენი...

სოფელმა მაშინ უფრო იგრძნო წყურვილი, როცა ვადაწყვიტეს არხას გაყვანა.

* * *

ყურღელეში ლალუმის ამქუხარებამ გააყრუა ცა და ხმელეთი.

თითქოს გამოაჯაგრაო, ჯუჯა ქედმა ექო დააბუბუნა და ჰაერში შეტყორცნილ ქვებს გადაუარა.

„რამ დაღერღაო ქარაფი კენჭების სეტყვად“, — გაიფიქრა და შედგა ბეწინავე. წამის განმავლობაში მათ ღაინახეს, როგორ ამოიჭრა ალი კლდის ნაპრალიდან და როგორ შთაინთქა გამაყრუებელ ლალუმის კვამლში.

გზაბაწარაზე ხალხი უნებურად შეგუბდა და ბეჭები ასწურა — არ დაგვაცვივდესო ქვები.

— რეუფამ ყურღელეში მისვლა კი არა, კლდის აფეთქებაც მოგვასწრო!

— თავხედობაა და მეტი არაფერი... კინაღამ ჩაგვხოცა აქ...

— არა უშავს რა, მაგით არ დაიძრახება...

— დაიძრახება კი არა, მარჯვენი არ მოინახება, რეუფას ტოლი რომ დაუდოს... კარგი ახალგაზრდა გამოერია ჩალიბანიძეთა გვარში... ნაღდი კაცია, ძაღლონე აქვს, მაგრამ ყადრი არ იცის...

ყველა ხედავდა, სასიძოს შექებით ნასიამოვნებ პაპა ხოსიტას როგორ ეხსენებოდა შეჭმუხნილი წარბები.

და ხალხმა გაუბედავად გაიხედა აფეთქების ადგილისაკენ.

„იქნებ ორის მეტი არ ჩაუბურღავს რეუფას და ჩვენ მიახლოება გვეშინია, კვლავ არ აფეთქდესო“ — ფიქრობდნენ.

— მივბედოთ!..

მაგრამ დაყითინება ამჟობინეს და ერთი ახალგაზრდა წამსვე შევარდა წარკვეთილ ჯირკვზე.

„უუუუუ!“ — ყიჟინა ბუბუნით გაიმეორა უსიერმა ტყემ და საღდაც ორწოხებში შთაინთქა.

— ჯიუტია, ჯინზე არ გვეპასუხება... ისეთ დროს გაგებხმრება, მოთმინების ძაფებს დაგაგლეჯს, აბა რა თამაშია? ის იქ ლალუმებს აწყობს, ჩვენ აქ ვყურყუტებთ...

მოსაუბრეს უსიყვარულოდ შეხედეს... შემდეგ შემობრუნდნენ და მეწინავეს ღუმილით მიჰყვნენ.

* * *

— იპ, იიპ! — დაბნევით წარმოთქვა პაპა ხოსიტამ და გაფითრდა. რა დაემართაო მეწინავეს, — ხალხი შემოეხვია.

პაპა ხოსიტას უნებურად დაეჭიმა სახის კუნთები და ხალხს ანიშნა გვერდით მიდევითო.

მაგრამ ხალხი უფრო მიეჯარა მეწინავეს.

— გვითხარი, პაპავ...

— აიღეთ!..

ნახევრად ჩურჩულით თქვა მოხუცმა და მიწას დახედა.

გაკვირვებული შეარხენი მიმოდგნენ. ვილამ ფეხი განზე გადადგა და გამოჩნდა მოკრუნხული, წაგლეჯილი თითი...

— მომეცით!..

და ერთი მათგანის თბილი ხელი დასწვდა ცივ, დაკოჟირლ თითს...

„შეხვეულ ნეკზე ჭინჭი ჯერ კიდევ არ წაცლია“, — გაიფიქრა პაპამ.

იცნეს რეუფას თითი.

ხალხს ყრუ გპინვა დასცდა.

„რეუფა“ — შესაბრალისად გაისმა მდუმარე ფიჭვის ქვეშ.

მიმოიხედეს.

არსად ჩანდა ჭაბუკი, ჩალიბანიძის გვარის სიამაყე.

პაპამ ხევისაკენ ანიშნა მეზობლებს.

ერთი მათგანი წამსვე გადაეყრდნო სამარხილესავით დაზნექილ მურყანს.

„ვაი დედაშენს, რეუფავ!“ — თქვეს და ჩაწვდნენ მიბნედილ ჭაბუკს.

პაპამ საფეთქლები დაუსრისა და გაღედილ გულზე წყალი ასხურა ბადიშის საქმროს. შემდეგ არხის პირქუშ სათავეს შეაყოლა თვალი. ქარაფს პირი შეეკრა და წყალს ურჩხულივით დაპატრონებოდა. წვეთს არ იძლეოდა ტიალი.

პაპამ მოტეხილი მაჯა მობანა რეუფას და „მრავალძარღვა მონახეთო“ — ბრძანა.

იქ მდგომნი შეირხნენ და სიბრაღული დაიდეს გულზე. მათ იგრძნეს, რომ რეუფამ ლალუმს დამალვა ვერ მოასწრო და მონახეთქმა ქვამ ხელი დაუჩეჩქვა.

ხალხი სევდიანად ჩურჩულებდა:

„კარგი მარჯვენი წაუხდა...“

და ელოდნენ, როდის ბრძანებდა მეთავე რეუფას წაყვანას.

* * *

სოფელმა გასტეხა ქარაფის სიკერაზე და წყალი გაიგდო წინ.

არხს ხალხის ოფლი და რეუფას სისხლის წვეთები შეერია, მაგრამ სამკვიდრო რომ გაინდლეს, ოფლიც დაავიწყდათ და სისხლის წვეთიცა.

მაგრამ რეუფას ძვირად დაუჯდა, ძვირად...

თავის ნაშენ-ნაგებს თვალს ვერ აცილებდა ჭაბუკი და გული სტიკიოდა, რომ ხელტიკიანობა „ნახევარკაცობას“ ძლივს უტოლდებოდა.

ბევრი რამ მოენატრა ჭაბუკს:

მისალმებისას ხელის ხელზე დაკვრა...

ქვაზე სატეხის ხმარება საწერელივითა... კიდევ რამდენი რამ, რამდენი...

მაგრამ რამდენიმე ხანში ხელი ისე შეეჩვია, რომ დაწყებული საქმე
ბოლომდე მიიყვანა და მამისეული ბუხარი აგურის საკვამურით დაამშვენა.

შეგრჩეს მარჯვენით, — დალოცა პაპა ხოსიტამ ქორწილის დღეს და
სასმისი ასწია.

რეუფამ მარცხენა ხელით აიღო ჭიქა და სამადლობელო გადაიხადა.
„კალატოზის ხელი რაა, სოფლის ხელი ხომ უკვდავია“, — გაიფიქრა მან და
ილდიზასაკენ რომ გადაიხარა, ლამის დარეტიანდა...

„სოფლის ხელი!“...

ყურებში მუსიკასავით ეღერდა ეს სიტყვები!



აღმსანდრეა შენიძა

მზიურ აჭარის ბუნების კარტან

ვხედავ ლურჯთვალა სერებს, ბაღნარებს,
შემოფრენილან ღვინით მერცხლებიც...
ცისკარზე მთვარე თვალს ახამხამებს
და ზღვიდან ზვირთებს სცვივა ვერცხლები.
ნახავ და კაცი ამ სილამაზეს,
ვერ მიატოვებ, ვერ გაეცლები.
მზიურ აჭარის ბუნების კარტან
მეც ყვავილების სუნთქვით ვიზრდები.
გულში რა უნდა ღამეს და ზამთარს,
ავმაღლებულვარ ფიქრით, მიზნებით.
ასე მგონია არ დაებერდები,
თუ ამ ლაქვარდებს შევეჩვივნები.
ვხედავ ღალანა ბალებს, ნარინჯებს,
მუდამ რომ ბრწყინავს ბარაქის თვალით.
აქ, ყოველ კაცის გმირულ ნაბიჯებს,
ქართული მიწის დალოცვილ მადლით,
ვინ შეიღაროს, ამდენ ვარსკვლავებს
მგონია ქვეყნად თვალი ვერ დათვლის.
გმირებს ვიძახი, გმირებს ვუძღვერი —
ჩემს სახლიკაცებს, ჩემს თანატოლებს.
გაქრა წარსულის მძიმე უღელი
და მასზე რამეს ნუ მომაგონებთ...
იმ მზეს დიდება, ხვალაც ღიმილით,
მთა უბიდან რომ ამოაგორებს.
მზიურ აჭარის ბუნების კარტან
მეც ყვავილების სუნთქვით ვიზრდები.
გულში რა უნდა ღამეს და ზამთარს,
ავმაღლებულვარ ფიქრით, მიზნებით.
ასე მგონია არ დაებერდები,
თუ ამ ლაქვარდებს შევეჩვივნები.



პაპლო მონგადა

წერილი ჯულსას

ჩემის ქვეშ მიწა რბილად, ძალზე რბილად ჩაიზნიქა და ანდრეას თავ-
ზარი დაეცა — „ნალმი!“ მართალია, არასოდეს განეცადა მას ასეთი გრძნობა
(ადამიანს ხომ არ უწერია ორჯერ განიცადოს იგი ცხოვრებაში), მაგრამ
მაინც დარწმუნდა, რომ ფეხი ნალმზე ედგა. გაშეშდა. უეჭველმა სიკვდილმა
თვალში ჩახედა და თავბრუ დაახვია. მზე აქამდე ფიჭვის რტოებსა და ბარ-
დებში იჭვრიტებოდა და ახლა უცბად დაბნელდა. ანდრეას სუნთქვა შეეკრა
და აღარ ეგოხა, რომ ერთი წუთის წინ ჩვეულებრივი ადამიანი იყო. სულ
სხვა მხრიდან, ბუნდოვანი შორეთიდან, სიკვდილის კარიბჭიდან ხედავდა
ახლა საკუთარ თავს. ცივმა ოფლმა დაუცვარა მთელი ტანი. გრძნობდა,
როგორ მოგორავდნენ ოფლის დიდრონი წვეთები საფეთქლებზე, როგორ
მოსრიანებდნენ ზურგზე და საბოლოოდ როგორ ტბორდებოდნენ ილი-
ებში და ხელის გულებზე. ანდრეამ ისევ გააჩია მზის შავი ბურთი ფიჭვის
რტოებში. ბარდებში უფრო ჩამოხეულდა. იგრძნო, საცაა ბავშვივით ატირ-
დებოდა და მხოლოდ ტუჩებს წასცდა ჩურჩული:

— ღმერთო ჩემო, ო, ღმერთო ჩემო...

სადღაც ახლოს ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ბარდებში. ისინიც
მასთან ერთად მიიკვლევდნენ გზას მაგნიტური ჭანგებით.

— ოოოოო! — ვაბმით გასძახა მან.

— ოოოოო! — მოისმა პასუხად; მოპასუხე, ალბათ, ას მეტრზე მაინც
იქნებოდა.

— მიწველეთ! — დაიყვია ანდრეამ და კვლავ გაშეშდა. ყური და-
უგდო. მზე ისევ ისე ანათებდა. ფიჭვის რტოებში თინათინობდნენ მისი სხი-
ვები და თითქოს ტყეც ცახცახებდა ამ მოჩვენებით შუქზე. სველი ხალათი
ზურგზე აეწება, მაგრამ ოფლი აღარ სდიოდა. რატომღაც ბავშვობაში ხში-
რად ნანახი სიზმარი გაახსენდა: ღმერთმა უწყის რას ნიშნავდა იგი. ეს კია,
მისი ნახვის შემდეგ ყოველთვის ცივ ოფლში გადაარული, შეშინებული
იღვაძებდა სოღმე. ესიზმრებოდა, როგორ აცავებდა რაღაც, სურდა გაქცევა
და არ შეეძლო; ღონე არ შესწევდა გადაეღვა თუნდ ერთი ნაბიჯიც კი —
ფეხები თითქოს მიწას ეკვროდნენ. ალბათ, ძილში ფეხი ეხლართებოდა

ხეწარში და შინარე ველარ ახერხებდა მის აშვებას. მაშ, სხვა რა უნდა ყოფილიყო? ალბათ, ეს აწვევდა კომმარულ სიზმრებს.

ანაზღად დაჯდომა მოუხდა. დაჯდომა აქვე ფიჭვის ხმელ წიწვებზე, ირგვლავ მთელი მიწა რომ დაეფარა. ო, არაფერს დაიშურებდა, ოღონდ დამჯდარიყო. ფეხები თითქოს ჩაეზარდნენ ერთ მტკაველ მიწას, ხოლო ტანი, მთელი სხეული კუნძად ქცეულიყო. ბუნებას ხეები გაუწირავს ასე სამარადისოდ დგომისათვის — უნდა იდგნენ, იდგნენ და ელოდონ აღსასრულს. აი თუნდ ეს ფიჭვებიც, რომელთა რტოებში ახლა სქელ ბურუსად ჩაღვრილა მზის შუქი, ავი მუდამ ასე დგანან გაუნძრევლად. უნებლიეთ, რაიმე მაინც რომ გაეკეთებინა, შარვალი შეიხსნა და დაასველა. მიწაზე ორიოდვე წვეთი დაეცა მხოლოდ. და სწორედ მაშინ მოესმა ფიჩხის მტკრევის ხმა.

— ოოოო! — ისევ იყვირა ანდრეამ.

— რა მოხდა? — მოისმა ვილაცის ხმა და იმავე დროს ბუჩქებში ადამიანის სახეც გამოჩნდა. ერთ-ერთი ამხანაგი იყო, რომელიც ანდრეასთან ოციოდ ნაბიჯზე შეჩქარდა.

— არ მომიახლოვდე, — უთხრა ანდრეამ და სახე მოაჩიდა, — მე... ნაღმზე ვდგავარ.

ანდრეამ ეს ხუთი სიტყვა მშვიდად წარმოთქვა. ამხანაგს სახე არც კი შეცვლია. ანდრეამ თვალი გაუსწორა მის ყეყეჩ მზერას.

— არ გაინძრე! — როგორც იქნა ჩაილაპარაკა მოსულმა, — სხვებსაც დაეუძახებ. სწრაფად შებრუნდა და გაკვალული ბილიკით, რომლითაც წელან მოლოდა, უკან ვაიქცა.

კაცი გაქრა. მაგრამ ანდრეას ესმოდა, თუ როგორ მიიკვლევდა იგი ბარდებში გზას, ახლა ბავშვობისდროინდელი ერთი ამბავი მოაგონდა: ერთხელ მამას მიჰყვებოდა უცხოში სოფლის შარაზე... მამამ შუაგზაზე მარტო დატოვა და თვითონ გზის გასაგნებად წავიდა მახლობელი შენობისაკენ, ბორცვზე რომ მოჩანდა.

— აქ დაძელოდე. — უთხრა მამამ, — და არსად წახვიდე!

ანდრეა მარტო დარჩა და მარტობის უცნაური, საშინელი გრძნობა დაეუფლა. თვითონ არ იცოდა, რისი ეშინოდა. გრძნობდა კი, რომ რაღაც აწუხებდა. ბალახზე დაჯდა და ტირილი დაიწყო. სურდა გამოცილებოდა მამას, მაგრამ არ შეეძლო, უფლება არ ჰქონდა...

ანდრეა დაძაბული უსმენდა მიმავალი კაცის ფეხის ხმას. იგი თანდათან სულ უფრო ღრმად მიიწევდა ტევრში. ბოლოს ფიჩხის ლაწუნიც შეწყდა და მაშინ ისევ მოაგონდა ანდრეას მამა. არა, მამა არ მიატოვებდა ასეთ დროს. ერთი წამით მზე ისევ დაბნეულა რტოებში. ანდრეას კვლავ საშინლად მოუხდა დაჯდომა. იგი უკვე ათი წუთი იდგა გაუნძრევლად „სმენაზე“. ტირილი მოუხდა, მაგრამ ბავშვი აღარ იყო და არც ის კაცი იყო მამამისი, მარტო რომ დატოვა და ამხანაგების მოსაყვანად წავიდა.

— ღმერთო ჩემო, — ჩაიხურჩულა ანდრეამ და იმას კი აღარ უწევდა ახგარიშს, რომ ღმერთს მისდაუნებურად შესთხოვდა შველას. — ღმერთო ჩემო, რა მეღის ნეტავ?

ანდრეამ იცოდა, რომ ამხანაგები მალე გამოჩნდებოდნენ, მაგრამ იცოდა ისიც, რომ უძრავად ლოდინში წუთები საათებად იქცეოდნენ მისთვის. თუმცა რით დაეხმარებოდა ისინი? ანდრეას ამის გაფიქრებისაც კი ეშინოდა და მხოლოდ იმასდა ფიქრობდა, როგორმე გაეძლო და არ განძრეულიყო. ისე ელოდებოდა მათ. იცოდა, სანამ ფეხს არ აწევდა, ნაღმი არ აფეთქდებოდა.

ბოდა. რა კარგი იქნებოდა ასე გაეძლოს სამუდამოდ. მოვიდოდნენ ისინი აშენებდნენ მის ირგვლივ კარავს, დღეში ორჯერ მოუტანდნენ საჭმელს. ოლონდ შეეძლოს ხეებივით საუკუნოდ ზეზეულად დგომა და მაშინ ნაღმი აღარ აფეთქდებოდა, აღარ აფეთქდებოდა აღარასოდეს. მან ფეხის დადგმით დამუხტა იგი, ო, რა კარგად იცნობდა ამ ტიპის ნაღმებს: ბედის დაცივნა იდო თითქოს მის მოწყობილობაში — შეგვიძლია აუღელვებლად დაგედგათ მასზე ფეხი, იგი არ აფეთქდებოდა, მაგრამ როგორც კი ფეხს ასწევდით და დაწოლა შესუსტდებოდა, ზამბარა გაიშლებოდა და... ჰმ. ახლა ყველაფერი დაშოკიდებული იყო ერთ საცოდავ ზამბარაზე, ლითონის ციკქნა სპირალზე, გოჭის კუდივით რომ იგრინებდა.

— ღმერთო ჩემო, — ისევ მოაგონდა ღმერთი ანდრეას, როცა ნაღმის მოწყობილობა გაასხენდა. — ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს შესაძლებელია?

ბავშვობაში ნაქონი მოსამართი სატვირთო ავტომანქანა მოაგონდა. ისიც ზამბარიანი იყო. მომართავდი პატარა გასაღებით და გაუშვებდი. ერთხელ ზამბარა ამოხსლტა და თითი გაუჯაწრა. ანდრეა ოთახში არბენინებდა მანქანას, მოძრთავდა, გაუშვებდა და იგი ხან კედლებს აწყდებოდა, ხან მაგიდის ფეხებს და ხან კარადის ქვეშ შეგორდებოდა. მანქანა საშობაო საჩუქრად მოუტანა ბიძამ. ანდრეამ უკვე იცოდა შობისა და ნათილების სიკრულე, მაგრამ საჩუქრების ხათრით იჯერებდა მათ.

ანდრეამ დააყურა: ბარდებში ჩქამი მოისმა... არა, არავინ არ მოდიოდა, ბაჭიამ თუ გაიშლივინა ბუჩქებში. ნამდვილად ბაჭია დაცმაცუნობდა საღდაც მახლობლად. რა კარგია, იყო ბაჭია და ირბინო ტყეში რამდენიც გინდა და საითაც გსურს. ბაჭიებს რა უჭირთ, ისინი ბუმბულოვით მსუბუქნი არიან და თუნდაც ნაღმზე დადგნენ, იგი მაინც არ აფეთქდება. ანდრეა დაძაბული უსმენდა ბუჩქებში მოფუსფუსე ბაჭიას.

ტყეში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ თუ ყურადღებით მოუსმენდი, მწერების ბზუილს და ფოთლების ფაჩუნს გაიგონებდი. გაიგონებდი ხმებს, რომლებითაც სავსეა ტყე: ხეები სუნთქავდნენ, ქიანჭველები ფაჩუნობდნენ ჩამოცვენილ წიწვებზე და თითქოს რტოებში მოთინათინე წვის შუქიც გამოცემდა ხოლმე იდუმალ ხმებს. ღია, ანდრეას ესმოდა, როგორ ცახცახებდა ჰაერში მზის სხივთა მტვერი. მის ირგვლივ ცოცხლობდა ტყე: ეს სიცოცხლე მოიწვედა მისკენ და თელავდა მას, ხეები თითქოს ერთმანეთს ეხლართებოდნენ და ამ სიჩუმის საიდუმლოება, ტყის უტყვე სიცოცხლის საიდუმლოება, აჯადოებდა და ამავე დროს აღელვებდა ანდრეას სულს. მისი დაძაბული სხეული ოდნავ შეკრთებოდა და კვლავ გაშვდებოდა ხოლმე. ხელებსა და ფეხებზე ქიანჭველები დალოდავდნენ და ეს კვლავ და კვლავ აგონებდა მას ტყის მღუმარებისა და სინათლის ოდნავ შესამჩნევ თრთოლვას. ამას კი ბოლოს და ბოლოს ცივი ქრქოლა მოჰყვა და ანდრეამ იგრძნო, რომ მთელი გარე სამყარო — ტყეცა და ფიჭვებს ზემოთ გადაშლილ ურებული ცაც — ყველაფერი ეს აწებოდა ნაღმს, რომელზეც იდგა იგი.

ანდრეას, როგორც იქნა, მოესმა მისკენ სწრაფად მომავალი ამხანაგების ფეხის ხმა და ქუთუთოები დაახამხამა მხოლოდ და მხოლოდ, თითქოს ეს-ეს არის გაიღვიძაო. უნებლიეთ გაიქცა კიდეც მათ შესახვედრად, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და მხოლოდ ძლიერად დააწვა ნაღმს.

— ოოოო! — ანდრეამ ხელის გულები საყვირით მიიტანა პირთან და ისე შებღავლა მომავალ რაზმს.

მას უკვე გარკვევით ესმოდა ფეხის ხმა.

— ოოოო! — მოისმა ამხანაგების პასუხი, — მოვდივართ!

ლოდინით დაქანცული ანდრეა თვალს არ ამორებდა ტევრს.

უეცრად იგრძნო, თუ როგორ აუჩქეფდა სისხლი ძარღვებში და თვალ-
წინ ყველაფერი დატრიალდა. ანდრეა ველარ გრძნობდა ფეხებზე მლოლავ
ჭიანჭველებს. დიდი ხნის დგომისაგან აუტანლად სტიკოდა ქუსლები და
წვივები. ო, როგორ უნდოდა ჩამოჯდომა. და ისევ, — ვინ იცის რატომ
დასჭირდა — კვლავ შეიხსნა შარვალი.

გამალებული შუშაობდა ანდრეას ტვინი, აზრები ირეოდნენ ერთმანეთში.
უჩვეულო აგზნებას გრძნობდა. თითქოს ახალგაზრდა სიცოცხლეს, მის სხე-
ულში რომ ფეთქდა, არამც და არამც არ სურდა ეგრძნო ზამბარის არსებობა
ფეხქვეშ.

— ოოოო! — მოიჩქაროდნენ ამხანაგები.

— ოოოოო! — გაეპასუხა ანდრეაც.

შორიდან შეიძლება მოგჩვენებოდეთ, რომ ეს მოზრდილი ხალხი ამ
ხშირ ბუჩქნარში კუკუშალობანას თამაშობსო.

წინ რაზმის უფროსი გამოჩნდა, მას მწკრივად მიყვებოდნენ დანარ-
ჩენები მხარზე გადებული მაგნიტის ჭანგებით, ფრთხილად მოიკვლევდნენ
გზას ბუჩქებში და როცა გაშეშებული ანდრეა დაინახეს, თითონაც ადგილზე
გაქვავდნენ. ნახევარ რკალად დადგნენ და მდუმარედ, დაჟინებით მიაჩერ-
დნენ მას. ანდრეამ შენიშნა ამხანაგების მოლუშული სახეები და მიხვდა, რომ
წინ ერთ ნაბიჯსაც აღარ გადასდგამდნენ. მიხვდა ისიც, თუ რატომ არ იზამ-
დნენ ამას. გაწირული სასოწარკვეთილად აცახცახდა. იგრძნო, როგორ გაუ-
შრა ყელი და დაემანჭა სახე. თვითონაც დაჟინებით მიაჩერდა მის ირგვლივ
მდგომ ხალხს, მაგრამ აღარაფერი თქვა.

— ეს რა გიქნია? — დაუახა რაზმის უფროსმა, — ხომ იცოდი, ამ ადგი-
ლებში რომ ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება უნაღმსაძებნოდ!

მკაცრად გაისმა უფროსის სიტყვები, თითქოს საყვედური ისმოდა კი-
დეც მის ხმაში. ანდრეა კი დუმდა და კვლავ დაჟინებით უცქეროდა უფროსსა
და მისგან ცოტათი უფრო მოშორებით რკალად მდგომ ხალხს. მას მხოლოდ
სურდა ერთი რამ ეკითხა მათთვის: თუ შეუძლიათ გააკეთონ რამე. იმის
თქმა — ამ ადგილებში ნაბიჯის გადადგმაც რომ არ შეიძლებოდა უნაღმსა-
ძებნოდ, ზედმეტი იყო, მაგრამ ანდრეამ ისიც იცოდა, რომ მისი შეკითხვაც
უსარგებლო იქნებოდა და სწორედ ამიტომ ეჩხირებოდა სიტყვები ყელში,
ენა სასას ეკვროდა. ტყეში სიცხე და ბული იდგა. ანდრეა კი ციებიაწივით
ცახცახებდა.

— დარწმუნებული ხარ, ნაღმია? — ისევ მკაცრად ჰკითხა რაზმის უფ-
როსმა. — იქნებ ბაჭის სოროა...

— ვფიქრობ, ნაღმი უნდა იყოს, — უბრალოდ უპასუხა ანდრეამ.

კვლავ მდუმარედ უცქერდნენ მას და არავის უცდია ბუჩქნარიდან გა-
მოსვლა.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბაჭის სოროა და არა ნაღმი. — ჩუმად
თქვა რაზმის უფროსმა. — ხოლო თუ ნაღმია, შეიძლება არც კი აფეთქდეს.
ხანდახან არ ფეთქდება, თუ ნესტმა შეაღწია ნაღმში.

ანდრეა უაზროდ უყურებდა მათ და მის შეგნებამდე ვერ აღწევდა
უფროსის სიტყვები. ერთადერთი, რაც მას აკავშირებდა ახლა ბუჩქნარში
მდგომ ხალხთან, ეს იყო მათი მზერა. დახმარება კი არავის არ შეეძლო.
ამხანაგები მოშორებით იდგნენ და ისევ დაჟინებით უცქერდნენ — არავი-

თარი ბაჭის სორო, ნამდვილად ნაღმი იყო მის ფეხქვეშ. უკანასკნელი იმედ-
ლი ისღა დარჩენოდა, რომ შეიძლება არ აფეთქებულიყო იგი.

— ღმერთო, — ძლივს გასაგონად წაიხურჩულა ანდრეამ. — ღმერთო...

უეცრად იგი უხერხულობამ შეიპყრო, რაღაც ისეთი სირცხვილის
მსგავსმა გრძნობამ, ადამიანი რომ იგრძნობს, როცა შიშველს შეასწრებენ.
ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ამხანაგები დაყინებით უმზერდნენ და მეტს არა-
ფერს ცდილობდნენ. რას გაშეშებულან და მისჩერებია, თუ დახმარება აი-
შეუძლიათ? რას ელოდებიან? რისი დანახვის იმედი აქვთ?..

ანდრეამ ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო, თუ როგორ აუფეთქდა სისხლი ძარ-
ღებში, როცა პირველად გაიგონა მოახლოებული ამხანაგების ხმა, ახლა
კი ისევ ყველაფერი სწრაფად დატრიალდა მის გონებაში; თვალი უფრო
დაუხეხლდა და უკვე თითქოს ბურუსში ხედავდა მდუმარე ამხანაგების
სახეებს. ტყე, ხშირი ბუჩქნარი, მაღალი ფიჭვნის გვირგვინი და რტოებ-
ში მოთინათინე ოქროსფერი მტვერი — ყველაფერი ღრმა მდუმარებაში
მოიცვა ისევ. ეჩვენებოდა, თითქოს ამ სიჩუმეს თვითონვე ქმნიდა და მის
ირგვლივ მყოფი ადამიანებიც და საგნებიც ძლივს ითქვამდნენ სულს. და
განა მარტო მის ირგვლივ — ცნობიერებაშიც რაღაც თავბრუდამხვევი ხდე-
ბოდა: უხილავი საგნები სწრაფად რიალებდნენ, მეხსიერებაში. თვალის
დახამხამებაში გაირბინა ყველაფერმა, რაც კი დღემდე მომხდარიყო მის
ცხოვრებაში. შემდეგ ბუნდოვნად ცოლის სახე გაარჩია და სახეთა რიალი
იმ წამსვე შეწყდა, როგორც ეკრანზე შეწყდება ხოლმე კადრთა სროლა
კინოფირის გაწყვეტის დროს. ანდრეამ ყელში რაღაც იგრძნო და ცოლის სახე-
ლის დაძახება მოუხდა, მაგრამ აღარ დაუყვირია. იგი ცოცხალივით ხედავდა მას
თვალწინ — ჯულია მზის შუქით განათებული იდგა. სახეები ისევ არიალდ-
ნენ, მაგრამ ახლა მხოლოდ ცოლს ხედავდა იგი, მისი სახელა ედგა თვალწინ,
ასე საყვარელი, ასე ახლობელი ხატება. თითქოს სულში გაანათაო, ანდრეა
მიხვდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მისი გულისათვის, ჯულიას გამო ენანე-
ბა სიცოცხლე, ენანება, რადგან უნდა დაშორდეს მას, დაკარგოს იგი. ამის
გაფიქრებაზე გონება საბოლოოდ გაუნათდა. რატომღაც მისდაუნებურად
სიმშვიდე იგრძნო.

ანდრეამ კვლავ გაარჩია ამხანაგების სახეები; ისინი ისევ ისე, ძველე-
ბურად უძრავად იდგნენ ბუჩქნარში და დაყინებით მისჩერებოდნენ.

— წერილი მინდა გავუგზავნო ცოლს, გამოვემშვიდობო, — უბრალოდ
თქვა ანდრეამ.

ამხანაგების მზერა უკვე აღარ იწვევდა უხერხულობის გრძნობას. ისინი
ხომ მისი ახლობლები იყვნენ. მხარიმხარ მუშაობდნენ ერთად. მათ სიცოცხლე-
საც ასეთივე საფრთხე ელოდა ყოველ წამს: ან ერთი უნდა აფეთქებული-
ყო ნაღმზე, ან მეორე; ანდრეა კარგად არც კი იცნობდა მათ; ისინი იდგნენ
მოშორებით და მხოლოდ მისჩერებოდნენ, რადგან დახმარება არაფრით
არ შეეძლოთ, ხოლო რომ შეძლებოდათ, აუცილებლად დახმარებოდნენ.

— იქნებ გადატომა შეძლო როგორმე, — გაუბედავად ჩაილაპარაკა
რაზმის უფროსმა, — ხედავ, მარცხნივ ხეა... აი ის... თუ ისე გადახტები, რომ
სწრაფად მიეფარო ხეს... მგონი ძნელი არ უნდა იყოს...

ვერაფრით ვერ შეძლებდა ასე გადახტომას. ხესა და ანდრეას შორის
ოთხი მეტრი მაინც იქნებოდა. ამას გარდა, ხემდე ბუჩქი იყო, რომელსაც
რაზმის უფროსი ვერ ხედავდა. ახალგაზრდა ფიჭვის ტანიც ძლიერ წვრილი
ყო.

— ცოლს მინდა მივწერო: — ისევ მშვიდად გაიმეორა ანდრეამ.
ქალაღი კი არა მაქვს.

რაზმის უფროსი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ ჯიბიდან ამოიღო უბის წი-
გნაკი და ფანქარი. ანდრეა მზის შუქზე აციმციმებულ ფიჭვს მიაჩერდა და
დაიწყო:

— ძვირფასო ჯულია, როცა შენ ამ წერილს მიიღებ, მე უკვე ცოცხალი
აღარ ვიქნები...

იგი შეჩერდა, თითქოს სათქმელი დაავიწყდაო. თავში ისევ სწრაფად
არილდნენ სახეები და შეშინდა — ისევ ცრემლი და ყვირილი მოაწვა ყელს.

— ძვირფასო ჯულია, — კარნახობდა ანდრეა, — შენ არ გსურდა ამ საქმისა-
თვის მომეკილა ხელი. მაგრამ განა ჩემი ბრალია, სხვა სამუშაო რომ ვერ
ვიშოვე...

კვლავ გაჩერდა. ფიქრმა გაუელვია, ეთხოვა გადაეცათ ცოლისათვის. აქ
მოსულიყო. მას შეეძლო ცოლის ლოდინში მრავალი საათი მდგარიყო უძრა-
ვად. ხოლო ჯულია აუცილებლად მოვიდოდა მასთან, არ გაჩერდებოდა
შორი-ახლოს და არ დაუწყებდა უქმად მზერას, ისე, როგორც ეს ადამიანები
უტკერენ.

— ღმერთო ჩემო. — ჩაიხურჩულა ანდრეამ.

ისევ გაარჩია რაზმის უფროსის სახე — იგი ელოდა, ფანქარი არც კი
აუღია წიგნაკიდან.

— ძვირფასო ჯულია, — განაგრძობდა ანდრეა, — მე ყოველთვის მი-
ყვარდი შენ. იმში შინ დაბრუნებაზე ვოცნებობდი, რათა კვლავ მენახე.
და აი ახლაც შევსთხოვ ზეცას, არ აფეთქდეს ნაღმი, რომ არ დაგკარგო შენ.
რომ არ დაგცილდე საუკუნოდ...

იგი თვალს ადევნებდა ქალაღზე ფანქრის სრიალს, ახლა უკვე აღარა-
ვინ უყურებდა ანდრეას. ყველა. ქალაღზე მოსრიდლე ფანქრის წვერს მის-
ჩერებოდა. ყველაფერი — ხეები, ცოლის ხატება, ფეხქვეშ ნაღმი, ბავშვობის
ბოგონებანი — ყველაფერი კვლავ სწრაფად არილდა ანდრეას ცნობიე-
რებაში.

დარჩა მხოლოდ ერთი: გამომშვიდობება.

— ძვირფასო ჯულია, კიდევ კარგი, რომ არ გვყავდა შვილი. მაგრამ
შენ ყოველთვის გახსოვდე, არ დამივიწყო... და არ გათხოვდე! — დაამთავრა
ანდრეამ.

დაამთავრა და გადახტა. ბარდებში მდგომმა ადამიანებმა დაინახეს, თუ რო-
გორ გადაევლო ბუჩქს ანდრეას ტანი და იმავე წამს შუშხუნასავით როგორ
აენთო იგი აფეთქების ალში გახვეული. დამფრთხალი ხალხი მიწას გაეკრა.

თარგმანი მაყვალა ზიზინაძემ.



შაქერბიკო გასნია ღოკაე

ა მ კ ა რ ო

ამპარო

მარტო რად ზიხარ სახლში?
თეთრად მოსილი, რას შეგადარო,
ნარდსა თუ უსმინს?

გზიბლავს ეზოში საამურ ჰანგთა
ნარნარი ზვირთი,
შენ გესმის, რარიგ ნაზად უსტვენს
კანარის ჩიტი.

სალამოვდება და კვიპაროზებს
შემოსევიან ჩიტის გუნდები.
ზიხარ ჩუმად და აუჩქარებლად
ტილოზე სიტყვის ქარგვას უნდები.

ამპარო

სახლში რად ზიხარ მარტო?
ეგ თეთრი კაბა ჩემს თვალებს ათოვს.

ამპარო

რა ვქნა, დარდი ვერ ვზიდე,
როგორ დავფარო, ან როგორ გითხრა —
მიყვარხარ, ჩემო!

ვარდის ნიშნობა

ვარდი

ავრორას როდი ეძებდა,
ეს სულ სხვა რამეს ელოდა ტოტზე,
სხვა ჰქონდა დარდი.

ვარდი
მარტოდენ ბედნიერებას
აქ საჩრდილობელს როდი ეძებდა,
სხვა ჰქონდა დარდი.

ვარდი
თანატოლ ვარდს არ ეძებდა,
გაოგნებული ცას შეჰყურებდა,
სხვა ჰქონდა დარდი.

ლალოლა

გადმოჰყენია ფორთოხლის ჩრდილი —
ის ჩითის კაბებს რეცხავს.
თვალეები — მწვანე, ღიმილით თბილი,
ხმა — ისაყით მორცხვი.

ო, სიყვარული რარიგ ტკბილია,
როს ფორთოხალი ჰყვავის.

მიბუტბუტებდა მდორედ და ზანტად
რუ, გახვიული მცხუნვარე სხივში
და ზეთისხილის ჭალა ისმენდა
კინტი ბელურის ჟიჟივს.

ო, სიყვარული რარიგ ტკბილია,
როს ფორთოხალი ჰყვავის.
როცა ლალოლა რეცხვას მორჩება,
ტოლი ბიჭები გამოივლიან.

ო, სიყვარული რარიგ ტკბილია,
როს ფორთოხალი ჰყვავის.

თარგმნა გიორგი სალუშვაძემ.

გიორგი სანაღიჩაძე

დიადი მომავლისათვის

ძნელია უწინასწარმეტყველო ახალ-
ფეხადგმულს, რა ადვილს იპოვის
ცხოვრებაში, მაგრამ როცა ვახტანგი
ქალაქში გადმოიყვანეს, მეზობლები ამ-
ბობდნენ, ნახეთ თუ ეს ბიჭი მეზღვა-
ური არ გამოვაო. პატარა ვახტანგი სა-
ათობით იჯდა გორაკზე და გასცქერო-
და ხელისგულივით გადაშლილ ზღვას,
ოცნებით მიჰყევებოდა შორს მიმავალ
ხომალდებს... მერე თვალდახელშეა
გაფრინდნენ წლები და ვინ იცის, ალ-
ბათ, ზღვის სიყვარულმა უკვე კარგა
მომწიფებული ვაჟკაცი ბათუმის გემთ-
საშენ ქარხანაში მიიყვანა. ოცდაოთხი
წლისა თუ იყო. გული ერჩოდა და სა-
ქმის ყადრიც იცოდა, დაუვიწყარი იყო
ის დღე. თითქოს გუშინ შემოაღო ქარ-
ხნის ალაყაფის კარი, თითქოს გუშინ
გაეცნო მუშებს... როცა სახარატო სა-
ამქრო ჩაბარეს, შეცბა კიდეც — ვაი-
თუ თავი ვერ გავართვაო. მაგრამ სულ
ჩქარა წარმატებებიც მოიპოვა და ქარ-
ხნის ადმინისტრაციამ მისი სამოქმედო
ასპარეზი გააფართოვა. ჯერ ზეინკლე-
ბი შეუერთეს, შემდეგ მილგამყვანთა
და გლისერების დამმონტაჟებელთა
ბრიგადაც. ახლა კი საამქროს თავისი
მჭედელიც ჰყავს.

— კარგი აღამიანია, — გვითხრა
ქარხნის პარტიუროს მდივანმა ვახ-
ტანგ დარჩიაზე, — რაც მთავარია, სა-
ქმე იცის და სათანადოდ მომზადებუ-
ლია. არ ყოფილა შემთხვევა, რაიმე
მიზეზით საამქროს გეგმა ჩაშლოდეს.

...დაზგები გუგუნებდნენ.
რიტმულად მოძრაობდნენ საჭრისე-
ბი...

თვალის ერთი გადავლებითაც დარწ-
მუნდებოდით, რომ აქ შრომის ორგანი-
ზაცია კარგად იდგა, რომ ყველაფერი
საქმისა და საჭიროებისათვის იყო გა-
მიზნული.

ვახტანგს საზეინკლო-სამონტაჟო
უბანზე შეეხედით.

ჩვეული გულღიაობით მოგვესალმა,
მაგრამ ხელი არ ჩამოუერთმევია, ზეთ-
ში მაქვს დასვრილიო. ეტყობოდა, მუ-
შებს რომელიღაც დეფექტის დაძლე-
ვაში ეხმარებოდა.

თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია.

ჩვენ ვიცოდით, რომ პირველი საამ-
ქრო დარჩიას მისვლამდე წლების გა-
ნმავლობაში ვერ ასრულებდა გეგმას.
ამიტომ გადავწყვიტეთ გავგეგო — რამ
გამოიწვია საამქროს ასეთი უცარი
შეცვლა. იქნებ ამ კაცმა იცოდა შრო-

მის ორგანიზაცია და კარგად ჩასწვდა მუშების სურვილს? შეიძლება. ესვე გვიამბო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვლადიმერ კეკელიამ, ესვე გვიამბო გამოცდილმა ზენკალმა გიორგი მეგრელიშვილმა.

საერთოდ ქარხანაში, როგორც წესი, ყოველ მეორე დღეს იმართება საწარმოო თათბირი, რომლის გადაწყვეტილებას ზოგადად აცნობენ მუშებს ამ თათბირის მონაწილე პასუხისმგებელი პირები. მაგრამ შიგ საამქროებში ასეთი რამ არ ხდებოდა. ვახტანგ დარჩიამ გადადგა პირველი ნაბიჯი. თათბირზე მუშები თავიანთ წინადადებებსა და გულისტყვილს ამხელდნენ. ამ საღმა კრიტიკამ ხელი შეუწყო პროდუქციის დროულად გამოშვებას.

ამას წინათ პირველი საამქროს მუშებმა ითავეს ასორმოცდაათი ცხენისძალიანი „არკადიის“ ტიპის სამგზავრო კატარლის გამოშვება. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა პირველი, მეთაური გლისერი უნდა ჩაებარებინათ, ლუზის მოწყობილობა უვარგისი აღმოჩნდა. ჯაჭვი, რომელიც დისკოზე გადიოდა, არ შეესაბამებოდა ყალბის. გეგმა კი, რომელიც სწორედ ამ გლისერის გამოშვებაზე იყო დამოკიდებული, უნდა ჩაშლილიყო. საამქრომ არ დააყოვნა და ერთი ღამის განმავლობაში აღკვეთა დეფექტი.

ასეთი იყო ადამიანის ნება.

როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს გაეცნენ წარმოებაში ავტომატიკისა და მექანიზაციის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ, ბევრი მოძველებული დაზგა იყო საამქროში, ზოგი სამუშაო ხელითაც სრულდებოდა. ასე ამუშავებდნენ თხელფურცლოვან ფოლადს. მაგრამ ახლა მათ დასაჭრელად ელექტროენერგიით მომუშავე გორგოლაჭიან მაკრატლებს ხმარობენ. იდგმება მილების ცივად საღ-

ნავი დაზგა, რომლის პროექტი თვითონ წარმოების ოსტატმა სერგო პოტალოცმა შეიმუშავა. მის შექმნაში ახლა მთელი კოლექტივი მონაწილეობს.

— როგორ ატყობ? — ჰკითხა ერთ-ხელ კომუნისტმა იური მანჯგალაძემ ვახტანგს, — ჩემის აზრით, მღარავი დაზგა მეტად ცუდ ადგილას დგას, დეტალების მიტანა დაზგამდე ხელით გვიხდება და დიდ დროსაც გვართმევს.

მართალი გამოდგა გამოცდილი ოსტატი. ეს თითქოს ძალიან წვრილმანი იყო, მაგრამ მეტად საჭიროც. ახლა მღარავი დაზგა შესაფერის ადგილზე გადაიტანეს და მძიმე დეტალებს ელექტროამწე აწვდის.

— ასეთ ადამიანებთან ყველაფრის გაკეთება შეიძლება, — გვიამბობს შემდეგ საამქროს უფროსი, და ჩვენც, როცა მაჩვენებლების დაფასთან ვჩერდებით, ვრწმუნდებით ამაში.

ორასი!..

ორასორმოცდაათი პროცენტი!

აი, უბრალო, რიგითი ადამიანების დღიური წარმატება.

ასეთი თავდადებული შრომით დაიბადნენ ნოვატორები!

ასეთმა თავდადებულმა შრომამ გამოიყვანა ცხოვრების ფართო გზაზე ვლადიმერ კეკელია, ილია ჩხარტიშვილი, აზატ ოვანესიანი და სხვები.

საამქრო კი აკეთებს თავის საქმეს.

გუგუნებენ დაზგები, იჭრება ფოლადი...

* * *

ხანდახან ჩაფიქრებული გაუყვება ქუჩას.

ბევრი რამ აწუხებს.

საამქრო ხომ მისი მეორე ოჯახია.

აგერ — რამდენიმე ახალი რაციონალიზატორული წინადადება ასათვისებელი.

აგერ — დაზგებია შესაცვლელი.

აგერ — თვითური გეგმაც კარზეა მომდგარი.



ყველაფერს ვერ მოსწრებ, ყველაფერს ვერ ჩაწვდები.

ამას წინათ ვასილ ლადიგინის ცოლმა მოირბინა. ქალი ტიროდა, თუ ასე გაგრძელდა, მასთან ერთ წუთსაც ვერ ვიცხოვრებო.

ყურადღებით მოუსმინა.

— მაშ, შენ ამბობს, რომ ყოველდღე მთვრალი ბრუნდება შინ?

კლავდიამ დასტურის ნიშნად თავი დახარა.

ეოცა ვახტანგს. ეოცა, რადგან საქმე მისი საამქროს ერთ-ერთ გამოცდილ სპეციალისტს ეხებოდა. არ დაიჯერა, მაგრამ როცა მეორე დღეს ლადიგინი შეზარხოშებული შემობარბაცდა საამქროში, ყველაფერს მიხვდა. უნდოდა ეთქვა: „სირცხვილი არაა, ამ ხნის კაცი მეგობრების სახელს არცხვენო“, მაგრამ თავი შეიკავა. პაპიროსი გააბოლა და მშვიდად მიესალმა, როგორა ხარო. ვასილმა კი ხელი ჩაიქნია და დაზგისაყენ გაემართა.

...სალამოს ისინი ერთად გაემართნენ სახლისაკენ.

ორივე უხმოდ მიდიოდა.

ერთხელაც არ შემოუხედავს ლადიგინს ვახტანგისათვის. რცხვენოდა. ისინი ზომ დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. სანაპიროსთან შეჩერდნენ. მოაჯირს მიეყრდნენ და ასე იდგნენ ჩუმად. მაგრამ მათთვის რომ შეგეხედათ, მიხვდებოდით, რომ ამ ადამიანებს არაფერი ჰქონდათ გასაყოფი. არც ძმები იყვნენ, მაგრამ ძმურმა სიყვარულმა და შრომამ დააახლოვა ისინი.

ის დღე იყო და აღარავის უნახავს მთვრალი ლადიგინი, არც ცოლისათვის უწყენინებია რამე, მაგრამ ჩვეულებად ეს-და დარჩა, ყოველ შაბათს, სამუშაოს შემდეგ, ვახტანგს გამოუვლის და ტოლჩა ლუდს შეექცევა სანაპიროს კაფეში.

* * *

— ალბათ, გავიწილი გექნებათ კოჟე-მიაკინის კომუნისტური შრომის ბრიგადის შესახებ, — გვითხრა ენვერ მა-

ლაზონიამ. — მაგრამ აი, ჩვენი გეგმაც არაა, რომ არ ყოფილიყო, ვილი მიაკინი შეიძლება გზას აცდენოდა.

ამ ამბავმა დაგვაინტერესა.

პირველად, როცა ვილი მოვიდა ქარხანაში, ყოყოჩობა დასჩემდა. აბუჩად იგდებდა და დასცინოდა მეგობრებს. მერე საამქროს გაზეთში ამის თაობაზე წვნიშვნა გაჩნდა და ეწყინა ჭაბუკს. არ მიიღო კრიტიკა და ცრუ პატივმოყვარეობას აპყვა. შეურაცხყოფა მიაყენა უფროსებს, კომკავშირის კრებებიც მიატოვა, — უჩემოდაც კარგად ჩაატარებო.

ბიურომ ასეთი საქციელისათვის კომკავშირიდან მისი გარიცხვა მოინდომა და აასრულებდა კიდევ, რომ საამქროს უფროსს ვახტანგ დარჩიას არ დაეცვა. როგორ ხდებოდა, რომ ასე სწრაფად იბირებდა ყველას ვახტანგი! ეს კია, რომ მეტად ჰუმანურად იკიდებოდა ამხანაგებს, არ აჩქარდებოდა, ბევრჯერ აწონ-დაწონიდა და ისე თუ იტყოდა რასმე.

ის დღე იყო და შეილივითადევენება და თვალყურს ვილის, ცუდ წრეში იყო და ჩამოაცილა.

— შენი ქარხნის და შენი საამქროს პატრიოტი უნდა იყო. უნარი შეგწევს და, აბა, მოწინავეთა შორის რატომ არ უნდა ითვლებოდე?

თვეებს თვეები გაყვნენ და შემდეგ, როცა კოჟემიაკინი შრომითი წარმატებებისათვის ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელად დანიშნეს, უხაროდა ვახტანგს. მაგრამ ეს სიხარული არავის შეუმჩნევია მისთვის. იგი წინანდებურად მკაცრი და სამართლიანი იყო. ვილიმ სალამოს სკოლაშიც განაახლა მეცადინეობა და ერთ წელიწადში ითხი წლის კურსი გაიარა.

...ფოსტალიონმა წერილი გაუწოდა ვახტანგს.

— ოდესიდან?

— კი მაგრამ ვინ უნდა მწერდეს? წარბები შეჭმუნა, თითქოს რაღაცის გახსენებას შეეცადა. მაგრამ უმაღ-

გაუნათდა სახე- ვილისგანაა. ის ხომ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად გაემგზავრა.

არ შეურცხვენია აღმზრდელი.

სულ ხუთებზე ჩაუბარებია და ახლა სიყვარულით სავსე ბარათს უგზავნიდა იმ ამავისათვის, რომელიც საამქროს უფროსმა ვახტანგ დარჩიამ დასდო.

საამქრო კი გუგუნებს...

ადამიანები დახრილან დაზგებზე და ლითონი საჭირო ყალიბში გამოჰყავთ. შვიდწლედის ანგარიშში მუშაობენ ისინი და მარტო აგვისტოში „არკადიის“ ტიპის სამი სამგზავრო კატარლა ჩაუშვებს ზღვაში...

* * *

უცნაური სურვილი აეკვიატება ხოლმე კაცს. გინდა საათობით სარკმელთან იდგე და აყურადებდე მშობლიური ქალაქის ფუსფუსს, უთვალთვალო სველ ასფალტზე მოსრიალე მანქანებს... ელნათურები კი ციციანთელებივით მი-

მოფანტულან ღამის ბურუსში და მათ შუქზე ბუნდად, ძალიან ბუნდამდე ნევ ქუჩაში გამვლელთა სახეებს. ისინი მოდიან დადლიონი, ახალი ოცნებებითა და იმედებით სავსე, დაკოჟირილი ხელებით სანოვავის პარკუჭანები მი-აქვთ და იცი, რომ მათ შორის ბევრია ისეთი, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი დიადი ხვალისდელი დღის მოახლოებაში.

მოდიან ადამიანები... დგახარ და უყურებ. გინდა თითოეულის სულში ჩაიხედო, მეგობრულად ჩამოართვა ხელი. მაგრამ ყველას ვერ გაწვდები... ყველას ვერ დაიმახსოვრებ... თუმცა ბათუმის გემთსაშენი ქარხნის პირველი საამქროს უფროს ვახტანგ დარჩიას — უბრალოდ ჩაცმულ, საშუალო ტანის მამაკაცს, რომლის თვალები მუდამ თბილი შუქითაა სავსე, ვერასოდეს დაივიწყებ.



მიხეილ სვამბოლიშვილი

ახლის, პროგრესულის უძლეველობის შესახებ

ცნობილია, რომ მატერიალისტურ დიალექტიკას განვითარება ესმის როგორც ძველის კვდომა და ახლის, პროგრესულის წარმოშობა. მატერიალისტური დიალექტიკა ობიექტურ სამყაროს განიხილავს არა როგორც უცვლელ ნივთთა ერთობლიობას, არამედ როგორც განვითარების პროცესების ერთობლიობას. საგნები, მოვლენები იმყოფებიან განუწყვეტელ მოძრაობასა და განვითარებაში, მუდმივ ნგრევასა და შენებაში. მარქსისტული დიალექტიკის ამ დებულების მეცნიერულ ხასიათს ადასტურებს ბუნებისმეტყველების მონაცემები, საზოგადოების განვითარების ისტორია, მუშათა კლასის ბრძოლის მთელი გამოცდილება. რაკი ეს ასეა, რაკი განვითარება არის ძველის კვდომისა და ახლის, პროგრესულის წარმოშობის მთლიანი პროცესი, ამიტომ ყოველივე ის, რაც წარმოიშობა და ვითარდება, უძლეველია. მაშასადამე, სინამდვილის განვითარების გარდუვალი კანონია არა მარტო ძველის კვდომა და ახლის, პროგრესულის წარმოშობა, არამედ ახლის, პროგრესულის უძლეველობაც.

ობიექტური სამყაროს განვითარების პროცესში ახლის, პროგრესულის წარმოშობა მიმდინარეობს ძველის წიაღში, ე. ი. ძველი წარმოადგენს ახლის წარმოშობის პირობას. თვითეული შემდგომი საფეხური კანონზომიერად გამოდინარეობს წინა საფეხურიდან, ხოლო თვითეული წინა საფეხური კანონზომიერად ამჟღავნებს პირობებს შემდგომი საფეხურისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, მატერიალისტური დიალექტიკის მიხედვით, ყოველ საგანს თუ მოვლენას გააჩნია წარსული, აწმყო და მომავალი. სწორედ ეს არის განვითარების ობიექტური კანონზომიერება.

ძველისა და ახლის არსებობისა და ბრძოლის

ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითს ვპოულობთ საზოგადოების განვითარების ისტორიაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, ახალ საწარმოო ძალთა და შესაბამის წარმოებით ურთიერთობათა წარმოშობა მიმდინარეობს ძველის წიაღში და ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია ვერ წარმოიშობა მანამ, ვიდრე ძველი საზოგადოებრივი წყობილების წიაღში არ მომზადებულია მათი წარმოშობის პირობები. ძველის წიაღში ახლის წარმოშობის პროცესები თანდათანობით ასუსტებენ ძველს და აძლიერებენ ახალს, პროგრესულს. მაგრამ იმის გამო, რომ ახალი წარმოიშობა ძველის წიაღში, ახალი გამოდის ძველის წინააღმდეგ, მიმდინარეობს ბრძოლა ახალსა, პროგრესულსა და ძველს, მომაკვდავს, დრომოჭმულს შორის. ბრძოლა ახალსა, პროგრესულსა და ძველს შორის სინამდვილის განვითარების ობიექტური კანონია.

აქვე უნდა ითქვას, რომ წარმოიშობა რა ძველის წიაღში, ახალი პირველ ხანებში ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ძველი, მაგრამ შემდგომ, განვითარების პროცესში, ახალი, პროგრესული თანდათან ძლიერდება, ხოლო ძველი თანდათან სუსტდება, ძალას კარგავს და განვითარების წინსვლის მუხრუჭად იქცევა. ამიტომ მისი გაძალახვა და მოსპობა აუცილებელი ხდება. აი რით აიხსნება, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები ვერ ურიგდებიან ახლის, პროგრესულის ცნებას, იმას, რომ ახალი, პროგრესული ისტორიული აუცილებლობით ცვლის ძველს, დრომოჭმულს, ცვლის იმით, რაც მზარდი და განვითარებადია, მომავლის მქონეა, რევოლუციურია, და ყოველნაირად ცდილობენ თავი დააღწიონ მომაცდავი კაპიტალისტური წყობილების სოციალისტური წყობილებით შეცვლის აუცილებლობას.

თავისთავად ცხადია, რომ ახალი, პროგრესული აღმამიანება უნდა დამკვიდრონ მტერთან აქტიური, შეურიგებელი ბრძოლის პირობებში. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, ახალი, პროგრესული თავისთავად არ ხორციელდება. მას აღამიანები აღწევენ ხანგრძლივი და შეუზოგარი ბრძოლით, ყველა სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვით. ვ. ი. ლენინი წერდა: „ათეული მილიონობით აღამიანი შეკვეთით არ ახდენს რევოლუციას, რევოლუციას მხოლოდ მაშინ ახდენენ, როცა გამოუყალიბება რევება დგება, როცა ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩაყარდა, როცა ათეული მილიონობით აღამიანის საერთო იერიში და გამბედაობა ამსხვრევს ყველა ძველ ზღუდეს და მას მართლაც ძალუძს ახალი ცხოვრების შექმნა“ (ტ. 24, გვ. 610).

მენშევიკებს, ესერებს და ყველა სხვა ჯურის ოპორტუნიტებს არ ესმოდან განვითარების დიალექტიკური პროცესის სირთულე და, ცხადია, არც შეიძლებოდა ყრფილიყვენ რევოლუციონერები. ისინი უცდიდნენ იმ მომენტს, როცა ისტორიული მოვლენები თავისთავად, აღამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის გარეშე, თვითდინებით განხორციელდებოდა. მატერიალისტური დიალექტიკა აღიარებს, რომ ისტორიული განვითარება რთული და ზიგზაგისებურია, მაგრამ ზიგზაგისებური, მიხვეულ-მოხვეული გზის აღიარების აუცილებლობა არ გამოირიცხავს განვითარებაში პირდაპირ გზას. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, მარქსისტებს უნდა შეეძლოთ განუმარტონ მასებს მათი ისტორიის გადამწყვეტ მომენტში: პირდაპირი გზის უპირატესობა, უნდა შეეძლოთ დაეხმარონ მასებს პირდაპირი გზის არჩევისათვის ბრძოლაში, მისცენ ასე თუ ისე ბრძოლის ლოზუნგები და ა. შ.

მასასადამე, სინამდვილის შემეცნება რთული და ზიგზაგისებური პროცესია, სადაც განვითარება, წინსვლა მიმდინარეობს ახალსა და ძველს შორის კომპრომისების, კომპრომისებითაა შეუზოგარი ბრძოლის, მიხვეულ-მოხვეული, პირდაპირი გზითა და სხვ. ამიტომ განვითარება, წინსვლა ყოველთვის მიმდინარეობს წინააღმდეგობათა, სიძნელეთა გადალახვა-დაძლევის გზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური დეველოპებით ახლის, პროგრესულის უძლეულობის შესახებ და უდიდეს ყურადღებას აქცევს ახლის გრძნობის აღზრდას, განსაკუთრებით ამჟამად, როცა სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალი ისტორიულ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშენილი მშენებლობის პერიოდში. თავისთავად ცხადია, ის აღამიანები, რომლებსაც უნარი არ შესწევთ დაინახონ ახალი, არ შეიძლება

იღგნენ იმ ამოცანების დონეზე, რომლებსაც საბჭოთა აღამიანებს უსახავს კომუნისტური მშენებლობა. ახლის გრძნობა არის სინამდვილური და პრაქტიკული კომუნისტური დამოკიდებულების გამოხატულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მოვლენა უნდა შევადგათ საბჭოთა ხალხის ინტერესების თვალსაზრისით, კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების თვალსაზრისით.

მასასადამე, ახალი რომ დაეინახოთ, ავსნაო და შევიცნოთ, უნდა ვფლობდეთ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას. უნდა გაგვაჩნდეს ახალი მოვლენების დანახვისა და განზოგადების უნარი.

...„მარქსისტი.—წერდა ვ. ი. ლენინი, — პირველი განჭვრეტა ხოლმე რევოლუციური ეპოქის დადგომას და იწყებს ხალხის გაღვიძებას, ზარების რეკვას ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფილისტერებს ერთგული ქვეშევრდომების მონური ძილით სძინავთ. ამიტომ მარქსისტი პირველი დადგება ხოლმე აშკარა რევოლუციური ბრძოლის გზას, ებმება უშუალო შეტაკებაში, ამჟღავნებს ყოველგვარ სოციალურად და პოლიტიკურად ტყუამოკლებულ შემარიცხებულ ილუზიებას“ (ტ. 11, გვ. 418).

ახლის ძველზე გამარჯვების საუკეთესო მაგალითის წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც ფართო მასშტაბით გადალახა ძველი ტექნიკური ნორმები, დაამსხვრია ძველი შეხედულებები ტექნიკაზე და დანერგა ახალი, მოგვცა ახლის ძველზე გამარჯვების თვალსაჩინო ნიმუში.

ახლის გრძნობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იღებს კომუნისტური საზოგადოების გაშენილი მშენებლობის პროცესში. როცა ყოველდღიურად წარმოიშობა ახალი მოვლენა. ასეთ პირობებში, ცხადია, ახლის, პროგრესულის შემჩნევის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ახლის დახსნა-ვად, წინააღმდეგობათა, სიძნელეთა დროზე გადალახვად შეუძლებელია უზრუნველყოთ სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლა. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ახლის გრძნობას, ახლის დანახვისა და შემეცნების უნარს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოების განვითარების, წინსვლის პროცესში, განსაკუთრებით სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის პირობებში წარმატებათა მოპოვება შეუძლება მოძველებული მოვლენების დროზე შემჩნევისა და ახალი მოვლენებით მათი დაუყოვნებლივ შეცვლის გზით. მაგალითად, წარმოებითი ურთიერთობანი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ჩამორჩებიან საწარმოო ძალების განვითარებასა და ზრდას, მაგრამ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების ამოცანა სწორედ ის არის, რომ დროულად შეინიშნონ მზარდი წინააღმდეგობანი და სათანადო ზომები მიიღონ მათ დასაძლევად საწარმოო ძალთა ზრდასადმი წარმოებით ურთიერთობათა შეხამების გზით, საწარმოო ძალთა ხასია-

თისადმი მათი შეხამებისაში მოყვანის გზით. მაშასადამე, წინააღმდეგობათა გადაწყვეტა, დაძლევა სოციალისტურ საზოგადოებაში ხორციელდება ახლის ძველზე გამარჯვების გზით. ეს გზა კი არის მოძრაობა წინ დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. ამიტომ წინააღმდეგობა, წინააღმდეგობათა დაძლევა წარმოადგენს განვითარების წყაროს და მამოძრავებელ ძალას. ამ წინააღმდეგობათა მხილებისა და დაძლევის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შევიზრებას, რომელიც წარმოადგენს ძველის წინააღმდეგ ახლის ბრძოლის განსაკუთრებულ ფორმას და ახასიათებს მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახლის გრძნობას ძველზე, დრომოჭმულზე ახლის, პროგრესულის გამარჯვებისათვის. პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მხოლოდური და დაძლეული ყოფილიყო ის შეცდომები, რომლებიც ჩვენი პარტიის ცხოვრებაში შეინიშნებოდა პიროვნების კულტთან დაკავშირებით.

თავის ღრმაშინაარსიან სიტყვაში მწერალთა III საკავშირო ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ჩვენი მწერლები ცხოვრობენ ხალხის ცხოვრებით, მათ ბევრი კარგი ნაწარმოები შექმნეს, „რომლებიც სიპართლით ხატავენ ცხოვრების სურათებს, მოგვიწოდებენ ბრძოლისათვის“. მაგრამ „ზოგიერთ ლიტერატურულ წრეებში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე გაჩნდა სიტყვა „შემღამაზებელი“. ეს მეტასახელი სურთ მაიკრან იმ მწერლებს, რომლებიც გვიჩვენებენ ახლის, კომუნისტურის ცხოველმყოფელ ძალას. ფიქრობ, საჭირო არ არის გითხრათ, თუ რა გაბედულად ვაშკარავებთ ჩვენს ნაკლოვანებებს. ახლა, როცა უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ სასტიკად და ულმობლად გავაკრიტიკეთ წარსულის უარყოფითი მოვლენები, ცოტადა დარჩა ისეთი ადამიანი, რომლებსაც არ ესმოდეო, რომ საჭიროა მკვეთრი, ულმობელი კრიტიკა ყოველივე იმისა, რაც დაკავშირებული იყო პიროვნების კულტთან. პარტიამ, ხალხმა გადაჭრით დაგმო წარსულის შეუწყნარებელი მოვლენები და ნაკლოვანებები“ (გაზ. „კომუნისტი“, 1959 წ. 26 მაისი).

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს სწორედ იმ ფაქტს, რომ სინამდვილის განვითარება არ მიეპართება მოვლენების პარმონიული გაშლის გზით, როგორც ამას მეტაფიზიკოსები ამტკიცებენ. განვითარება წინააღმდეგობრივი, ნახტომსებური, იგი მიმდინარეობს წინააღმდეგობათა გახსნისა და

დაძლევის გზით და მთავრდება ძველსა და დრომოჭმულზე ახლის, პროგრესულის გამარჯვებით. მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოიძლევა შეძლებას მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვო. ამისათვის კი აუცილებელია პარტიის ხელმძღვანელობა.

როგორც ცნობილია, კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ბოლომდე აღადგინეს ლენინური პრინციპები და ნორმები პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში. მაგრამ როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, ყველამ სწორად როდი გაიგო სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი. აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები (თვით ცენტრალურ კომიტეტშიც კი), რომლებიც არ ეთანხმებოდნენ პარტიის გენერალურ ხაზს და შექმნეს ანტიპარტიული ჯგუფი. პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამხილეს ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა და გაანადგურეს იგი. ცხადია, ეს იყო ახალი, რევოლუციური ძალების გამარჯვება ძველ, დრომოჭმულ ძალებზე. ახალი ძალები მოწოდებული არიან დაიცვან კომუნისტური პრინციპები, იბრძოლონ კომუნისტური პრინციპების გამარჯვებისათვის.

„...ლიტერატურულ წრეში გაჩნდნენ ისეთი ადამიანები, — ამბობდა ამაზნავი ნ. ს. ხრუშჩოვი მწერალთა III საკავშირო ყრილობაზე, — რომლებსაც სურთ როგორღაც სახელი გაუტეხონ მწერლებს, რომლებიც ჩვენი ცხოვრებას გვიჩვენებენ კომუნისტური პოზიციებიდან, ესე იგი ახლის, კომუნისტურის გამარჯვებას...“ (გაზ. „კომუნისტი“, 26 მაისი, 1959 წ.). ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ საბჭოთა მწერლებს შორის არიან ისეთი, რომლებიც ვერ ხელმძღვანელობენ ახლის გრძნობით, ძველზე დრომოჭმულზე ახლის, პროგრესულის გამარჯვების კანონზომიერებით, კიდევ მეტი, ისინი ილაშქრებენ ახლის, კომუნისტურის წინააღმდეგ. მაშასადამე, კვლავ დასტურდება იმ ფაქტის ჭეშმარიტება, რომ ახალი, პროგრესული თავისთავად როდი იმარჯვებს, იგი შეიძლება განვახორციელოთ ძველი, დრომოჭმული, რეაქციული ძალების წინააღმდეგ ახალი ძალების შეუპოვარი და ულმობელი ბრძოლით.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ცხოვრება ისე უნდა გავიგოთ, როგორც ის არის სინამდვილეში, ყოველგვარი დამატებისა და გამოკლების გარეშე, უნდა გავიგოთ ისე, რომ ცხოვრების მოვლენებში ხედავდეთ დადებითსა და უარყოფითს, არსებითსა და არაარსებობის, ახალს, პროგრესულს და ძველს, დრომოჭმულს. მეტაფიზიკოსებს არ შეუძლიათ ცხოვრება წარმოიდგინონ დადებითისა და უარყოფითის ერთიანობის სახით. ამიტომ თუ ისინი აღიარებენ უარყოფითს, მაშინ აბსოლუტურად უარყოფენ დადებითს და, პირიქით, ე. ი. ხან ერთ უკიდურესობაში ვარდ-

ზიან, ხან კი მეორეში. პრაქტიკულად ეს თავს იჩენს იმით, რომ ესა თუ ის მწერალი ხელს ჩასჭიდებს ან დადებითს ან უარყოფითს და არ შეუძლია კრიტიკულად შეხედოს ძველს, გადაამუშაოს იგი, ისარგებლოს მისგან დადებითით და ამით გაამდიდროს ახალი, პროგრესული, წარმოგვიდგინოს იგი უფრო სრულყოფილი სახით. „მე მინდა ისეთ მწერლებს დავუჭირო მხარი, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომლებსაც რატომღაც „შემლამაზებლებს“ უწოდებენ იმის გამო, რომ თავიანთ ნაწარმოებებს საფუძვლად უდებენ დადებითი გმირების ჩვენებას“ (გაზ. „კომუნისტი“, 26 მაისი, 1959 წ.). ეს საკვებით ბუნებრივია, რადგან მატერიალისტური დიალექტიკა განვითარებას განმარტავს, როგორც ახალსა და ძველს შორის ბრძოლას, ახლის, პროგრესულის ძველზე გამარჯვების კანონზომიერებას და, ცხადია, ამიტომ უნდა გვეყრდნობოდეთ დადებითს, ახალს, პროგრესულს. სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა ახლის გრძნობის, ახლის დანახვის უნარის მნიშვნელობა სინამდვილის შეცნევის პროცესში.

მაშასადამე, საჭიროა და აუცილებელი ისეთი ნაწარმოები, რომელშიც მოცემული იქნება ძაღვებითი გმირები. ასეთი ნაწარმოების ავტორებს ყველაფერი არ მოსწონთ თავიანთ დადებით გმირებში, მიუთითებს ნ. ს. ხრუშჩოვი, ისინი ადა-მიანებს ხედავენ ისეთებს, როგორც ისინი არიან ცხოვრებაში — ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლასა და შრომას. და ეს საკვებითი კანონზომიერია, რადგან მხოლოდ დადებითის ჩვენებით, დასდებითზე დაყრდნობით შეიძლება მომავლისაკენ სვლა.

წინა პლანზე გამოაქვს რა დადებითი მოვლენები, რათა დადებითის ჩვენებით აღიზარდონ ახალი აღმამანები, ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ არც სატირა ყოფილა როდისმე აპოლიტიკური. იგი პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ზასრი იარაღია. „სატირა დასცინის ამა თუ იმ მანკიერებას, გადმონათებსა და ნაკლოვანებებს და თავიდან აცილებს ადამიანებს სენს, ეხმარება ადამიანებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი. ამრიგად, სატირა კვლავაც უნდა იყოს ჩვენი პარტიისა და

ხალხის იარაღი, სატირამ უნდა ანადგუროს ყველაფერი, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, ყველა მუნიციპალიტეტს“ (გაზ. „კომუნისტი“, 26 მაისი, 1959 წ.).

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ კომუნისტების გამარჯვებაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ იმ მწერლებს, რომლებიც გვიჩვენებენ ახლის, პროგრესულის ცხოველმყოფელ ძალას, ახლის გამარჯვებას ძველზე, იმ მწერლებს, რომლებიც მტკიცედ ეყრდნობიან ცხოვრების რეალურ, კონკრეტულ მოვლენებს და ემსახურებიან ხალხს, ქმნიან და ისწრაფვიან შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც იარაღად გამოადგება ჩვენს პარტიასა და ხალხს. ესენი არიან არა „შემლამაზებლები“, არამედ ახლის, კომუნისტურის გამარჯვებისათვის, ჩვენი პარტიის საქმისათვის, ჩვენი ხალხის საქმისათვის მებრძოლები.

მაგრამ თუ არსებობენ „შემლამაზებლები“, ცხადია, ყოფილან არაშემლამაზებლებიც. ესენი არიან ის მწერლები, რომლებსაც ლიტერატურის მთავარ ამოცანად მიაჩნიათ ყოველგვარი მანკიერებისა და ნაკლოვანების ძიება და ამით საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობათა და გრანდიოზულ მიღწევათა უკუღმევლყოფა. სრულიად აშკარაა, რომ მათ არ ესმით მარქსიზმ-ლენინიზმის დებულება ძველსა და დრომოჭმულზე ახლის, პროგრესულის გარდუვალი გამარჯვების შესახებ, ახლის უძლეველობის შესახებ. მაშასადამე, ცხოვრების მოვლენები რომ სწორად ასახოს მხატვრულ სახეებში, ამისათვის აუცილებელია მწერალი განიმსჯელოს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, სინამდვილის მოვლენები შეისწავლოს მატერიალისტური დიალექტიკის მომარჯვებით.

ამრიგად, უდავო კემზმარიტებაა, რომ ახლის, პროგრესულის უძლეველობა აბსოლუტური ხასიათისაა და სამყაროს განვითარების უნივერსალური კანონია. იგი დასტურდება საზოგადოებრივი პრაქტიკით, განვითარების მთელი ისტორიით, თანამედროვეობის უდიდესი მოძრაობით მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მთელ მსოფლიოში.



გიორგი ხუხაშვილი

ზ ღ ვ ა დ ა კ რ ი ტ ი

შენიშვნები ურიდონ ხალვაშის პოეზიაში

პოეზიას ხშირად აღარებენ ხოლმე მდინარეს, რომელსაც თავისი სათავე აქვს, შემდეგ თანდათანობით იღვართოვებს კალაპოტს და ბოლოს ან რომელიმე უფრო დიდ მდინარეს ან ზღვას, ან ოკეანეს შეერთვის წყალუხვი, გაღრმავებული და დაღინჯებული. თავისთავად ეს პოეტური სახე შემოქმედების არსებით თავისებურებებს გამოხატავს. კერძოდ, აქ პოეზიის სათავედ ნაკულისხმევია ის გარემო, ის კუთხე, სადაც პირველი შთაბეჭდილებებით მოხიბლული პოეტის ბავშვობა სამყაროს ჯერ გაუმართავი ნედლი სტრიქონებით შეეხმარება. შემდეგ მას მდინარესავით აზიდავს ფართო სივრცეები, მიდის, ხმას იბოხებს, კლდურებს გადალახავს, ღრმადდება და ძლიერდება. და ფერების, სახეების, ცოცხალი აზრის მდინარების ძალა დამოკიდებულია სათავის სიმაღლეზე, იმ ფესვებზე, იმ წიაღზე, რომელმაც დასაბამი მისცა პირველ მღელვარებას, შთაგონებული სულის გაღვიძებას. ხომ არიან სათავეები, რომლებიც მიწისქვეშ იკარგებიან და შესართავამდე ვერ მიატანენ ხოლმე. პოეტისათვის, რომელიც სიჭაბუკის დაცხრომის შემდეგ თითქმის ახალი ძალით იწყებს ცხოვრებას, ჯერჯერობით აღრეა შესართავზე ლაპარაკი, აღრეა განსჯა იმაზე, მიატანს თუ არა მისი პოეზია დიდი პოეზიის ზღვამდე. აქ მხოლოდ სათავეზე შეიძლება ლაპარაკი. სათავეზე, რომლის ხმაური იმდენიანად იმისი. მე მესმის ფრიდონ ხალვაშის ლექსებში ეს ხმები. ეს იმედოანი დაჯერებული მღელვარება პოეზიისა, რომლის ზრდა-გაღრმავებას ამჩნევს მკითხველი წაგნიდან წიგნში.

ფრიდონ ხალვაშის ლექსების სათავე შავი

ზღვის ნაპირებთან, აჭარის მთებში, კოროხის ტალღების ხმაურში იწყება. ალბათ, ბევრ პოეტს შემურდებოდა ასეთ გარემოში პირველი ამღერება. იგი ქმნის პოეტური სახეების აღმოჩენის, ახალი ფერებისა და ხმების პოეზიის განუსაზღვრელ შესაძლებლობას. აჭარის ლაგუნების „დაუხარჯავ ოქროს“ ქართულ პოეზიაში პირველად გალაკტიონ ტაბიძის პოეტური გენია მიწვდა. ზღვის ხმაურში, მწვანე ნაპირების შრიალში, გემების მოძრაობასა და მეზღვაურთა სიმღერებში ჩვენი ზღვისპირეთის ცხოვრების პოეზია გამოისატა. ფრიდონ ხალვაშს გაკვალულ გზასავით დახვდა ეს ტრადიცია: აჭარის ცხოვრება, ბათუმის ქუჩები, შავი ზღვის სიმშვიდე თუ მღელვარება მან თითქმის ფიზიკურად შეიგრძნო და აქვე მონახა თავისი სიმღერის ტონი და კილო. მან საკმაოდ ბევრი დაწერა, დაწერა კარგი ლექსებიც და შედარებით უფერული სტრიქონებიც. აწვიათი ფერადოვანი ნატურა, პეიზაჟი მას ხან ჭეშმარიტი შთაგონებით აღაგზნებდა, ხან კიდევ, ამ დიდ სილამაზეს შეჩვეული, ზედმეტად გათქვფილი მასში, ახალ ხმებსა და ფერებს ვეღარ ამჩნევდა, როგორც ვერ გამჩნევთ ახალ თვისებებს ყოველდღიურად ჩვენთვის მახლობელ საგნებსა თუ სხვარჩინს მეგობრებს... ზოგჯერ საპირო დაშორდე იმას. რაც ძალიან გიყვარს, ვისთანაც ძალიან ახლოს ხარ, რათა უკეთ დაინახო იგი, უკეთ შეგრძნო, რაღაც ახალი დაიპირო და გამოხატო. ფრ. ხალვაშს პქონია ასეთი განშორებები მშობლიურ აჭარასთან, მართალია მშვიდობიანი, არა დრამატული, მაგრამ მაინც, და ახალ გზებს, ახალ მხარეებს სულ სხვანაირად დაუხვეწვენივია მის.

თვის სიყრმითვე ნაცნობი პეიზაჟები. აქვე მინდა ისიც ეთქვა დაურიდებლად, და ნუ გვიწყენს პოეტი, თუ მისი ლექსების გარეგნულ მრავალფეროვნებაში გამოკვეთილობა აკლია იმას, რაც ყველაზე ორგანული და მახლობელია მის ბიოგრაფიაში. გამოკვეთილობა აკლია ზღვის ნაპირების თემას. რა თქმა უნდა, მე სრულიადაც არ გვულისხმობ ერთი პეიზაჟის, ერთი გარემოს ჩარჩოებში გამოკეტვას. „ეთნოგრაფიულ შეზღუდულობას“. არა, მე მკაფიოდ მინიშნებულ სათავეს ვგულისხმობ, და სათავე ამგვარი გაგებით პოეზიაში იმდენია, რამდენიც პოეტის. ზღვა არა მარტო მეზღვაურის ხასიათს ქმნის, იგი რანდავს და აყალიბებს მკაფიო პოეტურ ხასიათსაც. ნიჭური პოეტის ლექსებში ეს ხასიათი, რამდენადაც მკაფიო და ორიგინალურია, იმდენად მდიდარია, მისი პოეზიაში, მე მინდა მეგობარი პოეტის ლექსებში ზღვის ისეთი დიდი სიყვარული განვიცადო როგორც უყვარდა ზღვა აივანოვსკის, ამ „ფერწერის პოსეიდონს“, როგორც უყვარდა რიაზანის ველლები სერგეი ენენის, მუხრანის ველები და ოპირის ფშანები ტიციან ტაბიძეს, გომობრის მთები და ნინოწმინდის ღამეები გიორგი ლეონიძეს. ფრიდონ ხალვაშის ლექსებში არის პოეტური წერტილი, სამზერი, საიდანაც დანახულია ზღვის სივრცე. თუმცა ეს პანორამა ზოგჯერ იზრდილება „საერთო პეიზაჟით“, ევზოტიკური ფერებით. მის მიერ ნამდვილი მხატვრის თვალთ მიგნებული ზღვის პეიზაჟი პალმის რტოს ჩარჩოშია მოქცეული.

პალმის შტოს გადაწვევ და იქით ხავერდში იშლება აჭარა.

კარგად არის დანახული! ჩვენ ვეთანხმებით პოეტს იმაშიც, რომ „აქ ყოველ კვირტსა და ნაკადულს აქვს თავის აზრი და მიზანი“. უფრო მეტიც: აქ ყველაფერს აქვს დამახასიათებელი სახელი, ფერიც და ხმაც. ამ დამახასიათებლის შეგრძნობა პოეტის სულიერ ცხოვრებაში და მისი გამოხატვა არის პოეზია, თუ ყოველივე, რასაც დაინახავ და იგრძნობ, ახალი კუთხით დანახვებს ცხოვრების სილამაშეს ადამიანებს, აღნთებს, მოხიბლავს და გაიტაცებს მას. ჩვენ გვინდა არა მარტო დეტალურად მოვისმინოთ, არამედ განვიცადოთ, დავინახოთ პოეტის ლექსებში, რომ იგი შეზრდილია მშობლიურ გარემოს, განუყოფელია მისგან როგორც პალმის ფესვები, ზღვის ტალღა, რომ „ნიადაგის გრძნობა“ გაჟონილია მის პოეტურ სიტყვაში, რომ სულიერია პოეტის გული ნეტყვლებს თუ მისი საყვარელი მიწა-წყალი:

მე დავიბადე. როგორც ჭოროხი და ლანქერებით მთები დაჰარი, მზემ გააღვიძა ქვეცა და გოროხიც. ამიყვავილა მიწა დამწყვარი. (აჭარა“)

თუ ორგანულად იგრძნობ მშობლიურ კუთხეს, საოცარი ძალა პოეტური ხილვისა შორეულ ქვეყნებთან და ადამიანებთან დაგამოხილვას მოუძღვრება, რომელიც გრძნობს დღევანდელი აჭარის ბედს, მის მზესა და ტალღებში დაბადებულ სიმღერებს, მწვავედ იგრძნობს შორს, უცხო მხარეთა ზღვის ნაპირების სევდასა და სისხარულსაც.

ამბობენ მილანში მღერიათ მუნჯებიც —

„ო, გულში ცეცხლის ალია, იტალიაც, სადა ხარ, დაგქებ ქუჩებში, იტალია, ჩემო იტალია!“

არც გაწყობას, არც რიტმულ ჟღერადობას აქ არ არღვევს „პუბლიცისტური ელემენტი“, დღევანდელი იტალიის სოციალურ ავბედითობის ხაზგასმა. ეს ლექსი რომელიმე სხვა პოეტს რომ დაეწერა საქართველოში იტალიის უნახავად, შეიძლება არც გამოესვლიდა. ამნაირი ლექსი თან მოაქვს შორიდან დაბრუნებული გემების იალქნებს. ეს იწვევს შორეული სივრცეების გახსენებას, გმობას იმ ადამიანებისა, კოლხეუმის ნანატრეებში გაფანტულ ძეგლებს დოლარით რომ ყიდულობენ, იმათ გმობას, ვინც „კოკა-კოლას დაარქვა მიქელ-ანჯელო და ჰანგი მოპარა პავანის“. ზრ. ხალვაშს, როგორც იტყვიან, გამოუდის ასეთი ლექსები. მხოლოდ ზღვას შეეძლო „ეკარნახა“ პოეტისათვის ცნობილი ზანგი მომღერლის, მშვიდობისათვის გამოჩენილი მეგრძოლის პოლ რობსონისადმი მიძღვნილ ლექსში ასეთი მშვენიერი პოეტური სახე: „დინჯად რომ ღელავს ხმაა თუ ტალღა?“

ფრ. ხალვაშს აქვს ნიღრეკილება თავის ლექსებში ერთგვარ ცენტრალურ სახედ აქციოს პალმა, როგორც თავისი კუთხის, აჭარის ლავარდების, ზღვისპირეთის პეიზაჟის დამახასიათებელი დეტალი. ცნობილია, რა სიყვარულითა და ფერწერული სიზუსტით შევიდა რუსული პოეზიის ფერწერაში არყის ხე, როგორ ტონს აძლევს ქართულ ლანდშაფტს პიეზიში ქლიავისფერი მთები. მოსკოვში საქართველოს პავლიონთან ვადაშლილ პალმას პოეტის ოცნება მშობლიურ მხარეში დაუბრუნებია და მზინჯაურის, მწვანე კონცხისა თუ ქობულეთის ნაპირების სურნელეზით გაუბრუნებია. აქ პოეტური სურათი გალკტიონ ტაბიძის ლექსის „ზღვა ახმაურდა“ ხმებით არის გაოცხლებული და, თუ გალკტიონის გენიისათვის პალმის წარმოდგენა მშვენიერი ქალის წარმოდგენას დაუკავშირდა, ფრიდონ ხალვაშის ლექსში „პალმა საქართველოს პავლიონთან“ იგი მშობლიური მხარის სიმბოლურ გამოხატულებად იქცა:

აქ მომეხვია ქარი მშობელი, აქ დამეხურა ზეცა გულდია, თითქოსდა პალმას ჩემი სოფლის მცირე ლავარდი წამოუღია.



კარგად არის ნათქვამი! მშობლიური ბუნების ასე ფაქიზი გრძნობა სამშობლოს სიყვარულშია განათლული და პოეზიაც აქედან დაწყებული მუდამ. ქრუანტელამდე განცდილი ზღვის სილამაზე, მისი ფერების ცვლა ამახვილებს პოეტურ სმენას და ხედვას, შემოქმედების ხალასი ენერგიით ავსებს პოეტურ სულს. პეიზაჟურ ლექსებში ფრიდონ ხალვაში ხშირად წარმოგვიდგება ხოლმე ამ სილამაზით გაოცებული და გარბილული:

...და ღამის ცვარი ისე ცვივა ღორთქთ

ბალახში,

თითქოს ჩრდილები ბალახებზე დაბაიჯებენ.

და მაინც მკითხველს ეუცნაურება ფრიდონ ხალვაშის ლექსების ერთი თვისება: ჰარბოზს სოფლის პეიზაჟი, სოფლის გარემო, ჭორხის ნაპირები, ხულოსა და ქედის სანახები, ჭრილობასავით გავლებული საზღვრის ორად გაპოხილი სარფი. ეს ცუდი როდია. ამ სიყვარულს, ამ გატაცებას აქვს პოეტის ბიოგრაფიაში თავისი გამართლება. უფრო მეტიც: დღევანდელი სოფელი მისთვის სოციალური თუ ეროვნული კეთილდღეობის დასატურა, აღსაცემა მშობლივი ადამიანების სიმღერებით. აქ, ამ ფონზე ჩანან ადამიანები, ნარინჯოვანი ბაღები და პლანტაციების გულსმეფარი შემოქმედნი. შედარებით მცირათლია ლექსებში ზღვისპირა ქალაქების, გემებით, კატერებით, ნავებით, ამწე ოცანებით აღსავსე ნავსადგურების პოეტური მხატვრობა. ეს ყველაფერი ჯერ მკრთალი ნისლით არის დაფარული მის პოეზიაში. და რა ღრმა, რა თავისებური პოეზიაა დიდი გემებით, ყუთებით, მანქანებით, მასუთიანი ქვევით, მხსვილი ზავიერებით და ჯაჭვებით ვაგსებულ ბაქნება, ზღვისპირა პარკებსა და ქუჩებში! ყველაფერი ეს ღირსია პოეტის კალმისა, ყოველივე ამაში იგძნობა ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის ძარღვიანი ხელის მოძრაობა, ყოველივე ეს ელოდება პოეტის სიტყვას, რათა ახალი მშენიერებით გადაიხსნას მკითხველის წინაშე. იქნებ ფრიდონ ხალვაშის პოეტური მანერისათვის უცხოა ქალაქებისა და ნავსადგურების პოეტური მხატვრობა, იქნებ იგი უფრო სოფლის პოეტია, სოფლის სურათების ფერმწერი? მას აქვს ლექსები, სადაც იშვიათი სიზუსტით და გემოვნებით ამჟღავნებს დღევანდელი პოეტის მხვილ თვალს. პოეტს, რომელმაც პატარა „მკვდარ ლითონში“ გახტვითად ომის საშინელება, უკვე ჩამდგარი ქარიშხალი და დამარცხებული სიკვდილი, არ გაუძნელდება გიგანტური გემების, ამწე ოცანების და მეზღვაურების სიმღერით, ტურისტების, მკაზვრებისა თუ შეყვარებულთა ხმებით აღსავსე ნავსადგურის დანახვა. ოღონდ აქ საჭიროა მტკა დაოსტატება, პოეტური ფორმების მეტი სიახლე და დახვეწილობა, ცხოვრებაში უფრო ღრმად შეჭრა, მეტის გრძნობა, პატარა დეტალით დიდი რა-

მის თქმის უნარი. „მკვდარი ლითონი“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია ფრიდონ ხალვაშის მოქმედებაში და საერთოდ ქართულ პოეზიაში ომისა და მშვიდობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის, სწორედ ამ ნიშნებს შეიცავს.

იგი ძვეს ტყეში, ვით დაიწყება, ვით აკლამაში ძვეს ხერხემალი. ირგვლოვ აპრილი მზეხვი წითლდება და თოვლისფერად ყვავის ტყემალი. მას ვერ აღვიძებს მიწის სიმწვანე, მისთვის სიმწვანე არის საფლავი. დღეები ბევრჯერ გამოიცვალნენ, დრომ გაიყოლა მისი ამაზი...
...ნა მოდიოდა სადღაც ქუხილით და არ ძმებდა საეკლს გზებანს. მას არ შეეძლო შიში, წუხილი, მაგრამ სიკვდილი კი შესძლებია. იგი ცცხლშია და რაა ძლიერი, ის, როგორც დროშა, ტყეში დატოვებს...
ახლა კი ჯავშანს ხრავენ წვიმები და ატონებენ წვევენ ატომებს. თითქოს ჰაერის წოლას ვერ უძლებს, სიმაგრეს ფხვიერ მიწაში კარგავს. მოდიან წლები და მის სხეულზე დადუმებულნი რჩებიან ჯანადა. იგი ძვეს ტყეში, როგორც წარსული, იცის, წარსული არ დაბრუნდება. და ბალახებში ფეტქს გაზაფხული კარგი, ვით ომის განადგურება.

აქ შეიძლება არ მოგვწონოთ სტრიქონები — „და არ ეძებდა საეკლს გზებანს“, ან „თითქოს ჰაერის წოლას ვერ უძლებს“, მაგრამ მთლიანობაში აქ არის ომის შეგრძნება, არის პოეტური თემის ისეთი კონკრეტულობა, როდესაც მხატვრული განზოგადების, ქვეტექსტის ძალა დიდია. ამ ლექსში ყველაფერი განცდილია. მის სტრიქონებს ქრუანტელის გადამდები მღელვარება გააჩნიათ და მიტოვებული მკვდარი ლითონის მიღმა ომის საშინელ გზებს, ბრძოლების გამკრთალვულ სურათებს აჩენენ, თითქოს წარსული დღეების ფარდის მიღმა გაახედებენ. ამნაირი ლექსის ბედი თანამედროვეობის გრძნობაზე, ჩვენი დღეების აქტიურ განცდაზეა დანდობილი. თვით ფაქტურაც ამნაირი სახეებისა „ახლა აქ ჯავშანს ხრავენ წვიმები და ატონებენ სწვავენ ატომებს“, ან „მოდიან წლები და მის სხეულზე დადუმებულნი რჩებიან ჯანადა“ იმ სიახლეზე მიგვინიშნებენ, რომელიც ნამდვილ პოეზიას ახლავს ხოლმე თან და რომელმაც დროის გრძნობა, სინამდვილის მხატვრული განცდა ბადებს. აქ არა მარტო იდეური მომენტია საგულისხმო, თვით ფორმაში, წმინდა ფერწერით მომგონებში დაჭერილია „ახლებური პეიზაჟი“, დაჭერილია ომის სუნთქვა და მღელვარება.

ფრიდონ ხალვაშს აქვს ლექსები, სადაც იგი „ახალი

პეზაჟის“ ახლებური ხედვის ამჟღავნებს. მხოლოდ ზღვათან შეზრდილ პოეტს შეეძლო ასეთი პოეტური სახის შექმნა:

ვით აივანზე, გამურულ ცაზე
სველ პაღესაეთ ჰკიდია ნისლი.

(„ჩანასახი ზღვისპირას“)

ზღვა აღვიძებს პოეტის ფანტაზიას მცბუნვარე მზით განათებული ფერებით, წვიმიანი ღლებების შრიალით თუ ვარსკვლავებიან ღამეებში მღვამარებით. მის ლექსებს „წვიმაში“, „თვითმფრინავიდან“, „მეთევზეები“ აჩვენია ზღვის ხმაური და ფერადოვნება. ზღვა, ზღვის ფონი პოეტის ლექსებში ორგანულად შეზრდილია ყოფის სურათებთან, ადამიანების კრიაშულთან. უფრო მეტიც: ზღვის ფონზე ჩნდება საყვარელი ქალის ფიგურა, ზღვა განიცდება როგორც საწყისი ქალური მშვენიერებისა და თვით ბუნების ხასიათში შეინშული ქალის „სილამაზის ნიშნები“. „გამოჩნდნენ ქალი და მებაღერი“, წერს იგი ერთ ლექსში და ეს სტრიქონი საოცრად ამთავრებს წვიმიანი ღლის სურათს, გვაგრძნობინებს ზღვის სიახლოეს, განაცდევინებს ქალის სველ თმაში დარჩენილი ტალღების სუნთქვას. ოღონდ ეს კია: ასევე შორს რჩება ქალის სახე მკითხველისათვის ფრ. ხალვაშის ლექსებში, თითქმის იგი რკინიგზიდან, მატარებლის ფანჯრიდან დაინახეთ მებაღერის ქოხთან მიგდებულ ნავთან, და მერე თვალს მიეფარა, ვერ გაარჩიეთ მისი ნაკეთები, ცოტა იცით მის შესახებ, იცით ის, რომ ქალია და უყვარს. სხვა არაფერი. მეტი გამოკვეთილობა, დასრულება ხასიათისა აკლია ფრ. ხალვაშის ლექსებში საყვარელი ქალის სახეს. ჯერ კიდევ ბატონობს მის ზოგიერთ ლექსში ეგზოტიკური ფონი, მინაზებული მთვარისა და ნარინჯების შრიალის „ნაცნობი პოეზია“, ისმის სენტიმენტალური ტონი. ამის ბრალია, ალბათ, რომ ზღვა, პლანტაციები და მშვენიერი ქალი — შეილი მის ზოგიერთ ლექსში მრავალჯერს ნახული პლაკატური სურათის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ საღდაც ზედმეტად გამართალებულია პოეტური ფერწერა, არ არის პოეზიის სიღრმე;

რაღაც ახლის, საოცრად მშვენიერის შეგრძნება, როდესაც ლექსს სათუთრად აქვს „მუშტოვან სიმღერა“ და მასში თითქმის არაფერია შესატყვისი რული, ვთქვათ, რომ დააწერო „გუთნისდღის სიმღერა“ და არაფერი შეიცვლება. ეს უკვე ლაპარაკობს იმაზე, რომ პოეტი ერთნაირი ძალითა და შთაგონებით არ მუშაობს ყოველ ლექსზე. მართალია, შეუძლებელია ყოველი ლექსი ერთნაირი ძალისა იყოს, მაგრამ შესაძლებელი და აუცილებელიცა თანამედროვე პოეტისათვის სტრიქონების ფილიგრანული დახვეწა-დამუშავება, რაღაც „საკუთარის“ შეტანა ლექსებში. არც ჩვენს მკითხველს და არც პოეტს არ ჰქირდება „მარცხენა ხელით“ დაწერილი სტრიქონები, სადაც მეორდება ასაკურ და ათასჯერ თქმული. ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვერ დავინახავთ იმ „შავთვალს“, რომელიც პოეტს გატაცებით შეყვარებია, ასეთი სტრიქონებით: „მთაზე ღრუბელი — შენი თმებია, ცა ვარსკვლავებით — შენი საკაბე“. ასეთ „ასტრონომიულ მასშტაბებში“ ითქვიფება და იკრება ადამიანი, დღევანდელი ადამიანი თავისი მკაფიო ნიშნებით, ხასიათით. და ყოველივე ამის შეცვლა „დაშაქრული სილამაზით“, მოყირჩებული ბუნების მშვენიერებით, ბამბუკების სიმღერის, ნარინჯების შრიალის და ფანდურის ტრადიციული ხმებით ამინდს ვერ შექმნის პოეზიის ცაზე. ფრ. ხალვაშის ლექსებში არის ყოველივე ამის გადალახვის პრეტენზია. მისი „ვარსკვლავთმომიცხველი“, „გახსოვს სილაზე თითების კვალი“, „ვარსკვლავები ხედავენ“, „თეთრი აპრილი“ გვაცნობენ ადამიანს ახალი სულიერი თვისებებით, დრამატისმით, ღრმა და მართალი ბუნებით.

ფრ. ხალვაში ერთ ლექსში ჩიტების გალობაზე წერს: „მგონია თითქმის მილიარდი წლების სიღრმიდან მესმის სიმღერა პირველყოფილი“. და რამდენად ძლიერია ის ხმები, რომლებიც თვით ცხოვრების წიაღიდან ისმის! ფრ. ხალვაშის პოეტური სიტყვა მომავალში უფრო მეტად უნდა დაიმუხტოს ამ ახალი ხმებით, გამდიდრდეს უფრო ინტენსიური ფორმებითა და ინტონაციებით.



ამიკან გაგზავნი

ლიტერატურაში თანამედროვე რევოლუციონიზმის რეაქციული არსი

ამ ბოლო დროს ლიტერატურაში, ისევე როგორც იდეოლოგიის სხვა სფეროებში, თავი იჩინა რევოლუციონიზმმა, რომელიც გააფთრებით ილაშქრებს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის, სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ და არსებითად ემსახურება ბურჟუაზიულ რეაქციულ იდეოლოგიას.

თავს ასაღებენ რა მარქსისტებად, რევოლუციონისტებად ამავდროულად ეჭვი შეაქვთ ცხოვრებით მრავალგზის შემოწმებულ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითად დებულებებში, ცდილობენ სადავო გახადონ უკვე დიდი ხნის წინათ გადაჭრილი საკითხები და არსებითად უარყოფენ მარქსისტულ-ლენინიზმის სახელმძღვანელო პრინციპებს. ამასთან, რევოლუციონისტები ურცხვად აცხადებენ, თითქოს იბრძვიან არა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ, არამედ ამ მოძღვრებაში „დოგმატიზმის“ წინააღმდეგ.

ლიტერატურაში რევოლუციონისტებმა თავდასხმის მთავარ ობიექტად აქციეს სოციალისტური რეალიზმი. ისინი სავსებით უარყოფენ მას, როგორც სოციალისტური ხელოვნების შემოქმედებით მეთოდს, ილაშქრებენ ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების წინააღმდეგ და მის ნაცვლად აყენებენ „თავისუფალი ხელოვნების“ ძველ, გაცვეთილ ლოზუნგს.

რევოლუციონისტები „ამტიკივებენ“, თითქოს სოციალისტური რეალიზმი შემოქმედებითი მეთოდი კი არა, ლიტერატურისადმი ადმინისტრაციული ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის მეთოდი და „ზემოდან თავზე მოხვეული“ რაღაც დეკრეტების ჯამია. ამის გამო, ამბობენ ისინი, სოციალისტური რეალიზმი გამოირცხავს ყოველგვარ თავისუფალ

შემოქმედებას, ხოლო ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც ამ მეთოდს ეყრდნობა, არ შეიძლება იყოს მართალი.

სოციალისტური რეალიზმი, როგორც ცნობილია, აღმოცენდა როგორც მშალავი და კანონზომიერი ისტორიული ტენდენცია, როგორც ლიტერატურის მთელი წინაგანვითარების შედეგი, ხოლო რევოლუციონისტები ცდილობენ საქმე ისე წარმოგვიდგინონ, თითქოს სოციალისტური რეალიზმი ჩაისახა თვითნებურად, ვიღაცის პირადი სურვილით. ამ მხრივ დამახასიათებელია ფრანგი რევოლუციონისტის ანრი ლეფევერის შეხედულება, რომელსაც იგი გადმოგვცემს სტატიაში „რევოლუციური რომანტიზმისათვის“. მას მიაჩნია, რომ სოციალისტური რეალიზმი არის თვითნებური ცნება, რომ იგი არის თეორია, რომელიც ვაფორმდა მანამ, ვიდრე აღმოცენდებოდა თვით ლიტერატურა. ხოლო რაკი ასეა, მაშინ იგი შინაარსსმოკლებული ცნება და მხოლოდ აბსტრაქტულად არსებობს.

ასეთსავე უსაფუძვლო დებულებას ავითარებენ ის ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეები, რომლებმაც გორკის ნაწარმოებთა უმეტესობა ამოშალეს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურადან მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი დაიწერა 1932-1934 წლებამდე, ე. ი. მანამდე, ვიდრე „შემოიღებდნენ“ ტერმინს „სოციალისტური რეალიზმი“. ამგვარ შეხედულებას, კერძოდ, ავითარებენ ი. ლავრინი და შ. სლომინი, ავტორები ამ რამდენიმე წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული „შრომისა“ რუსული ტერატურის ისტორიის შესახებ. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება პოლონელ რევოლუციონისტებს შორისაც, ისინი მთელ საბჭოთა ლიტერატურას ხელოვნურად ყოფენ ორ პერიოდად — 1934

წლანდე და 1934 წლის შენდევდროინდელ პერიოდებად. ამასთან, ყველაფერ იმას, რაც 1934 წლანდე, ე. ი. მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობამდე შეიქმნა, დადებითად აფასებენ, ხოლო 1934 წლის შენდევდროინდელ მთელ საბჭოთაო ლიტერატურას უზრალოდ ხაზი გადაუსვეს, როგორც ისეთს, რომელიც თითქმის იწერებოდა ადმინისტრაციული იძულებით, კომუნისტური პარტიის მიერ მწერლებისათვის „თავზე მოხვეული“ რეკვარეტებით.

ამ მსჯელობათა აზრი ადვილი გასაგებია: როგორც რეაქციული ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეები, ისე მაიამი ამჟოლო რევოლუციონისტები ყველა საშუალებით ცდილობენ დამაბინჯონ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ნოვატორული არსი, მიჩქმლონ მისი თვისებრივად ახალი ხასიათი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის მსოფლიოში ყველაზე იდეური, ყველაზე პუნდსური ლიტერატურა, რომელიც ასახავს კაცობრიობის ისტორიის დიად ეტაპს — სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობისათვის ბრძოლას. სოციალისტურმა ლიტერატურამ შეითვისა ყველაფერი საუკეთესო, რაც პროგრესულმა ლიტერატურამ მოიპოვა განვითარების მსგელობაში, და წინ წასწია, ახალი შინაარსი მინიჭა წარსულის მოწინავე რეალისტურ ტრადიციებს.

ამას წინათ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაზე მორიგი თავდასხმა მოაწყო ჩინელმა რევოლუციონისტმა ცინ ჩჟაო-იანმა, რომელიც უარყოფდა პრინციპულ განსხვავებას სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასა და წარსულის რეალისტურ ლიტერატურას შორის. „ვეფეროზი, — წერდა ცინ ჩჟაო-იანი, — სოციალისტური ლიტერატურის შინაარსის თავისებურებათაგან გამომდინარე, ძალიან ძნელია აბსოლუტური განსხვავებულობის დადგენა ახალ და ძველ ეპოქათა ლიტერატურას შორის“. ამ გამოთქმამი აშკარად ჩანს თანამედროვე რევოლუციონისტების დამაბინჯებელი ტენდენცია — უარყონ სოციალისტური რეალიზმის ნოვატორული მნიშვნელობა, მისი კლასობრივი ხასიათი, შესცვალონ სოციალისტური ლიტერატურა და ხელოვნება ბურჟუაზიული.

ცინ ჩჟაო-იანის რევოლუციონისტული გამოცვლა მკვეთრად და დასაბუთებულად გააკრიტიკა ცნობილმა ჩინელმა კრიტიკოსმა ლი მო-ხანმა.

„საგანთა საზღვრების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა, სუბიექტივიზმი და სოფისტიკა, — წერს ლი მო-ხანი, — ეს არის რევოლუციონისტების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება. ისინი პოლიტიკაშიც ბუნდოვნად ხედავენ საზღვარს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, არ ესმით განსხვავება პროლეტარიატის დიქტატურასა და ბურჟუაზიის დიქტატურას შორის. ხელოვნების სფეროში ისინი

ნი ჩქმალავენ სოციალისტურსა და ძველ რეალიზმს შორის არსებულ განსხვავებას ბუნდოვნად წარმოდგენა აქვთ სოციალისტური და ბურჟუაზიული ხელოვნების საზღვრებზე. მაგრამ შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყველაფერს აკეთებენ, რათა დაეხმარონ ბურჟუაზიის თავისი სისტემის განმტკიცებაში, იმაში, რომ გატეხონ კაპიტალიზმის ექსპლოატაციის წინააღმდეგ ამხედრებული პროლეტარიატის მეგრძოლი სული. შესაუსტონ სოციალისტურ იდეოლოგიის გაგლემა მშრომელეზე“.

რომ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება სიმართლით ასახავს ცხოვრებას, ემსახურება სოციალისტის საქმეს, იმაში, რომ განამტკიცებს სოციალისტურ სინამდვილეს — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცან მათ. რევიზიონისტებს სურთ, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ემსახურებოდეს არა ცხოვრების დამკვიდრებას, არამედ უჩვენებდეს მის მხოლოდ ჩრდილოვან მხარეებს. რევოლუციონისტები შემთხვევით როდი იმეორებენ ზღაპარს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ლიტერატურა არაა სიმართლის ამსახველი ლიტერატურა, რომ იგი მხოლოდ პარტიის პოლიტიკური რუპორია.

დამახასიათებელია, რომ იოსებ ვიდმარი მეორე იუგოსლავ რევოლუციონისტ ტოშოვიჩთან ერთად თავის სტატიებსა და გამოსვლებში უცვლელად იმეორებს, თითქმის საბჭოთა ლიტერატურა აიდეოლოგებს სინამდვილეს, რომ მას გამოცდილი აქვს ყოველგვარი კრიტიკული შინაარსი. აქედან გამომდინარე, ტოშოვიჩი აკეთებს „შორამკერეტელურ დასკვნებს“ იმის შესახებ, რომ საბჭოთა ლიტერატურა, უარს ამბობს რა სოციალისტური სინამდვილეს კრიტიკულ ასახვაზე, დასცილდა მარქსისტულ პრინციპებს ხელოვნებაში. ამგვარად, ვიდმარი და ტოშოვიჩი ბრალს სდებენ სოციალისტურ ლიტერატურას მარქსიზმის „ღალატში“, ე. ი. იმაში, რაშიც არა სხვა ვინმე, არამედ თვითონ სკოდავენ. ტოშოვიჩს, ვიდმარსა და სხვა რევოლუციონისტებს საბჭოთა ლიტერატურა რომ უფრო ობიექტური პოზიციებიდან განეხილათ, მაშინ იძულებული იქნებოდნენ ელიარებინათ სოციალისტური საზოგადოებისათვის ყოველგვარი უცხო მხილების ის მოტივები, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა ლიტერატურა მაიაკოვსკის სატირული ნაწარმოებებიდან მოკიდებული ოვეჩინის ნარკვევებამდე.

მაგრამ რევოლუციონისტებს არ სურს დაინახონ ყველაფერი ეს. მსგავსად იმ პოლიტიკური რევოლუციონისტებისა, რომლებმაც მთელი სოციალისტური სისტემა უფარგისად გამოაცხადეს სოციალიზმის მშენებლობის დროს დაშვებული ცალკეული შეცდომებისა და ნაკლოვანებების საფუძველ-

ზე. ლიტერატორმა რევიზიონისტებმა რეაქციონერ ესთეტიკოსებთან ერთად კერძო ნაკლოვანებათა სოციალისტური ხელოვნების მთელი შინაგანი არსის გამოხატულებად გამოაცხადეს. ამავე დროს თავიანთი შეხედულებების დასადასტურებლად ისინი იმორწმუნე საბჭოთა ავტორების ცალკეულ სუსტ ნაწარმოებებს, რომლებიც შეიქმნა ჩვენი ერთ დროს გავრცელებული ევრეთეოდებულ „უიონფიქტობის თეორიის“ საფუძველზე. სწორედ ამ „თეორიამ“ წარმოშვა მთელი რიგი მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები, რომელთა ავტორებს სოციალისტური სინამდვილე წარმოედგინათ ყოველგვარი ნაკლოვანებებისა და წინააღმდეგობის გარეშე. მაგრამ რატომ მიაჩნიათ ტოშოეისა და სხვებს მთელი სოციალისტური ლიტერატურის გამოხატულებად სახელდებოთ ის ნაწარმოებები, რომლებიც არა მარტო არაა დახმარებათ სოციალისტური რეალიზმის მეთოდისათვის, არამედ, პირიქით, მის პირდაპირ გამონაკლისს შეადგენს?

კომუნისტურმა პარტიამ მკაცრად დაგმო „უკონფიქტობის თეორია“, როგორც მიუღებელი, და ამ ცრუ თეორიის ტყვეობაში მყოფი მწერლები გამოიყვანა სოციალისტური რეალიზმის ფართო შარავზე. მაგრამ ამისათვის პარტიამ მიმართა არა „დევრეტების მეთოდს“, როგორც რევიზიონისტები ფიქრობენ, არამედ მწერალთა მიერ დაშვებული შეცდომების განმარტების მეთოდს.

მართალია, რევიზიონისტებს, ისევე როგორც ბურჟუაზიის სხვა იდეოლოგებს, არ მოსწონთ, როცა სოციალისტური ლიტერატურა, როგორც ზედნაშენი, ერთგულად ემსახურება თავის ზაზისს, ხელს უწყობს მის განმტკიცებასა და განვითარებას. ამიტომაც, რომ ისინი ასე აღტაცებით აქებენ სწორედ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დახმარებულად წარმოგვიდგენენ სოციალისტურ სინამდვილეს, ჩვენი საზოგადოების ინტერესებსა და იდეალებს, საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. ბურჟუაზიულმა პრესამ შემთხვევით როდი ასტეხა გამყრუბელი ხმაური ბ. პასტერნაკის მანკიერი წიგნის „ექიმი ყივავო“ გარშემო. აღნიშნავდა რა ამ ნაწარმოებისათვის ნობელის პრემიის მინიჭების ფაქტს, რეაქციულ პრესას არ დაუმალავს, რომ რომანის ასეთ „მაღალ“ შეფასებას საფუძვლად ედო არა რაიმე მხატვრული ღირსება, არამედ ნაწარმოების მხოლოდ და მხოლოდ ანტისაბჭოთა ტენდენცია.

რევიზიონისტები ყოველნაირად უარყოფენ ლიტერატურისადმი პარტიის იდეური ხელმძღვანელობის პრინციპს და მოუწოდებენ „შემოქმედების თავისუფლებისაკენ“, ხელოვნების „თვითმყოფადობისა და ხელოვნების დამოუკიდებლობისაკენ“. ეს მოწოდებები სხვა არაფერია, თუ არა ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმისა და მოდერნიზმის ქა-

დაგება. კვლავ და კვლავ რევიზიონისტები ცდილობენ „დამტკიცონ“, თითქოს საბჭოთა ლიტერატურის პარტიულობა მის უტილიტარურობაში იმის მხოლოდ კონიუნქტურულ მოთხოვნათა შესრულებაა, რომ საბჭოთა ლიტერატურის თანამედროვეობა გამოიხატება განვლილ მოვლენებზე მექანიკური გამომხატურებით. ამიტომ, ამბობენ ისინი, საბჭოთა ლიტერატურა ასე უფერული და უსასოა და ყველა ნაწარმოები ერთი მეორეს ჰგავს. ასე, მაგალითად, პოლონელმა რევიზიონისტებმა იან კოტკი, იადვიგა სეკუსკაიამ და სხვებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ „საბჭოთა ლიტერატურის მორალური კომპრომეტაციისა და პრაქტიკული უვარგისობის წყარო“ უნდა ეძიოთ პოლიტიკაში.

რევიზიონიზმი თავისი თავის ერთგული დარჩა იმ ტაქტიკურ საშუალებათა არჩევანშიც, რომელთა მეშვეობითაც იგი ცდილობს უარყოს კომუნისტური იდეურობის პრინციპი ლიტერატურასა და ხელოვნებაში. აცხადებენ რა თავს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თავგამოდებულ მომხრეებად, ისინი ცდილობენ დაგვარწმუნონ, თითქოს იბრძვიან ლიტერატურასა და ხელოვნებაში მარქსისტული პრინციპების დოგმატური გაგებისა და სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების „ქდანოვსეული თეორიის“ წინააღმდეგ. მაგრამ დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ ბრძოლის საფარქვეშ რევიზიონისტები ძირს უთხრიან მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას, სოციალისტური რეალიზმის იდეურ-მხატვრულ პრინციპებს და ამავე დროს გზას უსწიან ლიტერატურაში სხვადასხვა მოდერნისტულ მიმდინარეობას.

ცნობს რა ორი სისტემის — სოციალისტურისა და კაპიტალისტურის მშვიდობიანი თანარსებობის შესაძლებლობას, მარქსიზმ-ლენინიზმი ამავე დროს ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიული და სოციალისტური იდეოლოგია შეურიგებელია, რომ მათ შორის არსებობს სრულიად პრინციპული და არა კერძო ხასიათის წინააღმდეგობანი. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის იდეოლოგიათა ბრძოლა — ეს არის ბრძოლა პროგრესისა და რეაქციის, ჰუმანიზმისა და ანტიჰუმანიზმის, ღიალი შემოქმედების იდეოლოგიასა და ღობისა და მარაზმის იდეოლოგიის შორის. ცხადია, მათი შერიგება, ისევე როგორც ყოველი პროგრესულისა და რეაქციულისა, ყოველად შეუძლებელია. რევიზიონისტები კი შლიან ზღვარს ბურჟუაზიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას შორის ხელოვნებაში.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ცხადყოფს, რომ იდეური და მხატვრული კრიტერიუმების ერთიანობა იდეურის პევდონიით, ეს არის ყოველი მწერლის შემოქმედების, ყოველი ნაწარმოების შეფასების ერთადერთი სწორი მეთოდი. ზოლო ვიდმარს, ლუკანსა და სხვა რევიზიონისტებს

ქართული
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

„აღაშფოთებთ“ ის ფაქტი, რომ მარქსისტულ-
ლენინური ესთეტიკა მწერლისაგან მოითხოვს თა-
ვისი ეპოქის არა მარტო ასახვას, არამედ შეგნე-
ბულად ასახვასაც, რაც ემყარება ნათლად განსაზ-
ღერულ მსოფლმხედველობას, კომუნისტურ პარ-
ტიულობას. რევოიონისტები მსოფლმხედველო-
ბისაგან გამოყოფენ ტალანტს და მას მიაწერენ
რალად სასწაულომჭმედ ძალას, რომელიც, იდეუ-
რობისაგან დამოუკიდებლად, თურმე სტიქიურად
მიიყვანს მწერალს დიდებამდე.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ აქ რევოიონ-
ისტები არსებითად მიჰყვებიან თანამედროვე და-
სავლეთის მოდერნისტთა ნაკვალევს. ეს უკანასკ-
ნელნი კი, როგორც ცნობილია, თავიანთ შემოქ-
მედებაში ემყარებიან ფროიდის „უიქიონალიზის“
თეორიას, რომელმაც საკმაო ფართო გავრცელება
პპოგა აზერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა
კაპიტალისტურ ქვეყნებში. ვახდა ლიტერატურა-
სა და ხელოვნებაში დაცემულობის ყოველგვარ
მიზნინარებათა მეთოდოლოგიური და ესთეტი-
კური ბაზა. ფროიდის მიმდევრები ხელოვნებას
განხილავენ, როგორც შეუგნებელ შემოქმე-
დებით აქტს, რომელიც მიუწვდომელია რაციონა-
ლური ახსნისათვის. ისინი პირწმინდად უარყო-
ფენ სოციალურ-ეკონომიური პირობებისა და
კლასობრივი ბრძოლის ზემოქმედებას ადამიანის
შეგნებასა და ზნეობრივ სახეზე.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე დასავ-
ლეთში გამოვიდა ფროიდისტული „ფიქიონალი-
ზის“ სულისკვეთებით გაქღედილი არაერთი ნა-
წარმოები, რომლებშიც აღრეულია უხეში ნატუ-
რალიზმი სიმბოლიკასა და ავადმყოფური მისტი-
კასთან. ეს „ქმნილებანი“ ადამიანებს უნერგავენ
უინელობის „ფილოსოფიას“, ცხოვრების სიძულ-
ვილს, ბედის მონურ მორჩილებას. უსაგნო აბსტ-
რაქტული ხელოვნება კაპიტალისტურ ქვეყნებში
გამოაცხადეს როგორც „ორიგინალური და ნოვა-
ტორული“. რა თქმა უნდა, თავისი ბატონობის
შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ბურჟუაზიას არც კი
შეუძლია იოცნებოს უკეთეს იდეოლოგიურ იარა-
ღზე, ვიდრე ფროიდიზმი, რომელიც, რელიგიის
მსგავსად, სწამლავს მშრომელთა შეგნებას მის-
ტიკისა და იდეალიზმის შხამით. ფროიდისტები
კაპიტალიზმურ ექსპლოატაციას მიიჩნევენ კაცო-
ბრიობის არსებობის პუნქტივზე და ურყევ საფუძე-
ლად, ხოლო პროლეტარიატისა და სხვა მშრო-

მელთა მასების კლასობრივ ბრძოლას უარყოფ-
ნიან, მოწყებად აცხადებენ.

ცხადია, რევოიონისტებს არ შეუძლიათ
რად გაიიგივეონ თავიანთი შეხედულებანი თანა-
მედროვე მოდერნისტულ მიზნინარებათა ესთე-
ტიკასთან. მაგრამ აშკარაა, რომ სოციალისტური
რეალიზმის კრიტიკით, ხელოვნების პარტიულობი-
სა და კლასობრიობის უარყოფით ისინი ეშვე-
ბიან ბურჟუაზიული ესთეტიკის პოზიციებამდე.
აცხადებენ რა „შემოქმედების თავისუფლებას“,
რევოიონისტები ხელოვნებისა და ლიტერატუ-
რის დანიშნულებას ხედავენ „ჰუმანიზმის საძმა-
ხურში“, ლიტერატურამ უნდა გააჰუმანუროს
ჩვენი ცხოვრებათ. მაგრამ ვანა საბჭოთა ლატე-
რატურა ყველაზე უკეთ არ ემსახურება ამ მიზანს?

„მოდერნისტული“ დაცემულობის ხელოვნებისა-
თვის მიბაძვა, რომელსაც ადამიანი სინამდვილი-
დან აბსტრაქტულ სამყაროში გადაჰყავს, და ამა-
ვე დროს სოციალისტური კულტურის უარყოფა
— აი ლოზუნგი, რომელიც ვიდმარმა, ტოშოიჩმა,
ლუკაჩმა და სხვა რევოიონისტებმა დააწერეს
თავიანთ რევოიონისტულ დროშას. ავადმყოფუ-
რად დამახინჯებულ, მისტიკური ბურჟსით მო-
ცულ ხელოვნებაში ისინი ხედავენ „ჰუმანიზმსა და
თავისუფალ შემოქმედებას“. მაგრამ მათი ჰუმა-
ნიზმი არის მხოლოდ საშუალება მიაფუჩრონ წი-
ნაღმდეგობანი კაპიტალიზმისა და სოციალიზმს
შორის, ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირე-
ბულთა შორის. ხოლო მათი შემოქმედება, რომე-
ლიც ვითომდა „თავისუფალია ყოველგვარი კო-
ნიუნქტურული მოთხოვნისაგან“, სხვა არა არის
რა, თუ არა ბურჟუაზიის იდეოლოგიური იარაღი.

ამრიგად, მხოლოდ სიტყვით აღიარებენ რა
მარქსიზმს, რევოიონისტები საქმით ცდილობენ
სახელი გაუტეხონ სოციალიზმსა და მის ხელოვ-
ნებას, მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას. ისინი
ფაქტიურად ხელოვნებასა და ლიტერატურაში
სრულ სოლიდარობას უცხადებენ რეაქციულ,
ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს. ამიტომ არის, რომ
როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური
ქვეყნების მოწინავე რეალისტი მწერლები და
სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლები
ერთიანი ფრონტით გამოდიან ლიტერატურაში
ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვ-
ლინების წინააღმდეგ. მათ შორის რევოიონიზმის
წინააღმდეგაც და აშკარაა, რომ მის ნამდვილ, ან-
ტიმარქსისტულ და ანტიხალხურ არსს.



ილია ახაია

დიდი მწერალი და ეკის მოჭირანახული

სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავის გამო

ორას ორმოცდაათი წლის წინათ შავი ზღვის აზოხოტრებულმა ტალღებმა საქართველოს ნაპირებთან, ხოფის მახლობლად გამოიჩინა პატარა ნაღი რამდენიმე მგზავრით, რომელთა შორის იყო მაღალი ტანის, ჯერ კიდევ მხნე და მძლავრი ავგ-ბულუბის, მშენებელი სახის მოხუცი, მტკაველზე მეთი თეთრი, ბიბლიური წვერით, ადვილი შესაძლებელია იგი თავის თანამგზავრებთან ერთად მრისხანე სტიქიას შთაენთქა, რომ იქვე შემთხვევით არ აღმოჩენილიყვნენ მეტყველები და იმერეთიდან წამოყვანილი ტყვეები, რომლებიც თურქებს კონსტანტინოპოლს მიჰყავდათ გასაყიდად.

მავრამ მოხუცს არც შემდეგ ელოდა თურმე ნაკლები განსაცდელი. გონიოში მოკალათებულ თურქეთის ხელისუფალთ მიეღოთ ტრაპიზონის ფაშის სავანებო განკარგულება: ასეთი და ასეთი კაცი მოდის და დაიჭირეთო. „დაგვიჭირეს ყველანი, — წერს მოხუცი. — ბარგი და კარავი, მოფენილობა სრულ აიკლეს. ჩვენ ენგიჩრებს მიგვცეს. ქვეითები გონისსაკენ გაგზავნეს... ბერი კაცი ვიყავ და სნეული და მაცხელებდა. სამოცი ფულური უბეში მედგა, ისიც წამართვს... წვიმა და ნისლი. ღამე და ავი დაღმართი... რა ჭირით ჩავია. რეთ, ენით არ ითქმის... ერთი ენგიჩარი მოგვწვია. უბელო ცხენს იჯდა, წვიმაში საწვიმარი წამართო, თვითონ ქვეშ დაიდგა. მე სიცხემ და წვიმამ უარესი მიყო“.

ეს მოხუცი, რომელსაც თურქმა ენგიჩარმა საწვიმარი წართვა, თავისი ცხენის ზურგზე რომ დაეფინა, იყო დიდი ქართველი მწერალი და თავისი ხალხის ნამდვილი ჭირისუფალი სულხან-საბა ორბელიანი. ვინ იცის, რამდენი მწერე ფიქრი, რამ-

დენი ტყვილი დუღდა ამ დიდებული მოხუცის გულში იმ წვიმიან და ბნელ ღამეს! ადამიანი, რომელმაც თავისი ერის კეთილდღეობის მიზნით ცოტა ხნის წინათ მოიარა ევროპა და თავისი სიღარბაისლით, ბრძნული სიტყვა-პასუხით განაცვიფრა ქედმაღალი და ზვიადი მონარქები, ადამიანი, რომელსაც განსაკუთრებული მოწიწების ნიშნად თავისი ხელით ფეხი დაჰაზნა თვით „ღმერთის მოადგილემ მიწაზე“ რომის პაპმა, ახლა მშობლიურ მიწაზე მიაბიჯებდა, როგორც ტყვე, მას მათრახს უქნევდა გაუთლელი და წვირიანი თურქი ასკერი.

სულხან-საბა ორბელიანის მთელი განსაცვიფრებელი ცხოვრება სწორედ ასეთ სურათად წარმოგვიდგება. ქართველი ხალხის ცხოვრების იმ შავბნელ ხანაში, როცა ჩვენს ქვეყანას უცხოელი დამპყრობლები და მოღალატე რენეგატები სჯიჯ-გნიდნენ განუკითხავად, ეს დიდი ადამიანი მოწამებრივი სიმტკიცით იღვწოდა მამულისათვის, არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ სამშობლოს დამეული ბნელი გასცლოდა და იგი ნათელ თავისუფალ ცხოვრებას დაწაფებოდა.

ქართველი ფეოდალების ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გავლენიანი საგვარეულოდან გამოსული, იგი აღრინდნეუ განთავისუფლდა თავისი წრის ვიწრო სოციალური შეხედულებებისაგან და მთელი თავისი ნათელი გონება, დაუშრეტელი შემოქმედებითი გენია ერის საერთო ინტერესების სამსახურს დაუმოძრავია. როგორც ჩანს, სულხანის ბავშვობის წლებმა განვლეს ქართლში, მშობლიურ ტანშიაში, ძველი და სახელგანთქმული დმანისის ახლოს და აქვე მიუღია მას შესაფერისი განათლება. მწიგნობარი და განათლებული მშობლებ-

ბის გარდა, მისი აღზრდა-განვითარებისათვის უზარუნიათ ცნობილ მეცენატსა და მეფეს გიორგი მეფეთმეტეს, მეფე-პოეტ არჩილს, რომლე-ბიც ღედის მხრივ სულხანს ბიძებად ეკუთვნოდნენ.

ნათელი გონების ჭაბუკმა თავიდანვე გამოავლინა ღრმა მიდრეკილება მეცნიერებისადმი, რისი მეტყველი საბუთი არის თუნდაც ის, რომ თავისი სახელგანთქმული ლექსიკონის პირველი რედაქცია ოცდაშვიდი წლისამ დაასრულა. თანამედროვენი მას უწოდებდნენ „მრავალ გამოცემულეულს, სიბრძნე ვრიალს და მსწავლულს“, „ბრძენსა და ფილოსოფოსს“, „სიბრძნის წყაროს, მდინარეს“. ერთი უცხოთი პოეტის თქმით კი:

„სულხან საბა ორბელის-ძე
სიბრძნით აღება ორბების ზე“.

მაგრამ გარემოებათა გამო, ქართლის აწეწილ-ღაწეწილი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, სულხანს არ შეეძლო თავისი მოღვაწეობა შემოეფარება მწიგნობრული საქმიანობით. როგორც გამჭირავსი გონებისა და განსწავლული ადამიანი, იგი ეჭირებოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას და კიდევაც აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში. ხალხის საკეთილდღეო კეთილი ნების მისიით მან გაიარა ურძელი, განსაცდელით სავსე გზები, მოინახულა მამინდელის მსოფლიოს უმთავრესი პოლიტიკური ცენტრი — ისპაჰანი და რომი, პარიზი, სტამბოლი და ბოლოს მოსკოვი. იგი არაფერს ეტუებოდა მაღალი სამსახურის ღირსეულად და პირნათლად შესრულებისათვის, მაგრამ ხშირად მაღლობის ნაცვლად მხოლოდ დევნას, შევიწროებას, უმადურობას იმსახურებდა.

ეს არც გასაკვირი იყო. ქედმაღალი და ურჩი ქართველი ფეოდალები, რომლებმაც ვახტანგ მეხუთეს სიკვდილის შემდეგ სულ აიშვეს თავი, არავითარ საშუალებას არ დაუტოვებდნენ პოლიტიკური კარიერისათვის და პატრიმონტული უფლებების შესანარჩუნებლად, ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ქართველი ხალხის პატრიოტული ძალების გაერთიანებას. ეს რენეგატები მზად იყვნენ გამოეცვალათ საკუთარი რჯული და რწმენაც, ოღონდ ირანის კარისაგან მიეღოთ დიდი ჯამგირი და მამულები, ხალხის უმოწყალოდ აწიოკების ნება. ასეთი პოლიტიკური აწეწილობის მორევში მოხვდა ახალგაზრდა სულხანი და ბედმა იგი მონასტრის კარამდე მიიყვანა. მაგრამ დავით გარეჯის უღანბონი განმარტებულ ბერში წუთითაც არ დამცხრალა პატრიოტისა და ერის კაცის სულა. ქართლის ტახტზე ვახტანგ მეექვსის ასვლისთანავე იგი მხარში ამოუდგა თავის გაზრდილს ნაზირალიხანის ტირანიისაგან განადგურებული ქვეყნის აღდგენის საქმეში. დიპლომატიური მისიით იგი გაემგზავრა ჯერ ირანს, შემდეგ რომსა

და პარიზს. მაგრამ ვახტანგის ძალაუფლება დღესასანს არ გაგრძელებულა. მას შემდეგ, რაც იმდროინდელი მის მიღებაზე გადაჭრით უარი განაცხადა, იმდროინდელი გამოსულმანებულმა იასემ დაიჭირა. იმხანად ირანიდან მომავალი საბა კონსტანტინოპოლის გზით მიიპარება საფრანგეთში ვახტანგ მეექვსის წყროლით ლუდოვკო მეოთხემეტესთან. სამშობლოსათვის თავდადებულმა საბამ ახლა კათოლიკე ბერმონაზონის სამოსიც ჩაიცვა. მას სჯეროდა, რომ დასავლეთ ევროპას შეეძლო დახმარების ხელი გამოეწოდებინა საქართველოსათვის. მაგრამ ამ ილუზიიდან საბას სამშობლოში ბევრი არაფერი ჩამოჰყოლია. მან მხოლოდ იასეს რისხვა და ქართული სამღვდლეოების გაბოროტება მოიმა. ამ მტრულმა ცილისწამებამ საბას ერთხანს ვახტანგ მეფის პატივისცემა და მზარველობაც მოაკლო.

ამასობაში საქართველოში ახალი პოლიტიკური სიტუაცია იკვანძებოდა. რუსეთის ექსპანსიური ზრახვები უშუალოდ მიადგა სპარსეთს. ამ ზრახვების განხორციელების გზაზე საქართველო, ბუნებრივია, რუსეთის განსაკუთრებულ ყურადღებას ცენტრში მოექცა. ერთმორწმუნე რუსეთისადმი დიდი ხნიდან სიმპათიით გამსჭვალული, ისლამური ძალმომრეობით წელში გაწევილი საქართველოსა და მის მმართველებს ხსნის იმედი მიეცათ. და ისინი უყოყმანოდ მიემხრნენ რუსეთს. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ვიდრე ვახტანგი შამქორში რუსეთის ჯარს ელოდა, პეტრემ ხელი აიღო ადრინდელ განზრახვაზე და უკან, ასტრახანს გაბრუნდა. გავეხუტა ირანის შაჰმა ქართლის ტახტი კახეთის გამაჰმადიანებულ მეფეს კონსტანტინეს დაულოცა, რომელმაც ლეკების დახმარებით მალე თბილისიც აიღო და გადასწვა. საქართველოს დედაქალაქს იმავე წელს თურქებმა დაატყდნენ თავს და რუსეთის იმპერატორმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს ანექსია თურქეთის მიერ.

სასოწარკვეთილ ვახტანგს სამშობლოში აღარ დაედგომებოდა და იგი მალე მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში გადავიდა. ამ ამალით იყო სულხან-საბა ორბელიანიც. მრავალტანჯული, დაუძლურებული 67 წლის მოხუცი მოსკოვს გამგზავრების დროს ავად გახდა და 1725 წლის 26 ნოემბერს გარდაიცვალა არჩილის სასახლეში, სოფელ ვესესიატსკოეში, რომელიც მას პეტრე დიდმა უბოძა. ასე დაასრულა თავისი სახელოვანი ცხოვრება დიდმა ქართველმა მწერალმა და პატრიოტმა.

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი უჭირავს იგავების წიგნს „სიბრძნე სიცრუისა“ და მის საშვილიშვილო ქართულ ლექსიკონს. ძნელია იმ როლის შეფასება, რაც ამ წიგნებმა შესარულა ერის სუ-

ლიერ ცხოვრებაში. მისი ენობრივი და მხატვრული მეგვიდრობის ტრადიციების შენახვა-განმტკიცების საქმეში.

„სიბრძნე სიცრუისა“ თავისი ფორმით ეკუთვნის შუა საუკუნეებში გავრცელებული დიდაქტიკური ნაწარმოებების ტიპს, რომლებიც გამიზნული იყვნენ ამ ქვეყნის ძლიერთა „საწერითელად“ და გონების გასაწაფად. მაგრამ სულხან-საბას წიგნში ზოგადადამიანური შეგონებანი სცილდება ამ ვიწრო დანიშნულებას და ხალხური სიბრძნისა და გამჭრიახობის ყველასათვის მისაწვდომ საგან-ძურს წარმოადგენს. წიგნში შესული 150-ზე მეტი იგავ-არაკი თუ ზღაპარი, რომელთა უდიდესი ნაწილი ფოლკლორიდანაა აღებული, იშვიათი მხატვრული ოსტატობითა და მთლიანობით მოქცეულია ერთ მთლიან კომპოზიციურ ჩარჩოში, გამსჭვალულია ნამდვილი ხალხურობის სულითა და განწყობილებით. ავტორი რეალისტური სიმართლითა და ჭეშმარიტი მხატვრის გამბედაობით ხტავს მისი თანადროული საქართველოს ცხოვრების ფართო სურათს, მაშინდელი სოციალური ურთიერთობიდან გამომდინარე შედეგებითა და დასკვნებით.

მწერალი დაუფარავად ამჟღავნებს თავის პოლიტიკურ ტენდენციებს, რომელთა მახვილი მიმართულია გაბატონებული ფენების წარმომადგენლების — ფეოდალების, მონღოლებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. მწერალი, რომელიც საკუთარი თვალით ხედავდა უნიჭო, ტირანი მეფეების საქმიანობის სავალალო შედეგებს, გაბეულად აცხადებს: „ბევრი მწყემსანი უღირს მეფეებზე უკეთესნი არიან“. მისი მახვილი თვალი ამჩნევს ეპოქის უამრავ სიმახინჯესა და მანკიერებას, მაგრამ ამჩნევს პატივისცემისა და საყვარულის ღირსსაც. რანაირი თანაფარდობაც არ უნდა იყოს ამ მოვლენებს შორის, ჰუმანისტ მწერალს სჯერა, რომ სიკეთე ყოველთვის გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

ამ სადა და ბრძნული წიგნის შემოქმედების ძალა კიდევ უფრო იზრდება უადრესად დახვეწილი და ლაბიარული სტილის, მდიდარი და ხატოვანი ენის მეოხებით. ამ მხატვრული პრინციპის ერთგულება თავისი ღირსების საქმედ მიაჩნდა ქართული მწერლობის შემდგომი თაობის ყოველ ღირსეულ წარმომადგენელს. ამ მხრივ

„სიბრძნე სიცრუისა“ დღემდე მისაბამ ნიმუშად რჩება.

მაგრამ სულხან-საბა ორბელიანს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მართოდენ ქართული ლექსიკონი ეყოფოდა შთამომავლობის მადლიერების მოსახვედრად. „თუ ვისმე გწადის ეს წიგნა, ეგრე გმატს ვითა რუსთველსაო“. ასე დიდი აზრისა იყვნენ თავიდანვე საბას ლექსიკონზე. თუ გავითვალისწინებთ ლექსიკონის შექმნის ვითარებას და ამ როლს, რომელიც მან შეასრულა ერის სიტყვიერი ფონდის შეუზღაურად შენახვის საქმეში, ეს შეფასება არ შეიძლება გადაჭარბებულად გვეჩვენოს. როგორ თვითონ საბა გვამცნობს თავის „ანდერძანაგში“, ჩვენს დროს ქართულ ენაზე ლექსიკონი აღარ იპოვებოდა. „ენა ქართული თავის ნებაზედ გაერყვნათო“. მართლაც ადვილი წარმოსადგენია რა დღეში იქნებოდა ჩვენი მშობლიური ენა იმ დროს, როცა ქართული წიგნები გაუთავებელი ომის ხანძრებში ინთქმებოდა, როცა ათასი ჯურის დამპყრობთა შემოსევებს თან სდევდა ენის აღრევა და დანაგვიანება. და აი ჭაბუკი სულხანი ხელს ჰკიდებს საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც მან ოცდაათი წლის შრომა მოახმარა. მის მიერ დამუშავებული ლექსიკური მასალა მოიცავს მთელ იმდროინდელ სალთისმეტყველო და ფილოსოფიურ წიგნებს. ლექსიკონში ჩვეულებრივია პროკლეს, ნემსიოსის, იოანე დამასკოელის, რუსთველისა და სხვათა დამოწმება. კიდევ მეტი, სულხანს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა ქართულ-პერსიულ-ლათინურ-სომხური შედარებით ლექსიკონის შედგენაც. პირდაპირ განსაცვიფრებელია, როგორ შეძლო აღმამანმა, რომელიც იმავე დროს „ერთგვანი იყო და წარჩინებული და სოფლის საქმისაგან უცალო“, ამოდენა საქმის გაკეთება. მხოლოდ გენიოსს შეეძლო მშობლიური ენის სტიქიაში ასე ღრმად შესვლა, ლექსიკონის იმგვარად გაწყობა, სიტყვების, საგანთა თუ ცნებათა ისეთი ზუსტი და ამომწურავი ახსნა-განმარტება, რომ იგი ნიადაგსაზარ წიგნად გამხდარიყო ქართველი კაცისათვის.

ჭეშმარიტად დიდი, ფასდაუდებელია სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი და ამავე ქართველი ერის წინაშე. ამიტომ მისი სახელი ყოველთვის გამოიწვევს ჩვენში უღრმესი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას.



გიორგი სამხაიაძე

სულხან-საბა ორბელიანი

მისი ლექსიკონის კითხვისას

ცა იყო ყინვით შემოგარსული,
შინ გიზგიზებდა ძველი ბუხარი,
მაგიდას უჯდა ფიქრში წასული
წარბებშეკრული საბა-სულხანი.
ფურჩებოდა მფეთქავ სტრიქონებს,
— იყოს მართალი, აი მთავარი!
უხმოდ ჰკინძავდა საუნჯის კონებს,
თვითონ ქართული სიტყვის ჯავარი.
უბადლო სიტყვებს ხალხში ეძებდა,
მუდამ ლამაზად მოლაპარაკე,
ლექსიკონს ისე აჩუქუროთმებდა,
როგორც ხელთუქმნელ იგავ-არაკებს.
დინჯად იკვლევდა ბერი და მწირი,
არც გაუგია, როდის გათენდა.
როგორც ლეგენდის ხალხური გმირი,
უკვდავებასთან ღამეს ათევდა.
ყური მიუგდო იდუმალ ძახილს,
აუცახცახდა გამხდარი ხელი,
ფურცელს დახედა ფერმკრთალი სახით,
განმარტა სიტყვა უკანასკნელი.

* * *

ბევრჯერ დაჰყარა ფოთლები ქარმა,
სცემდა გრიგალიც უნდოდ მქუხარი.
ბევრის სახელი მტვერმა დაჰფარა,
დრომ ვერ წაშალა საბა-სულხანი.



დავით ნასპარაძე

საზოგადოლო საზღვართან

როგორც ცნობილია, 1713-1716 წ. წ. სულხან-საბა ორბელიანმა დიპლომატიური მისიით იმოგზაურა საფრანგეთსა და იტალიაში. უკანდაბრუნებულმა გამოიარა გონია, რომელიც იმ დროს თურქი დამპყრობლების ხელთ იყო. გონიის ბეგმა სულხან-საბას ბევრი უსიამოვნება მიაყენა.

ქვემოთ ვხედავთ ნარკვევს, რომელიც მოგვითხრობს დიდო მწერლის გონიის ციხეში ყოფნის ამბავს.

შეიარაღებული ენგიჩრებით დატვირთული ნავი ნაპირს მოწყდა და ვეზი ხოფისაკენ აიღო. მენავენი ჩქარობდნენ და ნიჩბებს გამალებით უსვამდნენ. თურქების სპამალარი ლაპარაკი ტალღების შხუილში იკარგებოდა, ზღვის ზედაპირზე ცივი ქარი სისინებდა. ერთ-ერთი ენგიჩარი, რომელსაც შუბლზე განიერი ჩაღმა ჩამოეთხატა, ნავის კიბოზე წამოძდარიყო და პირქუშად მიიგრებოდა ჰორიზონტს.

— აი, გამოჩნდა კიდეც! — წამოიძახა მენავემ და ყველამ თვალი მიაპყრო შავ საგანს. ნახევარ საათში ნავენი ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

— გაიჭრების მოლათ-მოლა ყოფილა, აი ოქრო მაგას ექნება! — წამოიძახა ერთმა ენგიჩარმა.

— მოლათ-მოლა კი არა, გურჯისტანის მეფის ვეზირია. ფრანციდანი მოემგზავრება! — წყრომით უპასუხა ენგიჩრების უფროსმა.

თურქები მტაცებლის თვალებით მიიგრებოდნენ ანაფორიან კაპუცი-ნებს. ისინი გარს შემოხვეოდნენ მოხუცს, რომელსაც თოვლივით თეთრი

წვერი გულ-მკერდს უფარავდა და ხშირი თმის კულულები განიერ ბეჭებზე დაფენოდა. მოხუცს სახეზე დაღლილობა ეტყობოდა. ჩამოსხმული, სათნო სახის ნაკვეთი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, სანდომიანი თვალები ბიბლიურ მშვენიერებას ანიჭებდა.

— დიდო ვეზირო, ისე გვიცქერენ, არც ესენი დაგვინდობენ! — მიმართა მოხუცს ქართულ ქულაჯაში გამოწყობილმა ჰაბუქმა, რომელიც უსიტყვოდ მიხვდა თურქების ზრახვას.

— რას იზამ, შვილო, ნავში ჯდობა და მენავესთან ჩხუბი ზომ არ შეიძლება, ცოტა კიდე უნდა მოვითმინო! — უპასუხა საბამ და მოაგონდა ახლო მეგობარი დავით კანდელაკი, რომელმაც რომს მიმავალ საბას თავისი გაეი მსლებლად გაატანა.

— მამაჩემმა რომ იცოდეს, რაიმეს იღონებდა და ქობულეთით გადმოვიდოდა! — ნალელიანად წარმოთქვა ახალგაზრდამ და სიბრაზე დაიოკა.

საღამო ახლოვდებოდა. ძალაგამოლეულ მკის სხივებს ცის კაბადონი წითლად შეეღება. წყაროსთავისა და დაგვის ქედებზე გაწოლილი ღრუბლე-

ბი ნელ-ნელა მიიწვედნენ კარჩხალის მითების მწვერვალებსაკენ. საბამ ქართულ მიწას დანატრებული თვლები მოავლო შავი ზღვის ნაპირებს, მწვანით დაბურულ გორაკებს, ფერდობებზე შეფენილ სოფლებს და მწარედ ამოიოხრა. ქვეყნის ტკივილები კვლავ გულზე შემოეჭლო. მოაგონდა ხანგრძლივი მგზავრობა, ტანჯვა-წამება, ქართველი ტყვეებით ავსილი ქალაქები, კუნძული მალთა, სადაც მონებად გაყიდული ქართველები გამვლელ-გამომვლელთ ევედრებოდნენ, გვიხსენით, და ბოლოს გაასხენდა ლუდოვიკო მეფისა და პაპი კლომენტის გაცხუნებული აღთქმანი და მოხუცს თვალები ცრემლით შეენამა, ჩაღვლიანი გული აუჩუყდა. ერყობოდა, სიკვდილზე უფრო უშიშიდა ეს მოვლენები.

მენავენი კვლავ აყაყანდნენ და ნაპირს მიადგნენ. მგზავრები გადმოვიდნენ. ბარგს ენგიჩრები ჩაეჭიდნენ.

— ბარგთან რა საქმე გაქვთ, გეყოთ, რაც წაიღეთ! — შეუტია კანდელაკმა მოძალადე ენგიჩარს.

— ვინ რა წაიღო, ჩვენ არ გვეჩება. გონიის სანჯაყს თაიისი ყადაღა აქვს! — უდიერად უპასუხა თურქმა.

— ეს სკივრი ისპანიის პალოზისაა, უბრძანეთ ხელი არ ახლო! — უთხრა საბამ ენგიჩრების მეთაურს.

— ბარგი ვისიკ არ უნდა იყოს, ჩვენთვის სულ ერთია, ბეგი ყადაღას აიღებს! — უკმებად მიუგო თურქმა.

„ჩვენი თანამგზავრი ხოჯა აივაზა მაინც არ ჩამოგვშორებოდა!“ — გაიფიქრა საბამ და სევდანარევი თვლებით ზღვისაკენ უშიშდოდ გაიხედა. აივაზა ჩალიბის ნავი არსად ჩანდა.

გონიას ციხე ბუმბერაზ ქმნილებად აზიდულიყო. კედლებზე მიშენებულ ორ კოშკს შუა მოჩანდა მაღლიანი ხელით, ლამაზად მოჩუქურთმებული ალაყაფის კარები. სათვალთვლო კოშკებზე ენგიჩრები იდგნენ. ციხის კედლებიდან, რომლის სიმაღლე ორ საყენს აღემატებოდა, თეთრად გამოკრთოდნენ ვეებერთელა თლილი ქვები. შმაგი ჭოროხი, თითქმის ნახევარი ვერსის სიგანეზე სამად გაშლილიყო და ბრაზმორევით ეხეთქებოდა შავი ზღვის ტალღებს.

ციხის კარები ღია დაუხვდათ. ორივე მხარეს თოფმოდერებული ენ-

გიჩრები იდგნენ. ცნობისმოყვარე პატარები საბას შეკითხვებით არ დაუშვებდნენ. მოხუცი პასუხს ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძლეოდა. ზვიადად აზიდულმა გონიის ციხის ხილვამ საბას სევდა გაუორკეცა. მას თვალწინ წარმოუდგარს საშინელი დრო, როცა როსტომ ჯურეილის მეგრძოლები რიცხვმრავალმა ოსმალებმა ძლიერ და გონიის ციხე დაიჭირეს. ამის შემდეგ შეეკეცა ფრთები დასავლეთით ქართველთა ძლიერებას. საბა ახლა ამ ციხეში იყო და გული ბოლმით ევსებოდა. ევროპაში რომ მიდიოდა, ოცნებობდა — ჩემს უკან ღმერთმან ქმნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნესო, მაგრამ ასე არ მოხდა. უკანდაბრუნებულმა უარესი იხილა. საბამ თვალი ჰკიდა კარებს და ზევით, თეთრ თლილ ქვაზე, ძლიერად ამოიკითხა: „მე თამარ დედოფალმან აღვაგე ესე აფსარის ციხე“... სიტყვები ბოლომდე ვეღარ გაარკვია. წაბარბაცდა. ციხის ეზოში მდგარი მეჩეთი თვალში ისარივით მოხვდა. გული შეეკუმშა, თავბრუ დაესხა, მაგრამ ჩქარა გამოერკვა და გული მოიცა. განიერ ეზოში დაკვირვებით მიმოიხედა. დაბალი, ფიცრული სახლის აივანზე ბეგი გადმომდგარიყო და მგზავრებს ათვლიერებდა. გორბო თურქს ძვირფასი მოსირმული ვერეჯა მოეხურა. მკერდს ყვითელი აბრეშუმის ჯიამჯანი უმშვენებდა. ფეხებზე ყვითელი, წვეტიანი წაღები ეცვა, ხოლო თავზე წითელი მაულის კულახი ეხურა. ყვითელი, ხმელი ნაყვავილევი სახე, ყურებამდე მიტანილი უღვაშები, დანაოჭებული ცხვირი და ცბიერი თვალები მისი ავჯაცობის მკაფიო ნიშანი იყო. იგი ცალი თვალთ საბას მაღალ ქულს მისჩერებოდა, ხოლო მეორეთი ბარგს, რომელსაც ენგიჩრები ჩასჭიდებოდნენ.

დალამდა. თურქთა ყაყანი მიწელდა. ფარდულში შერეკილი მგზავრების ამბავს არავინ კითხულობდა. მეგვ მათთვის არ ეცალა, რადგან სტუმრად ჰყავდა ახალციხის ფაშის დისწული ალიბეგი, რომელიც მეორე დღეს სტამბოლს მიემგზავრებოდა.

სტუმარ-მასპინძელი მუხლმორთხებით ისხდნენ ძვირფას ხალიჩაზე და ყავას შეეჭყეოდნენ.

— გურჯისტანის ვეზირი სულხან-საბა ორბელიანი ხვალისათვის გონი-



იდან გამგზავრების ნებას ითხოვს! — მოახსენა ბეგს დარბაზში შემოსულმა თურქმა.

— სულხან-საბა ორბელიანი?! — გაკვირვებით იკითხა ალიბეგმა და ყავით საუეს ფინჯანი ლამაზაქზე დადგა.

— ღიახ, ფრანციიდან მოემგზავრება, ერთი გურჯი და კაპუტინები ახლავს. თანაც დიდი ქონებაც მიაქვს, ათიხელმა ვაჭარმა მაცნობა! — ხმადაბლა წარმოთქვა ბეგმა და გამომცდელი თვალებით შეხედა ალიბეგს.

— ბეგო! მაგ კაცს ხელს რუ ახლებ, ბიძაჩემს კარგი ნაცნობია... ზიფათს გადაეყრები! — უთხრა ალიბეგმა და მარცხენა ხელში ქარვის მძივი შეათამაშა.

— ბატონი ბრძანდები და მბრძანებელიც! — წარბშეჭმუხვებით წარმოთქვა ბეგმა და ამ საკითხზე ლაპარაკი უცებ მოსჭრა.

საბას ალიბეგის ნაცნობობამ უშველა. ცხენები იჭირავე და არტანუჯის გზას დაადგა. ანაფორაში გახვეული კაპუტინები აღმართში ცანცარა ნაბიჯებით მისდევდნენ ცხენებს. ყველაზე წინ კანდელაკი მიდიოდა. ნიაჟა ეალერსებოდა ჭაბუკს ოფლიან შუბლზე და ხუჭუჭა თმებს უფარცხნიდა. ხშირი ტყე, ღუმბერაზი წიფლის ხეები მგზავრებს სიხალისეს მატებდა. საბა მოხიბლა ბუნების სიმშვენიერემ. მან ცხენზე ჯდომა არ ისურვა და გალიმებული სახით შეცქეროდა მთის ფერდობებიდან შხუილითა და ზათქით მოხეტიალე ანკარა ჩანჩქერებს, რომლებიც ჭოროხის ხეობის თვალუწყდენელ უფსკრულებში იკარგებოდნენ. ქვევით კი, სადაც ადამიანის თვალი ვერ მისწვდებოდა, შემზარავი ხმაურით ეხეთქებოდნენ კლდეებს ჭოროხის ტალღები და ბროლით მიიკვლევდნენ გზას შავი ზღვისაკენ.

დღე მიიწურა. შორს გამოჩნდა ფერდობებზე შეფენილი სოფელი ჩხალა. მოქანცულ მგზავრებს დასვენებას არაფერი, ერჩიათ. კანდელაკი დაწინაურდა და ამალღებულ გორაკზე შედგა.

— ენგიჩრები! — უეცრად აღმოხდა ჭაბუკს.

უკან მოიხედა და ნათლად გაარჩია ცხენოსნები. რომლებსაც ბეგი მოუქლოდა.

„არ დაიშალა ჩვენი ხელყოფა, მარცხენა ბეგი გაისტუმრა და დაგვედგენა.“ — გაიფიქრა საბამ და დალონდა.

მგზავრები ენგიჩრებმა შემოკალეს.

— შენი ბარგი გადაარჩიე და ეს ფრანგები მე მომეცი, ხვანთქრის ყაღალა არის! — უბრძანა ბეგმა საბას.

— მაგას ვერ ვიზამ, ბეგო, კაპუტინები და მათი ბარგი ფრანციის დესპანმა მე მომანდო.

— გათოკეთ ყველანი! — დაიღრიალა ბეგმა და ღამბაჩა შემართა. ენგიჩრები მგზავრებს მისცივდნენ და ხელები შეუკრეს.

— გახსენით ბარგი! — კვლავ დაიღრიალა ბეგმა და რამდენიმე კაცი სკივრს მივარდა.

თვითონ ბეგმა ხელეშეკრულ საბას ჯიბეები გაუსინჯა, სამოცი ფლური და პაპი კლიმენტოსის ნაჩუქარი ოქროსნახტვინი ვიშრის კრიალოსანი ამოართვა.

პაერი ბურუსით გაიყვინთა, ჩამოხენელდა, გაისმა ჭექა-ქუხილი და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. ხელეშეკრული მგზავრები ძნელად საეალა გზით მიჰყავდათ ქვევითად გონიისაკენ. უეცრად ენგიჩარი, რომელიც ორბელიანს ცხენით უკან მიყვებოდა, მოხუცს ზურგზე სწვდა და საწვიმარი ააცალა.

ჩქარა წვიმამ ბექებში გაჟონა — საბას მუხლები მოეკვეთა, ტანში გასცრა და მთელი სხეულით აძაგაგდა. დასუსტებული, ძალღონეგამოლეული ძლივსა მიაბიჯებდა სიბნელეში ოღრო-ხოღრო გზაზე.

იცრიალა. ენგიჩრებმა ლაპარაკს უმატეს. ბეგმა ტყვეები მიაყენა ფიცრულს, საიდანაც სინათლის ალი გამოკრთოდა.

— საბა-სულხან! — მიაძახა აივზა ჩალიბმა, როცა მგზავრები ფიცრულში შევიდნენ.

საბამ შეხედა თურქ ვაჭარს და ცრემლები გადმოკვივდა. აივზა ჩალიბი უსიტყვოდ მიხვდა ყველაფერს.

— ბეგო, რას ჩადიხარ, ვის აწვალუბ და ჰკლავ, ვინ გგონია შენ ორბელიანი! — შეუყვირა ბეგს ჩალიბმა.

— ოთხასი მარჩი მომცეს და გა-

ვეუშვებ. თორემ ხვანტქრის ბრძანების
მოსვლამდე გონიას მეყოლება! —
უსირცხვილოდ უპასუხა ბეგმა.

— აღარაფერი შემარჩინეს, თუ მა-
სესხებ, თბილისში გადაგიხდი! —
ძლივსღა თქვა საბამ და კარებთან ჩა-
იკეცა.

აივაზა ჩალიბი გავიდა. ცოტა ხნის
შემდეგ ვერცხლი მოიტანა. საბამ მო-
ძალადე ბეგი მოიშორა.

ორი დღის მგზავრობის შემდეგ სა-
ბა აბოცს მიუახლოვდა. კანდელაკმა

ცხენი შეაჩერა და მოჩუხჩუხე წყაროს
დაეწაფა.

— ახლა ხომ სამშვიდობოს გავვდი-
დიდო ვეზირო! — მიმართა ჭაბუკმა
მოხუცს და წყლით საესე მათარა მია-
წოდა.

— სამშვიდობოს ვართ, სამშვიდო-
ბოს! — დაუმატა ჩალიბმა და უკან
მომავალ კაპუცინებს გახედა.

მგზავრები წყაროსთან შეჩერდნენ,
შვება იგრძნეს. იღიმებოდა სამშობ-
ლოს ზვედრით გათეთრებული საბა-
სულხანი.



აკაპლი ხუნდაძე

ოსური ლიგერაგუჩის დიდი ქლასიკოსი

კოსტა ხეთაგუროვის დაბადების ასი წლისთავის გავრა

იშვიათად შეხვდებით ისეთ მწერალს, რომელსაც კოსტა ხეთაგუროვის მსგავსად ნარ-ეკლითა და გაჭირვება-მწუხარებით აღსაყენ გზა გაეწეოს. სულ სამიოდე თვისა იყო იგი, როცა დედა გარდაეცვალა და აღსაზრდელად მიაბარეს ძიძას, რომელსაც პოეტი გულთბილი სიტყვებით იგონებს. სამაგიეროდ იგი ძლიერ უარყოფითად ახასიათებს დედინაცვალს: „პურს მაჭმევდა, მაყვდრიდა, ღღენიდაც ცემით მკლავდა, ვაი მასთან მოხვედრილთა, მე დამცველი არვინ მყავდა“, წერდა პოეტი მის შესახებ.

ნოუბედავად იმისა, რომ კოსტა ხეთაგუროვს დედა არ ახსოვდა და მისი სურათიც კი არ ღარჩენია, იგი მაინც უძლიერესი სიყვარულით უყვარდა და ყოველთვის დიდი სასიხარულო და მოკრძალებით იხსენებდა მას. როგორც ნაცნობები და მომწირეები გადმოგვცემენ, ისეთი შესანიშნავი ლექსი, როგორიცაა „მთიელი ქალი წყალზე“ პოეტს შთააგონა დედის სიყვარულმა.

1870 წელს კოსტა ხეთაგუროვი მიაბარეს კავკასიის სამთო სკოლაში. აქ იგი ბრწყინვალედ ეუფლებოდა ყველა საგანს და გატაცებითაც ხატავდა. მალე მომავალი პოეტი ჩარიცხეს სტავროპოლის გიმნაზიაში. გიმნაზიაში სწავლისას დაიწყო მან შემოქმედებითი მუშაობა — უმთავრესად წერდა ლექსებს. ამავე დროს იგი ბევრს ხატავდა და კითხულობდა, მონაწილეობდა საღამო-წარმოდგენებში და ა. შ. ამის გამო კოსტა ხეთაგუროვი სწავლაში ჩამორჩა, სტაბენდია მოუხსნეს და პანსიონში ყოფნის უფლებაც წაართვეს. მიუხედავად ამისა, მისი ინტერესი ლიტერატურისა და ხე-

ლოვნებისადმი არ შენეებულა. 1877 წელს კოსტა ხეთაგუროვის ნახატები გაგზავნეს საშუალო სკოლების მოსწავლეთა ნახატების სრულიად რუსეთის გამოფენაზე.

ხეთაგუროვი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღეს, მაგრამ არც აქ პქონდა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები. ამის გამო იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა და ღაბრუნებულიყო სამშობლოში, რომელიც გმინავდა თვითმპყრობელობის მძიმე ჩექმის ქვეშ.

ხელეზე დაგვადეს ბორკილი მაგარი, წაბილწა საყდარი, საფლავის ლოდები, მკვდრები შევიკინეს, წაგვართვეს სახლკარი, დაღსა და პატარას გვცემეს ჩვენ როზგებით.

ასე აზანიათებდა კოსტა ხეთაგუროვი მშობლიური ოსეთის ყოფას ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „ტირილი სამშობლოს მთებზე“. თავისთავად ცხადია, ხალხის ღვიძლ შვილს არ შეეძლო შეგუებოდა ასეთ მდგომარეობას და მკაცრად ილაშქრებდა ყოველგვარი ძალადობისა და უფულებობის წინააღმდეგ, იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. იგი მზად იყო აეტანა ყოველგვარი წამება და გაჭირვება, ბორკილები და ზნელი საკანი, ოღონდ სიმართლეს გაემარჯვნა, ანუ როგორც თვითონ ამბობდა, „მიუახლოვდეს ხალხი თავისუფლებას!“ ეს იყო მისი უმაღლესი მიზანი, რასაც უანგაროდ და გაბედულად ემსახურებოდა. კოსტა ხეთაგუროვს არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი ცდილობს რაიმე არგოს მშობლიურ ხალხს და ბედნიერად ჩაუვლის თავს, თუ კი ოდნავ მაინც შეძლებს ამას.

ბედნიერია, ვინც თავის ხალხში
კეთილგონიერ სიტყვას გადაშლის,
მოამეთ წინაშე წარსდგება ბრძენი.
წმინდა სიყვარულს, თავის კარგ სახელს
და წინაპართა დიდებას ნათელს
ამ ქვეყანაზე დატოვებს ღვნით.

თავისი მშობლიური ოსეთის თავისუფლებისა
და აყვავებისათვის რომ იბრძოდა, ხეთაგუროვი
ამავე დროს ქადაგებდა ხალხთა მეგობრობის იდე-
ებს, თავდადებით იღვწოდა იმისათვის, რომ რუ-
სეთის ერებს ეცხოვრათ მშვიდობით და მშურად,
ერთად გაეყვით ჭირი და ღვინი. სწორედ ამიტომ
იყო, რომ იგი მხურვალედ მიესალმებოდა ყველას,
ვინც ამავე მიზნისათვის იბრძოდა, ნაყოფიერად
მუშაობდა ხალხთა დაბნელებისა და ბედნიერები-
სათვის. ამ მხრივ საგულისხმოა კოსტა ხეთაგურო-
ვის ლექსი, რომელიც მან დაწერა გამოჩენილი
ქართველი მოღვაწის მიხეილ ყიფიანის გარდაც-
ვალების გამო. მიხეილ ყიფიანი, როგორც ცნო-
ბილია, კარგა ხანს ცხოვრობდა კავკავში და მას-
თან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დიდ
ოს პოეტს. გააგებია, რომ ხეთაგუროვმა გულ-
მხურვალედ დაიტყრა თავისი და მთელი ოსი
ხალხის უანგარო მეგობარი და ორი ლექსი მიუძ-
ღვნა მის ხსოვნას: „მეგობრის კუბოსთან“ და
„მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე“. ერთ-ერთ
მათგანში იგი ასე ეთხოვებოდა ძვირფას ადამიანს:

მშვიდობით! ჩვენზე მოგესხნა ზრუნეა,
სწორი გზა განვლე, იყავ მართალი.
შენი სახელი აქ უკვდავია,
იქ დავადგება სხივი ნათელი!
ყრმობიდან, ვიდრე ღრმა სიბერემდე,
იყავ ხალხისთვის დაუცხრომელი,
როგორც ლაშარი, ბნელს გვინათებდი
შენ მეგობარი, თანამებრძოლი.
დედისებრ ჩვენი მხარე შეიტკბე,
შენს გულში ჰქონდა მამრალს ალაში.
ჩვენ რა პატივი გადაგხადოთ,
რით დავაფასოთ შენი ამაგი?

ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელ მომღერალს
თითქოს სამაგიერო გადაუხადაო, განმეორებულ
ქართველი პედაგოგი და თვალსაჩინო საზოგადო
მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე კოსტა ხეთაგუროვის
გარდაცვალების გამო გაზეთ „ტერეკში“ წერდა:
„განისვენე მშვიდად. ძვირფასო მეგობარო და
ამხანაგო კოსტა. ხსოვნა შენი არასდროს არ გაქ-
რება შენი ხალხისა და შენი ნაცნობი და მახ-
ლოშელი ქართველების გულში, რომელნიც ყო-
ველთვის ხედავდნენ შენში ნათელი აზრებისა და
იდეების თავდადებულ მოციქულს“.

მშვენიერადაა ნათქვამი. კოსტა ხეთაგუროვი მარ-
თლაც „ნათელი აზრებისა და იდეების თავდადე-
ბული მოციქული“ იყო და მთელი სიცოცხლე
მოახმარა მშობლიური ხალხის ბედნიერებისათ-
ვის ბრძოლას. მისი მაღალი მოქალაქეობრივი,
ქვეყნარბი და ადამიანური დამოკიდებულება ყვე-
ლასათვის მისაბაძია, ვისთვისაც ძვირფასია ხალ-
ხის ინტერესები. იგი არ ეძიებდა „ძლიერთა“
თანაგრძნობასა და დაფასებას, არ აშინებდა არც
ბორკილები და ციხის საკანი. კოსტა ხეთაგუროვს
არაერთხელ უთქვამს, მირჩენია ციხეში ვიჯდე,
ვიდრე ჩემი ხალხის უბედურებას ვუყურებდეთ
და იმედით შესცქეროდა მომავალს, სწამდა, რომ
ხალხი აუცილებლად მოიპოვებდა თავისუფალ
და ბედნიერ ცხოვრებას.

დადგება მშვიდობა განახლების მთელს

ქვეყანაში.

ზიზღით დააგდონ დანა, რომ სწვეთს

სისხლი ღვარულა.

ნუ მიყიჟინებ... ჩემმა ჩანგმაც

ადილოს მაშინ

თანასწორობა, სიაზაძე და სიყვარული.

ეს დღე დადგა. თავისუფალი და ბედნიერი ოსი
ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განუზრე-
ლად მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.



პაპა ჭანიშვილი

სამშობლოს მეზობელი

ი. ჭანიშვილის დაბადების 70 წლინთავის ბაზო

ქართველმა ხალხმა სავსე გულით შეიყვარა გრიშაშვილი და გრიშაშვილის ხალასი პოეზია. და განა მართო ქართველმა ხალხმა?! თბილისში დარჩეული გრიშაშვილისეული პანეი ახლობელი და ერთთავად საყვარელია სომხისა და აზერბაი-ჯანელისათვის, რუსისა და უკრაინელისათვის, ყველასათვის, რა ენაზეც არ უნდა მეტყველებდეს იგი. ერთხელ მაინც თუ უგვანია სოსოს ლექსის ნაწი სურნელი. ხალხის მკოსანს მადლიერმა ხალხმავე თავის გულში დაუდგა ხელთუქმნელი ძეგლი და ხალხის სიყვარულმავე ათქმევინა სვე-ბედნიერ პოეტს — „და გრიშაშვილი ლექსს რომ არ წერდეს, რის მაქნისია იმისი ნიჭი?!“

აკაცისა და ვაჟის სიცოცხლეში აღიარა საქართ-ველომ გრიშაშვილის უზადო ნიჭი, თავის მკოს-ნად, თავის აშულად შერაცხა იგი. „სად შენი და სად იმისი თვალეზის“ მთქმელი, მგზნებარე ლექ-სით იდგა ჭაბუკი პოეტი ცხრაასხუთის ბარიკადებ-ზე, და შემდეგ სიყვარულიდან მოკიდებული სიყ-ვარულამდე დარჩა გრიშაშვილი უსათუთესი ადა-მიანურობის — მიჯნურობისა და ფერფლიდან აღმდგარი, დევის ნაბიჯით მაგალი სამშობლოს მეზვრედ.

მე ხალხს ვუმღერდი ავად თუ კარგად,
არა მქონია წარსული ცუდი,
ჩემი ლექსების ქარავს თუ ქარავს
მუდამ ეხურა ნამუსის ქუდი.

ამაოდ დაშვრა, ვინაც მხოლოდ პამაკების მეზ-ლაპრობა დასწამა პოეტს. ჭეშმარიტად სახალხო მკოსნის ტალანტს ძალუძს დაბითის „გიგო, მიყ-ვარხარ“ და „მამულის ეშხით და სიყვარულით დამართობელი“ სტრიქონები, მოიცვას შრომა,

გრიშაშვილმა რომ უძღვნა სათაყვანებელი ქალა-ქის ლიტერატურულ ბოჰემას, თეატრს, მთარგმ-ნელობას, მამულის ფასდაუდებელ კულტურის ძეგლთა გამომწვეურებას, და წიგნს — მისი ცხოვ-რების თანაზიარ მეგობარს.

გრიშაშვილი თბილისის მეზობტეა უპირველესი და უსაჩინოესი. ბადასნად კიაფობს თხოუმეტსაუ-კუნოვანი „გორგასალის ქალაქი“ მის ლექსთა კონეზში. ძნელად წარმოსადგენია გრიშაშვილი უთბილისოდ და თბილისი უგრეშაშვილოდ. ვკით-ხოთ ხარფუხს, ვკითხოთ ვაკეს, ვკითხოთ ავლაბარს, ყოველ თბილისელს და ყოველ ქართველს. „...თბი-ლისი ქართლის გული“ ათქმევინებდა პოეტს:

ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს,
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხედვრია,
ეს ჩუქურთმა ჩამოთლილი ინახად,
თავისუფალ საქართველოს ზვედრია.

ფეხდაფეხ სდევდა გრიშაშვილი სამშობლოს ჭირ-ვარამს: გული სტკიოდა ქამთა სიავისას და გალაღებული შეხვდა ახალ ცხოვრებას.

საბჭოთა სინამდვილემ, მამგრალის დახსნამ ახა-ლი ჩუქურთმებით მოქარგა მისი პოეზია. საგუ-ლისხმოა, რომ ყოველი მოვლენისათვის, თვითუ-ლი სიაბლისათვის ახალი რითმა, ახალი ლექსი შეუგებებია პოეტს; ახალმა ყოფამ ახალი პანე-ბით ააღდგრა გრიშაშვილის საზი; დაიხვეწა და განმტკიცდა მისი მოქალაქეობრივი იდეალი და ამიტომაც იყო, რომ მადლიანი ჩანგი მან ბედნი-ერების გამომჟღად საბჭოთა ადამიანს უძღვნა, ახალ სიმღერაში კიდელ უფრო განზე გასწია „ლექ-სების კიდელ“.

„დედაენის“ პირველ პეჭარებთან ერთად ისუნთქავენ ხოლმე ნორჩები მის ფაქიზ სტრიქონებს მათთვისვე შექმნილს; მოკარნახიდან ქართული სცენის საზოგადო მოამაგემდე—ასე იარა გრიშაშვილმა ქართულ თეატრთან ერთად. და გჯერა, პოეტის გულს მოატყდება ალბათ ნაწილი, ერთი გამოხუნებული აფიშაც რომ მოაკლდეს მის უძვირფასეს საგანძურს ჩვენი თეატრის ისტორიისას; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია იოსებ გრიშაშვილი. თუ მოსთვლის ვინმე რამდენი ცისკარი დასთენებია გრიშაშვილს — მკვლევარს ქართული სიტყვის ფოლიანტებზე, რამდენი დაუსტამბავ-მივიწყებული გაუცოცხლებია მას. და რა სიყვარულისა და ღრმა ცოდნის, უზადობის ბეჭედი აზის მის ყოველ ნაღვანს.

„ძმობის ჩუქურთმა“ შეარქვა გრიშაშვილმა თავის ნაფიქრალს ხალხთა ძმობაზე. არც გასაკვირია, ფართო და ღია მშობელ მიწას ფეხებით ნაზარდი გული: მხოლოდ ქვეშარიტ მამულიშვილს შეუძლია ისე უყვარდეს და პატივს სცემდეს სხვა ენაზე მოლაპარაკე ერს, როგორც ეს გრიშაშვილს

სჩვევია. საათნოვას გმზით უმღერია და მჯერის პოეტი ხალხთა მეგობრობის უკეთილშობილესად წარმოდგენას.

ქართულ კამუშუსიტყვაობას შესძინა გრიშაშვილმა თუმანიანის, აკოფიანის, მირზა ფატალი ახუნდოვის, ხეთაგუროვის, კრილოვის, მისალკოვის, შიპაჩევისა და სხვათა მიერ სომხურად, აზერბაიჯანულად, ისურად, რუსულად ნათქვამი მრავალი პეჭარი.

ტკბილი სიბერე უღრუბლო ცის ქვეშ, ასეთია გრიშაშვილის წილ-ხვედრი.

მე სამ თაობას მოვეწწარ კიდეც, და ჯერ სიკვდილსაც როდი ვაპირებ მღერის პოეტი. მართლაცდა,

...სამშობლოს მაღალმთებიანს, კიდეც სჭირია მგოსნის ნალარა.

და გჯერა, მელანი მას ჯერ არ გათეთრებია და არც მისი რითმა შევერცხლილა ჭაღარით.

ქვეშარიტად სახალხო პოეტზე, გრიშაშვილზე შეიძლება სწერო დაუსრულებლივ, სწერო უღვე სითბოზე, მან რომ დაღვარა, სწერო და კვლავ და კვლავ პოულობდე „სიტყვას შესაქებს“.



ნაჯათ ჩიჯავაძე

ძველი ბათუმის წყალმომარაგების ისტორიიდან

წყალმომარაგებას საქართველოში უძველესი დროიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. წყლის მოვლა-პატრონობას, მის განაწილებასა და მოსახლეობის მომარაგებას მუდამ საზოგადოებრივ საქმედ მიიჩნევდნენ. დიდი ქართველი ისტორიკოსი ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოში „წყალს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა. ერთი მხრივ როგორც სასმელს, მეორე მხრივ როგორც სარწყავს და ამ ორივე დანიშნულებისათვის სხვადასხვა ნაგებობა მოიპოვებოდა“.¹

მეფე ვახტანგ VI კანონებში ამ საკითხს რამდენიმე პუნქტი ჰქონდა დათმობილი, რომელთა თანახმად წყლით სარგებლობის უფლება ყველას ჰქონდა და წყალი არავის დაეკავებოდა, რადგან ის საერო, სახელმწიფო კუთვნილება იყო და არა რომელიმე კერძო პირისა. „ქვეყანაზე ეს სამი არ დაეჭირების კაცსა და სახელმწიფოს: წყალი, შენი და ბაღი“.²

როგორც სათანადო მასალებიდან ჩანს, ხალხი წყალგაყვანილობას ოსტატურად იყო დაუფლებული. ფეოდალური აღმავლობის პერიოდში საქართველო ხელოვნური სარწყავი და სასმელი წყლის არხებით იყო დაქსელილი.

წყალგაყვანილობის ტექნიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ციხე-სიმაგრეების, მონასტრებისა და ქალაქების წყალმომარაგება.

1 ი. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურისათვის, ტომი I, 1946 წ., გვ. 66.

2 ანთაძე, წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში, კრებული, 1915 წ., გვ. 135.

სამწუხაროდ, ეს მეტად საინტერესო საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი. განსაკუთრებით ჩვენი ქალაქების ძველი წყალმომარაგება. ამ მხრივ არც ბათუმია გამონაკლისი.

ძველი ბათუმის წყალმომარაგების შესახებ XIX საუკუნეშივე არავითარი წერილობითი ან სხვა მასალა შემონახული არ არის. ჩვენც ძირითადად ამ პერიოდს შევუხებთ.

როგორც ცნობილია, ბათუმი გაშენებულია ზღვისპირა დაბლობზე, რომელიც წარმოიშვა ქობისი, ყორილისწყლის, ბარცხანისწყლის და ქალაქის ტერიტორიაზე გამდინარე დედექის მიერ შექმნილი დელტური მონარიყის შედეგად. მისი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი შექმნილია ზღვაში და ნახევარკუნძულს ქმნის. ამ დაბლობის აბსოლუტური სიმაღლე 1-20 მეტრამდე აღწევს.¹ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი მხარეები, რომლებიც მთის ძირებს ეკვრიან, შედარებით მაღალია.

თანამედროვე ქალაქის ტერიტორიის დასახლება XVII საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. სულთან ახმედ მეორის მეფობისას დევანდელი ბათუმის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ზღვის ყურის გასწვრივ აშენდა მიწაყრილიანი სახმელეთო სიმაგრეები. აქვე გაჩნდა სამხედრო გარნიზონის ყაზარმები, რომელთა მახლობლად თანდათან თავს იყრიდა მოსახლეობა, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში ბათუმს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ქალაქის სახე. ფრანგი მოგზაური ანდრე დიუბერ, რომელსაც ბათუმი 1807 წელს უნახავს, აღნიშნავდა, რომ იგი უფრო სოფელს წააგავს. ეიდრე ქალაქს, თუმცა მცხოვრებთა რიცხვი ორი ათასს აღწევს.

1 ნ. ნიქარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ, 1957 წ., გვ. 72.

საერთოდ, თურქეთისდროინდელი ბათუმი ძალზე ნელი ტემპით იზრდებოდა, ვინაიდან ეკონომიურად დაკავშირებული არ იყო არა თუ საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა მხარეებთან, არამედ თვით თურქეთის ქალაქებთანაც, მოწყვეტილი იყო აგრეთვე ოსმალეთის იმპერიის საზღვრებთან, რომელიც სტამბოლის, ტრაპიზონისა და იზმირის ნავსადგურებზე გადიოდა.

ქრისტიანული ფრენკელი, რომელიც 1878 წელს რუსეთის სამხედრო ნაწილებს შემოჰყვა ქალაქში, წერდა, ბათუმი ძალზე დამაღონებელ სურათს წარმოადგენს. ასევე ახასიათებდა ბათუმს გ. ყაზბეგი: „დღევანდელი ქალაქის ყველაზე უკეთესი ნაწილი, — წერდა იგი, — მაშინ გარეული ღორების ჯოგით იყო დაკავებული“.1 მისივე ცნობას თუ დავყრდნობთ, „არც თუ სხვა რამ ძარჯი, დასალევი წყალიც კი არ მოიპოვებოდა“,2 ეს შენიშვნა არ უნდა იყოს საგნობით მართებული, რადგან არსებული ლიტერატურის მიხედვით XIX საუკუნის დამდეგს ბათუმში სასმელი წყალი თიხის ჩვეულებრივი მიწებით, ე. წ. „სოუტ-სუს“ წყაროებიდან ყოფილა გამოცხადილი და, როგორც ჩანს, გასული საუკუნის სამოციან წლებში, სულთან აზიზის სახელმწიფოს ნებართვით აგების შემდეგ, იგი მეჩეთის მოედანზე გაუგრძელებით. 1958 წელს „სოუტ-სუს“ მიღამოების დათვალიერებისას მივაგენით აღნიშნული წყალსადენის მილებს, რომელთაგან რამდენიმე ამჟამად აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

მილს კონსისტუტორი ფორმა აქვს. მისი სიგრძეა 40 სანტიმეტრი, ბოლო ნაწილის დიამეტრი — 15 სანტიმეტრი, ხოლო ზემო ნაწილისა — 14 სანტიმეტრი. ამგვარი მილები და, საერთოდ, თიხის ჭურჭელი მზადდებოდა ბორჩხაში, საიდანაც თიხის ნაწარმი ჭოროხის ბრტყელძირიანი ნაგებობაში ამოჰქონდათ ბათუმში. აქედან იგი ხშირად შავი ზღვისპირა სხვა ქალაქებშიც გაჰქონდათ გასაყიდად.

როგორც ირკვევა, წინათ დღევანდელ გოროდოკს და იმ მიდამოსაც, რომელიც სასაფლაოს ანუ ფერიის გორაკებს ეკვრის ჩრდილოეთიდან, „სოუტ-სუს“ ერქვა. რაც თურქულად ციფ წყალს, ან ციფ წყაროს ნიშნავს. ეს სახელი თურქეთის ბატონობის პერიოდშია შერქმეული და შესაძლებელია, რომ ძველი ქართული სახელის „ცივი წყაროს“ თურქული თარგმანი იყოს, რადგან აჭარის სინაფილიში „ცივი წყარო“, როგორც ტოპონიმიური სახელი, ხშირად გვხვდება. ამის შესაბამისად მეფის თვითმმართველობის დროს

ოფიციალური საბუთების მიხედვით, ეს უბანი „სლობოდა ხოლოდნაია“ ეწოდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მთაწმინდის მრეწველობამ სწრაფად იწყო განვითარება, „სოუტ-სუს“ ნაწილს „ნეფტიანო გოროდოკი“ დაერქვა, ვინაიდან ქალაქის სამრეწველო უბანმა სწორედ ამ მიმართულებით იწყო ზრდა. ქარხნის მომუშავე დაჭაობებულ ტერიტორიაზე მუშათა უბნები წარმოიშვნენ (ბარცხანა და თვით გოროდოკი) და დროთა ვითარებაში სახელწოდებას „ნეფტიანო გოროდოკს“ პირველი ნაწილი „ნეფტიანო“ ჩამოეკლდა და ხმარებაში განმტკიცდა „გოროდოკი“. მცდარია აზრი, რომლის მიხედვით თითქმის ამ უბანს „გოროდოკი“ იქ განლაგებული სამხედრო ნაწილების ყაზარმების გამო დაერქვა. ამრიგად, სწორი იქნებოდა ნაცვლად „გოროდოკისა“. „ცივი წყარო“ ან სხვა მსგავსი სახელი გვეხმარა.

რუსეთთან ბათუმის შეერთების პერიოდში ზემოაღნიშნული წყალსადენი ნაწილობრივად დაზიანებული იყო და 1879 წელს იგი შეაკეთეს, რაზეც 1800 მანეთი დაიხარჯა.3 შემდეგაც რამდენიმეჯერ შეუკეთებიათ იგი, მაგრამ ძველი წყალსადენი უკვე აღარ აკმაყოფილებდა ქალაქის მზარდ მოთხოვნილებას. მისი დებიტი სასხეობით უმნიშვნელო აღმოჩნდა 90-იანი წლებისათვის. ამასთან, ძველი თიხის მილები ხშირად ფუჭდებოდა და და ქალაქის მოსახლეობის ღირი ნაწილი ტბის წყლებით სარგებლობდა. ჭა თითქმის ყველა ეზოში ჰქონდათ, მაგრამ გრუნტის წყლებს იმის გამო, რომ ქალაქი დაბალი და უმეტესად ტაშიანი იყო, არასასაბოვნო გემო ჰქონდა და ფაქტიურად სასამელად არ ვარგოდა. მოსახლეობა იყენებდა აგრეთვე „ნურიე გიოლის“ ან ნურიეს ტბის წყალს როგორც სასამელად, ისე სხვა სამკურნელობათვის.4

1 აჭარის სახ. ცენტრ. არქივის ფონდი, ს. 7, ფ. 2-12.

2 ზოგადი თანამედროვე ავტორი, რომელიც პირდაპირ თუ ნაწილობრივად ბათუმის ისტორიის საკითხს ეხება, „ნურიე გიოლს“ არასწორად „ნურიე გელს“ უწოდებს (ვ. სიჭინავა, „ბათუმის ისტორიები“, ი. მაღაზინია, „პიონერთა პარკი“ და სხვ.) და მის ეტიმოლოგიას უკავშირებს ლეგენდას, რომლის მიხედვით თითქმის ტბაში ზაფხუვით, სახელად ნურიე, დამხრჩვალყვის. დაკარგულ მავნეს დედა დაქმნა და იძახდა „ნურიე გელ“, ე. ი. ნურიე მოდიო. ლეგენდას შეიძლება მართლაც რაიმე რეალური ამბავი ჰქონდეს საფუძვლად, მაგრამ ტბას „ნურიე გელის“ ტბა ამის გამო არ დაერქმეოდა, რადგან ამგვარი კონსტრუქცია — „ნურიე გელ“ მიუღებელია თურქული ენისათვის. თუ აღნიშნული ლეგენდა უდევს საფუძვლად ტბის სახელწოდებას, მაშინ სწორი იქნებოდა „ნურიეს ტბა“, ე. ი. „ნურიე გიოლი“ და არა „ნურიე გელი“.

1 ზ. კ. ირგო წიგნი X, თბილისი, 1878 წ., გვ. 132, გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის ბათუმში.

2 იქვე.

ქალაქი მარაგდებოდა აგრეთვე შემოტანილი წყლით. ბარცხანის წყალი მისი ზემო დინებიდან ახსნიდრებზე დამატებული კასრებით ქალაქში შემოჰქონდათ და გასაყიდად ქუჩებში დაატარებდნენ. მოსახლეობის ნაწილი სარგებლობდა სხვა მდინარის წყლებითაც. ტექნიკური და სხვა საქმეებისათვის იყენებდნენ აგრეთვე ზღვისა და წვიმის წყალს.

წყლის სიმცირე განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ნავსადგურის აშენების შემდეგ. წყალმომარაგებას მოითხოვდნენ ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზა. შექმნილი ვითარების გამო ქალაქის თვითმმართველობა იძულებული გახდა როგორმე გადაეჭრა ეს მეტად მწვევე საკითხი. ქალაქის ახლო მიდამოებში, „სოუქ-სუს“ წყაროების გარდა, სხვა დიდი დებიტის შემცველი წყარო, რომელსაც ყველა მოთხოვნილების დამაკმაყოფილება შეეძლო, არ მოიპოვებოდა. ამიტომ დაადგინეს ახალი წყალსადენი ისევ „სოუქ-სუს“ წყაროებიდან გამოყვანათ. ეს წყაროები ბათუმიდან ორნახევარი კერსით იყო დაშორებული. სიახლოვის გარდა, „სოუქ-სუს“ წყაროები გამოირჩეოდნენ სისუფთოთ, კარგი ქიმიური შემადგენლობითა და დაბალი ტემპერატურით, რის გამოც შესაფერისი სახელი „სოუქ-სუ“ მიუღიათ. 1885 წელს ერთ-ერთ წყაროზე ააგეს ბეტონის დახურული აუზი, რომელშიც გროვდებოდა წყალი და შემდეგ თვითდინებითი თხანახევარი დიუმიანი მარსების თიხის მილებით ქალაქამდე მიედინებოდა.¹ წყალსადენი დღემდე მიღწეულია 25 ათასამდე ვედრო წყალს.² მაშინ წყლის ეს რაოდენობაც საკმარისი არ აღმოჩნდა ქალაქის მთელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

თბილისისა და სევასტოპოლის წყალსადენების პროექტის ავტორს ივანე გონრად წამოუყენებია ამავე წყალსადენის რეკონსტრუქციის ახალი პროექტი, მაგრამ თვითმმართველობას მის განსახორციელებლად ვერ გაუღია სათანადო ხარჯები, ხოლო ადგილობრივ ხელისუფალთა შუამდგომლობა უმალევე მთავრობისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ უშედეგოდ დამთავრებულია.

1887-1888 წლებში ზემოთ აღნიშნული წყალსადენის აუზიდან ასი საკენის დაცილებით, სამხრეთ-დასავლეთით, „სოუქ-სუს“ სხვა წყაროზე აღშენებით მეორე ამგვარი, მოცულობით უფრო დიდი აუზი და ორივე წყალსაცავი ერთმანეთთან

¹ ეს აუზი მდებარეობს გოროდოკში, პავლოვის ქუჩაზე № 20-ა და № 22 სახლებს შორის.

² აუარის სახ. ცენტრ. არქივი, ფ. 6, ს. 48, ფურც. 47-51, 65-74.

ეს აუზი საკმაოდ მოზრდილი არქიტექტურული ნაგებობაა, მდებარეობს 31 დეკემბრის ქუჩის მეორე შესახვევის ბოლოში. მას ამჟამად მხოლოდ ბათუმის ციტრუსკომბინატი იყენებს.

6 ლიტერატურული აპარა, № 5

დალუკავშირებით. მთავარი წყალსაცავიდან წყალი ქალაქამდე რადიოშიანი მილით გამოუყვანიათ, თავდაპირველად წყლის მაგისტრალი ჩრდილოეთით, ქვეითა ყაზარმების ბატალიონისაკენ მიემართებოდა და აღწევდა საარტილერიო გზატკეცილამდე (დღევანდელი მაიაკოვსკის ქუჩა), დაახლოებით იმ ადგილამდე, სადაც ბატალიონის ეკლესია იდგა (ეს შენობა დღესაც არსებობს). წყალსადენის ტრასა აქედან დასავლეთისაკენ უხვევდა, მიჰყვებოდა საარტილერიო გზატკეცილს სასაფლაოს ქუჩის (დღევანდელი ფრუნზეს ქუჩა) გადაკვეთამდე. აქედან თბილისის ქუჩით მიემართებოდა ქალაქისაკენ, უხვევდა „ფონტანის შესახვევთან“, შემდეგ, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, გარს უვლიდა ქალაქს, მიემართებოდა სმეკალოვსკის ქუჩით (დღევანდელი რუსთაველის ქუჩა) და მთავრდებოდა დაახლოებით პედაგოგიური ინსტიტუტის შენობასთან.

იმ დროს ბათუმში სულ 29 ონკანი ყოფილა და ისიც უზოგბაა და ქუჩებში. მთელ ქალაქში მხოლოდ სამ ბინას ჰქონდა წყალგაყვანილობა.

ახალმა წყალსადენმა, რომელიც დღე-ღამეში 60-70 ათას ვედრო წყალს იძლეოდა, ერთგვარად გამოაცოცხლა ქალაქი. მაგრამ წყლის ეს რაოდენობა მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. ქალაქი სწრაფად იზრდებოდა, ფართოვდებოდა რუსეთის საგაჭრო ურთიერთობა საზღვარგარეთთან ბათუმის გზით.

XIX საუკუნის დამლევს გახშირდა საოკეანო ორთქლის გემების შემოსვლა ბათუმში. ისინი დიდძალ წყალს მოითხოვდნენ. ამრიგად, რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქი წყალმომარაგების მხრივ ისევ საფალაო მდგომარეობაში ჩავარდა. საჭირო გახდა დიდი დებიტის შემცველი უფრო მძლავრი წყაროს გამოძებნა.

და აი 1887 წელს, ხანგრძლივი კვლევის შემდეგ, შეჩერდნენ ვარიანტზე, რომლის მიხედვით წყალი თამარის ციხის მახლობელი წყაროდან უნდა გამოეყვანათ, მით უმეტეს, რომ წყლის ქიმიური ანალიზი დადებითი აღმოჩნდა და დები-

ტიც საკმაო იყო. მაგრამ ეს ვარიანტი მომავალ სათვის დიდი იმედების მომცემი არ ჩანდა.¹ მაშინ ლომალი ტერიტორიის დასახლების შემთხვევაში, რაც ბუჩქნარისა და ტყის გაჩეხვას გამოიწვევდა,

¹ თამარის ციხის მახლობელი წყაროთი სარგებლობდა როტმილდის ქარხანა, რომელსაც წყალსაცავი დღევანდელი რკინიგზის მახლობლად ჰქონდა. იქიდან წყალი ლითონის მილით ქარხანამდე მიდიოდა.

წყლის დებიტი საგრძნობლად შემცირდებოდა, კიდევ მეტი, შეიძლებოდა წყალი სავსებით გამქრალიყო. მეორე მხრივ, ქალაქისავე ხმელეთას სუსტი დაქანების გამო წყლის დინების გასაძლიერებლად საჭირო იქნებოდა სპეციალური სატუმბების მოწყობა, რაც ზედმეტ ხარჯებსაც მოითხოვდა. ამის გამო უფრო მიზანშეწონილი მეორე ვარიანტი აღმოჩნდა, რომელიც წყალმომარაგებას მდინარე ლეჩიდან გულისხმობდა და რომლის განხორციელებასაც გადაჭრით მოითხოვდა ინჟინერი ა. დ. მიხაილოვი.

საბირჟო გზებზე "ნოვოსტ" 1890 წლის 17 (29) მაისის ნომერში ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მდინარე ლეჩაზე აშენდებოდა წყალსადენი, რომელიც შეძლებდა ქალაქის დაკმაყოფილებას.¹

მდინარე ლეჩა მოედინებოდა სოფელ ორთაბათუმის (ჩაისუზნის) აღმოსავლეთიდან. ზემო დინებაში ის კლდოვან კალაპოტს მოჰყვებოდა, რომელიც ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა მდებარეობდა და შემდეგ მდინარე ყოროლისწყალს მარცხენა მხრიდან უერთდებოდა. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ მდინარეს დღე-ღამის განმავლობაში შეეძლო ხუთი-ექვსი მილიონი ვედრო წყალი მოეცა, რაც ბევრად აღემატებოდა მაშინდელ მოთხოვნილებას. მისი ქიმიური ანალიზისათვის ქალაქის თვითმმართველობამ ნოვოროსისისკის უნივერსიტეტის პროფესორი ვერტიგო და ქიმიკოსი სტრუვე მოიწვია.² ანალიზმა დადებითი შედეგი აჩვენა. ლეჩას წყალმა ქიმიური შემადგენლობით მოლოდინს გადააჭარბა და 1899 წელს ქალაქის თვითმმართველობამ საკითხი დადებითად გადაწყვიტა, მაგრამ იმავეივე ფინანსურ დაბრკოლებებს წააწყდა. მოსამზადებელი მუშაობისათვის ბჭონდათ მხოლოდ შვიდი ათასი მანეთი, იქნენერ მიხაილოვის პროექტი კი ითვალისწინებდა 843 ათასი მანეთის სამუშაოთა შესრულებას.³

აღნიშნული პროექტი 1900 წელს დააპროექტა ქუთაისის საგუბერნიო მმართველობამ და სამხედ-

რო გუბერნატორმა. იმავე წელს ქალაქ ბათუმის თვითმმართველობამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით შეამდგომლობა ალექსანდრე II-ს უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა ნება დაერთო მისთვის ნავსადგურში დაწესებული საფუთო გადასახადის ნაწილი წყალსადენზე დაეხარჯა. შუამდგომლობის პასუხი ოთხი წლის შემდეგ მოვიდა. ხოლო პროექტის განხორციელებას კიდევ ერთი წელი დააგვიანდა. 1905 წლის მარტში ინჟინერ მიხაილოვის პროექტი ნაწილობრივად შეიცვალა. წყალსაცავის მშენებლობა გადაიტანეს მდინარე ლეჩის ზემო დინებაში და შესაბამისად გადაადგილეს საფილტრავ მოწყობილობათა მშენებლობა. 1906 წლის ივლისში დაიწყო პირველი ტექნიკური სამუშაოები. წყალსადენის მშენებლობა სამ წელს გაგრძელდა. 1908 წლის 25 აგვისტოს ქალაქის თვითმმართველობის დადგენილებით ძველი წყალსადენი გაუქმდა და იმავე დღიდან ახალი წყალსადენი (საფილტრო კამერების გარეშე), საექსპლუატაციოდ გადაეცა. მშენებლობა მთლიანად მხოლოდ 1912 წელს დათავრდა.

ქალაქის კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებთან ერთად წყალმომარაგებას განსაკუთრებული ყურადღება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაეთმო. 1926-1929 წლებში მდინარე ყოროლისწყალზე აიგო ახალი წყალსაცავი, რის შემდეგ წყალგაყვანილობის ქსელი ბათუმში ერთიორად გადიდდა.

საწარმო-დაწესებულებათა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობის გაფართოებასთან ერთად დღითიდღე იზრდება წყალზე მოთხოვნილება. ამიტომ მდინარე ჭოროხზე ახლო მომავალში გათვალისწინებულია აიგოს ახალი წყალსაცავი სათანადო საფილტრავი კამერებით, რაც ქალაქს მთელ მოთხოვნილებას უზრუნველყოფს 20-25 წლის განმავლობაში.

1 აჭარის სახ. ცენტრ. არქივი, ფ. 6, ს. 48. ფურც. 29.

2 იქვე.

3 იქვე. ფ. 12, საქმე 612, ფურც. 41, ს. 276.



გამოუქვეყნებელი ღოკმეწი კლასთა ბრძოლის ისტორიიდან

პირველ მუშათა ორგანიზაციის რუსეთში, როგორც ცნობილია, საფუძველი ჩაუყარეს ოდესის მუშებმა 1875 წელს და მას „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი“ უწოდეს. ამ ორგანიზაციის წესდების შემდგენელი იცნობდნენ და ზოგჯერ იყენებდნენ კიდევაც საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის წესდებას.

მაგრამ რიგი სოციალური და პოლიტიკური საკითხები ამ კავშირში ისე არ იყო გარკვეული, როგორც შემდგომ დაარსებულ „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირში“, რომელიც 1878 წელს პეტერბურგში ჩამოყალიბდა. ამ კავშირზე გავლენას ახდენდა დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობა, რომელიც ამ პერიოდისათვის სულ უფრო იმსკვალეობდა მეცნიერული სოციალიზმის იდეებით — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეებით. XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში რუს მუშებზე გავლენა მოახდინეს აგრეთვე პარიზის კომუნის ამბებმა. რუსმა მუშამ ობნორსკიმ სამჯერ იმოგზაურა საზღვარგარეთ და რამდენიმე წელი დაჟყო იქ. მას საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა საზღვარგარეთული მუშათა პარტიების მოღვაწეობისათვის და გადმოეღო მათი გამოცდილება, რამაც თავისი დიდი დასავა „ჩრდილოეთის რუს მუშათა კავშირის“ პროგრამას, რომლის შედგენაში აგრეთვე დიდი როლი შეასრულა დურგალმა სტეფანე ხალტურანმა.

მუშათა კავშირის განკარგულებაში იყო რევოლუციური ლიტერატურა, რომელსაც საზღვარგარეთიდან გზავნიდნენ. კავშირის წევრები ისწრაფოდნენ თანდათანობით გადაექციათ იგი სრულიად რუსეთის მუშათა ორგანიზაციად. მათ განკარგულებაში იყო ბიბლიოთეკა პროპაგანდის საწარმოებლად. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მეგობრული კავშირი და ურთიერთსოლიდარობა

„ჩრდილოეთის რუს მუშათა კავშირისა“ და პოლონეთის (ვარშავის) რევოლუციურ პროლეტარიატს შორის.

მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში ჩვენ გამოვავლინეთ საინტერესო საარქივო მასალა, რომელიც დაკავშირებულია რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წ.წ.) ომთან და ადასტურებს პოლონეთის მუშათა კლასის კავშირს „ჩრდილოეთის რუს მუშათა კავშირთან“.

გენერალ-ადიუტანტი ნეპოკოინიცი 1878 წლის 31 იანვარს 861 ნომრით ქ. ანდრიანოპოლში მე-9 კორპუსის მეთაურს სწერს:

„ერთ-ერთ სახლში, რომელიც განკუთვნილი იყო ჯარისკაცებისათვის ანდრიანოპოლში, აღმოჩნდა ლითოგრაფიული პროკლამაციის რამდენიმე ეგზემპლარი აღმასვითებული შინაარსით. დიდმა მოვარმა მოვარსარდალმა ინება მომანდოს მე გაცეც განკარგულება, რომ თქვენი კორპუსის მეთაურებმა გააძლიერონ მეთვალყურეობა, რათა ჯარისკაცებს შორის ადგილი არ ჰქონდეს რაიმე ფურცლების გავრცელებას, რომლებსაც ავრცელებენ პოლიტიკურად არასაიმედო პირნი.“

ამასთანავე სანიმუშოდ გაახლებთ აღმოჩენილი პროკლამაციის ერთ ეგზემპლარს...“¹

ამ პროკლამაციას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრივ, იგი ადასტურებს იმას, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877-1878 წ.წ.) ჯარის ნაწილებში წარმოებდა არალეგალური მუშაობა, ხოლო, მეორე მხრივ, ცხადყოფს „ჩრდილოეთის რუს მუშათა კავშირის“ იდეურ ურთიერთობას პოლონეთის მუშათა მოძრაობასთან.

მოვეყვას პროკლამაციის ტექსტი:

¹ „Братям в русском войске“ (რედაქცია გაუკეთა წერილის ავტორმა).

Братьям в русском войске

Час жданный, час торжественный подходит... прочь упреки и недоверие, дружною вам семьею привет и руку ждем, и памятью теней святых Рылеева, Бестужева и наших мужиков народных крепим надежду единства цели и стремлений истинных сынов Польши и России. Братья, велик и завиден жребий наш. Полон опасностей и жертв, но словно святое призвание в руках Ваших — судьба нашего народа...

Взгляните на окровавленную Польшу, в огне и разрушении, взгляните на усеянные костями героев этапы ссылок, внимлите глухому стону изнывающих в гробовых казематах, каторге или сибирских степях мучеников свободы, поборников прав народных, внимлите отчаянной тоске, неиссякаемым слезам осиротивших семей и вспыхнут негодованием возвышенные сердца ваши и вздрогнете — быть слепым орудием в руках неистового тирана, вечного врага Польши и России.

Ныне собранные кинуты на чужбине полки, под маской человеколюбия и христианства, штыками в ваших руках, минте, царь тиран утолив жажду новых бесправных, новых грабежей и жертв. Тиран чтит это покровительством угнетенных.

Верные призванию и мы раскидываем наше старое знамя «за... нашу волю».

Орел наш белый встрепенулся, и смерится с двуглавым черным готов; под крылом его несем волю Польшы и России, несем мир и покой семьям нашим; положить предел жаждам пролития крови, разрушению и извтам, приносимым войсками дорогой отчизны.

Этими из глубины сердец вырывающимися словами, словами чистого убеждения, правды и любви, с криком искупления родины милой, обращаемся к вам, братья, взывая вас до опустошения рядов царского войска: — прибывайте к нам, под знамена наши, в братские, а сильные правдою наших стремлений, упованием в всемогущего, вашим самоотвержениям и самопожертвованьем всех истинных поляков и русских, восклицаем полные надежды:

«Да здравствует вольная Польша»,
«Да здравствует вольная Россия».
Ваши братья поляки на чужбине...!

1 ПГВИА, Ф. ВУА, л. 8908, ч. 13 л. 2—2 об.

გენერალ-ადიუტანტი ნეპკოიჩიცი 1878 წლის 3 თებერვალს (№ 1133) სწერს ავტოგრაფულ კორპუსის მეთაურს, რომ მთავარ შტაბამდე მოაღწიას ცნობამ ჯარისკაცთა შორის აკრძალული წიგნების გავრცელების შესახებ. ეს წიგნები გარეგნულად ყურადღებას არ იქცევენ, ვინაიდან მათზე აღნიშნულია: „ცენზურისაგან ნებადართულია“.

ასეთი მოვლენების აღსაკვეთად აუცილებელია, რომ ასეულის, ესკადრონების და ბატარეის მეთაურებმა, აგრეთვე სხვა ნაწილების უფროსებმა ჯარისკაცთა შორის წიგნებით სარგებლობის ნებართვა მისცენ არა გარეგან აღნიშნული წარწერის მიხედვით, არამედ ყურადღებით განიხილონ თვით ნებადართული წიგნების შინაარსი.

ასეთ აკრძალულ წიგნებს „ჩრდილოეთის კავშირი“ ავრცელებდა. და, როგორც ჩანს, პროპაგანდის ეს მეთოდი პოლონეთის მუშათა ორგანიზაციისაგან გადაუღია.

1878 წლის 21 მაისს ქ. ანდრიანოპოლის მე-4 უბნის უფროსის თანაშემწის პრაპორშჩიკ რიკოლსკის სასტუმროს ნომერში აღმოუჩენია ქართული, რუსულ და ფრანგულ ენებზე აკრძალული წიგნებისა და გაზეთების საწყობი. ისინი შესანახავად გადაუციათ საკომენდანტო მმართველობისათვის. ამ გამოცემებს ყიდდა იტალიის ქვეშევრდომი სიმონ შიალტელი, რომელიც დაუპატიმრებია პოლიციას.²

სამხედრო შტაბის უფროსი ქ. ანდრიანოპოლის პოლიციამისტერს სწერს დაუყოვნებლივ გამოუგზავნოს მას თითო ეგზემპლარი აკრძალული გამოცემებისა, რომელსაც ყიდდა სიმონ შიალტელი, ხოლო თვით შიალტელი პოლიციაში დატოვებულ განკარგულებამდელ.³

ზემოთ აღნიშნული ცნობები ადასტურებენ, თუ როგორ ეწეოდნენ ჯარის ნაწილებში პროპაგანდას აკრძალული წიგნებით და გაზეთებით რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877-1878 წწ.), და როგორი მჭიდრო კავშირი არსებობდა პოლონეთის მუშათა რევოლუციურ ორგანიზაციასა და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირს“ შორის.

ნიკო ზვიზდილი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

1 ПГВИА. Ф. ВУА, л. 8908, ч. 13, л. 3

2 ПГВИА. Ф. ВУА, л. 8908, ч. 13, л. 4

3 იქვე.



ქსანია კოხისაიშვი

სამი თვე შვეიცარიაში

მიმდინარე წლის მაისის დამდეგს ორი თვით გავემგზავრე შვეიცარიაში. მინდოდა ქალაქ ლოზანაში მომენახლეებინა ორმოცი წლის უნახავი ჩემი და. ამას გარდა, ძლიერ მაინტერესებდა გამეგო, რას წარმოადგენდა ეს ულტრა-კაპიტალისტური ქვეყანა, რომელსაც არასოდეს უოშია.

გავემგზავრე მოსკოვში, იქიდან ვარშავაში, შემდეგ ვენაში, ციურიხში, ბერნსა და ლოზანაში.

კარგად მოვეწყვე ჩვენი პირველი კლასის მატარებლის მოხერხებულ კუბეში და თავაზიანი გამცლებლის დახმარებით დავიწყე დღიურების წერა, რომლის ნაწილიც მინდა გავაცნო ქურნალ-ლიტერატურული აპარის¹ მკითხველებს.

ვენაში შემხვდა საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი და დიდი ყურადღებით მომეყრო. მთელი დღის მანძილზე ჩემს განკარგულებაში იყო მანქანა, რომლითაც შემოვიარე ქალაქი და გავიცანი მისი ღირსშესანიშნავი ადგილები.

შთაბედილება გამიფუჭა ტიროლის გავლით ვენიდან ციურიხამდე მგზავრობამ. მატარებელში საწოლი ადგილები არ იყო. მთელი დამე უძილოდ ჯდომა ადგილი ასატანი როდია. ჩათვლემის საშუალებაც კი არ გვქონდა. წამდაუწყემ აღებდნენ კარებს ბილეთისა და პასპორტის შესამოწმებლად.

ციურიხიდან სხვა მატარებლით ვიმგზავრე და მშვიდობიანად ჩავედი ლოზანაში, სადაც მელოდებოდნენ ჩემი ნათესავები.

1 სტატიის ავტორი — რუსის დამსახურებული არტისტი, ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ქ. თ. კოში-საროვა შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ ბათუმში ისვენებდა. ჩვენი თხოვნით მან დაწერა ეს პატარა სტატია.

ასე დავიწყე ცხოვრება შვეიცარიაში. ჯერ ორ თვეს, შემდეგ კი, როცა ბერნში, ხოლო უფრო მოგვიანებით ქენევაში ჩემი კონცერტები გაიმართა, ნება დამრთეს კიდევ ერთი თვით დავრჩენილიყავი.

მე ინდივიდუალური წესით ჩავედი შვეიცარიაში და შვეიცარიელები განსაკუთრებული ინტერესით შემხვდნენ. საინტერესო იყო ჩემი საუბარი ერთ-ერთ კაპიტალისტთან, რომელსაც თურქეთის ქვეშევრდომობა მიუღია. სახელად მას აშერი ერქვა. ამ საუბარს ჩემს ჩანაწერებში ასე ვუწოდებ „შეხვედრა ცოცხალ კაპიტალისტთან“. აშერს შევხვდი ჩემი ნათესავების წიგნის დუქანში. იგი შემეკითხა: „თქვენი ქვეყნიდან ინდივიდუალური წესით ასე იშვიათად რატომ ჩამოდის ხალხი?“ ჩემი პასუხი: „აქ ჩამოსასვლელად აუცილებელია ბედნიერი შემთხვევა — უნდა გყავდეთ ნათესავები შვეიცარიაში, რადგან საერთაშორისო ურთიერთობა იმდენად მეგობრული არ არის, რომ ყველას შეეძლოს თქვენთან ჩამოსვლა“. შეკითხვა: „მართალია, რომ თქვენში ჯერ კიდევ კომუნალური ბინებია და ხალხი სარდაფებში ცხოვრობს?“. პასუხი: „ჩვენს ქვეყანაში ახლა კოლესალური მშენებლობაა და სარდაფებში არავინ ცხოვრობს“. შეკითხვა: „ახალ ბინებს განა მუშები ღებულობენ?“. პასუხი: „აწორედ მუშები“. შეკითხვა: „როგორ მოაწონს თქვენს ხალხს ხრუშჩოვი?“. პასუხი: „საბჭოთა ხალხი დიდ პატივს სცემს ნიკიტა ხრუშჩოვს. იგი დაუღალავად იღვწის საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის“.

აშერს აღარაფერი უკითხავს და ჩემი ნათესავების წიგნის დუქანში აღარ მოდიოდა.

საყოფაცხოვრებო დონე შევიცარიში საკმაოდ მაღალია. შევიცარიელი კერძომესაკუთრებები მიემსახურებენ უთნობურ ღამაში საგნების კეთებას. მათი ლოზუნგია „რეკლამა ვაჭრობის მამოძრავებელი ღერძია“. გამაოცა ძლიერ ღამაზად ილუსტრირებულმა ჟურნალმა „მატჩმა“. უყურებთ სურათს: კაცი მიფრინავს: რა არის ეს? ბალები? არა. ეს სამშობლოდო ფეხსაცმლის რეკლამაა. აი კადრე — კობტად გამოწყობილი მამაკაცი, რომელსაც კარგად გაუთოებულ შარვალს აცვია, გვერდით უდგას ბიჭუნა. მას შარვლისაკენ გაუშვრია თითი და ამბობს: „შენ დედაჩემი არ გყვარებია, თუ ასეთ შარვალს არ იყდი“. გაზოთის ფურცლები, პრესპექტივი შესანიშნავადა გაფორმებული, ყოველივე ეს ემსახურება ყველის, კარაქის, გასახდომი, ქაღალბის გარეგნული სილამაზის შენარჩუნების პრეპარატების რეკლამას.

საღამოს გაზეთების მთელი ფურცლები ხმარდება ასეთ რეკლამას: „48 წლის ქალი ოცნებობს 55 წლის მამაკაცთან შესვენდრავზე. მიზანია ქორწინება“. ამ კიდევ: „კარგად შენახულ საშუალო ასაკის ქალს სურს 40 წელზე არა უნეს მამაკაცთან შესვენდრა. აქვს კერძო საკუთრება“.

სხვა ჟურნალების დიდრონი ილუსტრაციები მეტყველებენ მეტად „საქიბოროტო“ საკითხზე, სახელობრ, ბელგიის უფლისწულის ალბერტისა და პაოლო რუფოს ქორწინებაზე. გადაუღიათ ასახლავრდების ყველა პოზა, ყველა მიმოხიზრა. ტექსტი ნოვეთხრობს: „უფლისწული ალბერტი მოაჯადოვა პაოლოს დიმილმა“. ამ წყვილის ყოველი ინტიმური წერტილმანი საშეკარარზე გამოტანილი. ამან ძლიერ გააოცა, რადგან პაოლო რუფოს სარულიადც არ გააჩნია ასე ფართოდ რეკლამირებული ღირსებები და მაინც იგი ძოველი უფლისწული ალბერტს. ნუთუ ღირს ამაზე ამდენი წერა?!

ასევე ფართო რეკლამას უკეთებენ კინოფარსკვლავებს. ქორწინების დღეს კინონსახიზოი ქალის ინტიმური ცხოვრება რომ გაეგო, ერთი ფოტორეპორტიორი თურმე მის ფანჯარასთან ხეზე ასულა, ტოტი მოტყდომია და შარვლი დაუხვია. ეს ამბავი თურმე თვითონვე სასწრაფოდ გაავრცელა. შევიცარიში ყველაფერი შედარებით იაფია. წელიწადში ორჯერ ეწყობა ევრეთოვადებული „სოლოდ“. როცა საქონელი შევლდება ამ მოდელთან გამოსი, მელუქნები, მალაიის პატრონები ახლი მძებრებანდე იფად ყიდიან ჩაწოლილ საქონელს.

მაგრამ არის მთელი რიგი მოუგვარებელი საკითხები. მაგალითად, ძლიერ ჩამორჩება ჯანმრთელობის დაცვა. მკურნალობა ძვირი უჯდებათ შევიცარიელებს. იქ კერძო ექიმებია. ავადმყოფებს იაფად არ იღებენ. როცა შევტიყვე, რომ ჩემი დისშვილის კბილების მკურნალობა 1.800 ფრანკი

დაჯდა, საკუთარ ყურებს არ დავუჯერე, რადგან ხომ მკურნალობა უფასოა.

ჩემიანებს ვუამბე, რომ საბჭოთა ქვეყნებში ვიღერე მშრომელს კურორტზე გაგზავნიდნენ, იკუნდა შემოწმის სასეცილისტების კომისიამ და დადგინოს რომელი კურორტია მისთვის აუცილებელი. საქიბო შემთხვევაში დარეკისთანავე ადგენენ განდება სასწრაფო დახმარების მანქანა. სამედოციკო მომსახურება უფასოა ყველასათვის, განურჩევლად საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

ვილაპარაკე იმაზეც, თუ როგორ ყურადღებით ეპყრობიან ჩვენში ნორჩი ტალანტის გადვრებას, პიონერთა სასახლეებში ფართოდაა გაჩაღებული პაეშეთა შემოქმედებითი მუშაობა, შექმნილია მრავალი წრე. ახალგაზრდობს დაუბრკოლებლად შეუძლია გამოვიდეს შემოქმედების ფართო ასპარეზზე.

შევიცარია შედგება 22 კანტონისაგან და გაყოფილია სამ ნაწილად: გერმანული შევიცარია ქალაქებით ბერნისა და ციურიხით, ფრანგული შევიცარია — ჟენევიითა და ლოზანითა და იტალიური შევიცარია — ლუგანოთი. სახელმწიფოს სათავეში დგას მცხოვრებთა მიერ არჩეული პრეზიდენტი. ქალბენა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1950 წელს მიიღეს. როგორც წესი, ქალები განათლებას მაინცადამაინც არ ეძევენ ყურადღება. შევიცარიელების აზრით, ქალი რომ გათხოვდებოდა, მხოლოდ ოჯახს უნდა ემსახურებოდა. ამიტომ ბევრი შევიცარიელი ქალის გონებრივი პოზიზონტი ვიწროა. ისინი მეშინიანობს ქაოზში არიან ჩაფლული.

ზოგიერთ შევიცარიელ ქალიშვილთან საუბრის დროს გაგივრე, რომ მათი ოცნებაა სარფიანად გათხოვება, საკუთარი სახლი და მეურნეობა. როცა ვთქვი, რომ ეს მოსაწყენია, გაუღლისდნენ და მიპასუხეს: „რა არის აქ მოსაწყენი, თქვენს ქვეყანაში ქალები მხოლოდ მუშაობას შეეჩვივნენ, ჩვენ კი ამა რა ოჯახი გვექნება, თუ ქალი სახლში არ ტრიალებს“. მართალია, ქალმა ოჯახისათვის უფრო მეტად უნდა მოიცალოს, მაგრამ მიზნად მხოლოდ ოჯახის მოვლა დასახო, ეს საბჭოთა ადამიანის თვალსაზრისით ძლიერ ცოტაა და კვტაცს ქალის უფლებებს.

ალბათ, სწორედ ამიტომ სამი თვის მანძილზე შევიცარიულ ოჯახში ყოფნის შემდეგ ძლიერ მომეგატარა საბჭოთა კავშირი.

პირველ ორ თვეს ბევრი ვიმოგზაურე. ავედი სენ-პერნარზე, სადაც ღრუბლებში 2.872 ნეტრის სიმაღლეზე დგას მონასტერი. იქ ფანატკიანი მონაწევრები მთელ სიცოცხლეს ლოცვებსა და ღვთისმეტყველების შესწავლას ანდომებენ. მათ ზოგჯერ თვით პაპი ნოინახულებს სოლზე. პაპი იფარე მესამეს მორწმუნე კათოლიკეები დიდ პატივს ცემენ. ამას ერთი ასეთი სენტენცია ადასტურებს:

პაპმა განკარგულება გასცა, ვატიკანის ყველა ან-
გელოზს თაბაშირის შარვლები ჩააცვით, რათა
მორწმუნეები ლოცვის დროს ფრიგოლურმა (უწყ-
სო) აზრებმა არ გაიტაცონ.

მონასტრის მახლობლად წერთნიან სენ-ბერნა-
რის ძაღლებს. ქარბუქის დროს ამ ძაღლებს კი-
სერზე ჰკიდებენ კონიაკით სავსე მომცრო კასრებს,
ძაღლები მიდიან სევში გადაჩხილი, ან თოვლში
ჩარჩენილი მგზავრების საძებნად. გათოშლილი
მგზავრი კონიაკით სულს მოიბრუნებს. შემდეგ
ზურგზე მოექცევა ჭკვიან ცხოველს, რომელიც მას
მონასტრის პოსტიკალში მიიყვანს.

მოსკოვიდან რომ მივემგზავრებოდი, ჟურნალ
„ნუიკის“ რედაქტორმა მთხოვა დავინტერესებუ-
ლიყავი შვეიცარიის მუსიკალური ცხოვრებით. მა-
გრამ სახარბილოს ვერაფერს წააწყდი. ნამდვი-
ლი მუსიკა შვეიცარიაში არ არის. ლოზანასა და
ჟენევაში კონცერტებს მართავენ შემთხვევითი გას-
ტროლიერები. შვეიცარიაში რომ ჩავდი, ჩემმა
ნათესაებმა ბილიეთები მიმოვეს ჯერ ოპერა „ფა-
უსტზე“, რომელსაც იუგოსლავიის თეატრი დგამ-
და, და შემდეგ ინგლისურ ბალეტზე. ძლიერ მაინ-
ტერესებდა მილიონერებისა და იმ ამერიკელი ქა-
ლების ნახვა, რომლებიც ადგილობრივ პანსიონა-
ტებში იზრდებიან და ამისათვის თვეში იხდიან
არა ნაკლებ 1000 ფრანკს. საერთოდ, მინდოდა
ნენახა, რას წარმოადგენს ლოზანის თეატრი.
უზარმაზარი მოედანი გაჩირადნებულია, წამდა-
უწყმ მოდიან კერძო მანქანები, მოედანზე ჩაო-
დიან მდიდრულად ჩაცმული ამერიკელი ქალები.
ჩვენც საკუთარი მანქანით მივედი. თეატრში შე-
სვლამდე ყველაფერი საუცხოო იყო. მაგრამ აი
თეატრიც. ვესტიბილში გაოცებული დავჩი. ახა-
ლი დაღვებისა, დაკეტებისა და მსახიობთა ზურა-
თების ნაცვლად თელში მცეა შვეიცარიული საა-
თებისა და ძვირფასოვლებიანი ბეჭდების კოლექ-
ციის უზარმაზარი რეკლამები.

მოვემზადე გუნოს ოპერის უფერტიურის მოსას-
მენად, მაგრამ ელდა მცა, როცა დავინახე, თუ
როგორ ცვლიან ერთმანეთს შპაქარლამის, რძისა
და ყველის რეკლამები. როგორც მუსიკოსმა, შეუ-
რაცხყოფილად და დამცირებულად გვირქენი თა-
ვი.

იუგოსლავიელთა ოპერა მაინცდამაინც ვერ
ბრწყინავს, განსაკუთრებით სუსტია რეჟისურა
და მხატვრობა. ამის მიუხედავად, მაყურებელთა
ტაში არ ცხრებოდა. მომავალი რამდენიმე დღის
წინათ შატო დარონის ძველ ციხესიმაგრეში მო-
მონადარი შემთხვევა. სადარბაზოში იდგა როია-
ლი. მივედი და დავეყარი ვალსი „შემოდგომის
სიზმარი“ და პოფმანის ზღაპრის ფრაგმენტებში.
ხალხმა ტაში დამიკრა, ხოლო ჩემი ნაცნობი ეე-
დონი მომიბრუნდა და მითხრა: „დიახ, დიახ, თქვენ

მშვენივრად შეასრულეთ შოპენი“. ყურებს არ და-
ვუჯერე. როგორ შეიძლება ესოდენ პოპულარულმა
საცეცაო მუსიკა შოპენის მუსიკაში აგერიოს? მა-
კარგად ვიცი, რომ ბატონი ვედონი ყოველ ზამ-
თარში ყიდულობს სიმფონიური კონცერტების აბო-
ნემენტებს და ყველა ოპერის პრემიერას ესწრება
და მაინც პოპულარულ ვალსს შოპენის მუსიკი-
საგან ვერ არჩევს. სხვა მაყურებელზე რაღა ითქ-
მის?

ინგლისური ბალეტი, რომელმაც მაყურებელს
სტრავენსკის „პეტრუშკა“ უჩვენა, სათანადო სი-
მალღეზე დგას, მაგრამ საოცარია, რომ მსახიობ-
თა შორის ბევრს რუსული გვარი აქვს, მაგალი-
თად, პროკოვსკი.

ბალეტის თაობაზე ბევრი ვიდავე ადგილობრივ
მცხოვრებლებთან, განსაკუთრებით ცხარე კამათი
მომხიდა გ. ულანოვზე.

შვეიცარიელთა აზრით, გ. ულანოვა თუმცა ღი-
ლი ოსტატია, მაგრამ ღრთა გზა მისცეს ახალ-
გაზრდობას, რადგან თავისთავად საბალეტო ბე-
ლოვნება ახალგაზრდობას უფრო შეეფერება. მათ
ახლად მოვლენილი ვარსკვლავები ურჩენიათ ულა-
ნოვას მომწიფებულ ოსტატობას.

* * *

ლოზანის საკათედრო ტაძარში ყოველწლიურად
ეწყობა ორღანოს კონცერტები.

მე დავესწარი ერთ-ერთ კონცერტს და მოვის-
ნინე სკარლატის ნაწარმოებები. მაგრამ თელი პა-
სუხისამგებლობით უნდა განვაყხადო, რომ გაცი-
ლებით უფრო ძლიერია ჩვენი ორღანისტი ისაია
ბრაუდერი.

ლოზანის ცენტრში გაშენებულია წარმტაცი
პარკი მონ-რეპო, სადაც ყოველწლიურად ღია ცის
ქვეშ იმართება სპექტაკლები. თემა რომელიმე
კანტონის ყოფითი თავგადასავალი.

ამჯერად უჩვენებდნენ კანტონ დე-ვოს ამბავს,
რომელსაც ეკუთვნის ქალაქი ლოზანა. პიესას
ერქვა „მოსამართლის გასაქირი“. მაყურებელი ამ-
ფითეატრულად იყო განლაგებული. წარმოდგენა
სახელდახლოდ გამართულ მოედანზე მიდიოდა.
საინტერესოა, რომ ფერადი პროგრამები ქალაქ-
ზე კი არ იყო დაბეჭდილი. არამედ დიდრონ ხელ-
მანდილებზე. პროგრამებს ყიდდნენ ეროვნულ
ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები და ბიჭე-
ბი. ხალხი დამოკრტიულად იყო განწყობილი.
პიესის მიხედვით, მოსამართლე ეძებს სამართალს,
მაგრამ ამაოდ. ბოლოს შედის სასრილო ტირში,
სადაც სამიზნეთა შორის ხედავს პრეზიდენტის სა-
ხეს. მოსამართლემ სცადა ბედი და გაუმართლა.
პირველი გასროლითვე ჩამოავდო პრეზიდენტი და
იგი წყობილებიდან გამოიყვანა. როგორც კი პრე-
ზიდენტი ჩამოვარდა, ტაშმა იგრიალა. როგორც
ჩანს, პრეზიდენტი მაინცდამაინც არ უყვარს ამო-
მრჩეველს.

შვეიცარიელთა ცხოვრებას რომ აკვირდები, გრძნობ, რომ ისინი ცხოვრობენ კარაქაქტილად, ძლიერ უყვართ ფული. იშვიათად პატივებენ სტუმრებს და უმასპინძლობენ ჩაით და იაფფასიანი ნამცხვრებით.

დიასახლისებს თავის შეწუხება არ უყვართ, მაგრამ შინამოსამსახურებზე მაინც უარს ამბობენ, თუმცა შეძლებულად ცხოვრობენ. ოჯახს თეითონ განაგებენ. ზოგჯერ რომელიმე ქვეყნიდან, მაგალითად, გერმანიიდან ჩამოდიან ქალიშვილები, რომლებიც ფრანგული ენის შესასწავლად შინამოსამსახურებზე უღებებიან მდიდარ ოჯახებს, მაგრამ, როგორც კი ენას შეისწავლიან, მაშინვე სამშობლოში ბრუნდებიან.

შვეიცარიის ქუჩები მეტად ლამაზია. ბევრია ყვავილი, მაღაზიების მდიდრულად მორთული ვიტრინები, მაგრამ 10 საათის შემდეგ ქუჩაში იშვიათად ნახავ გამოვლულს. ყველანი მდიდრულ რესტორანებში სხედან. მაგრამ იქ მუსიკის დაკვრა აკრძალულია, რადგან მუსიკა, თურმე ნუ იტყვით, ხელს უშლის კლიენტებს საუცხოო კერძების ათვისებაში.

ლოზანსა და ქენევაში რესტორანებს ემსახურებიან მეტრ-დ'ოტელეები და გარსონები, რომლებიც სტუმრების მომსახურების სპეციალურ კურსს გადიან. იგივე ითქმის ქალიშვილებზე, რომლებსაც აქ „სომელიერებს“ უწოდებენ. ეს ქალიშვილები მეტად მოხდენილი, ლამაზი და თავაზიანი არიან. კარგად აცვიათ. სამუშაოს რომ მორჩებიან, ყველაზე მდიდარ საპატარძლოებად ითვლებიან.

თავაზიანობა შვეიცარიელთა განმასხვავებელი თვისებაა. სერიოზული, მაგრამ მოსაწყენი და ინტელექტუური შვეიცარიელები ჩინებულს ტაქტს

იჩენდნენ. როცა საბჭოთა კავშირზე მსჯელობდნენ, ვიყავი ფრანგი შვეიცარიელების საზოგადოებაში. ისინი ფრთხილად მეკითხებოდნენ: „რატომ არ საბჭოთა კავშირში, ნამდვილად კარგად თუ ცხოვრობს ხალხი. მე ასე ვუპასუებდი: „თქვენ არ განახებთ ომის სამინილეება და ვერც წარმოიდგენთ იმ ტანჯვას, რაც საბჭოთა ხალხმა განიცადა, მაინც ჩვენი მეტია მხიარულება. თქვენში მოწყენა“.

ბევრ შვეიცარიელს არ ესმის ჩვენი ცხოვრების შინაარსი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მათთვის საბჭოთა კავშირი საოცარი ქვეყანაა. ამიტომ დიდი ინტერესით ეცნობიან ყველაფერს, რაც მათ წარმოდგენას მიჰყვება „საოცრებათა ქვეყანაზე“. ისინი ძლიერ დაინტერესდნენ წიგნით საბჭოთა კავშირზე, რომლის ავტორები არიან ფრანგი ბეგო და იტალიელი პედროლევი. ამ უცხოელებმა ცოლებთან ერთად საკუთარი მანქანებით იმოგზაურეს პარიზიდან მოსკოვამდე და თავიანთი შთაბეჭდილება ასახეს წიგნში „მოსკოვის ღია კარები“.

ეს წიგნი მე წავიკითხე. იგი გამოცემულია ფრანგულ ენაზე და იყიდება საფრანგეთისა და შვეიცარიის ყველა ქალაქში. ავტორები კეთილად არიან განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ და ვიცი, რომ მათ შორის, ვინც ეს წიგნი წაიკითხა, ბევრმა განაცხადა სურვილი შეიძინოს საგზური ჩვენს ქვეყანაში სამოგზაუროდ.

შვეიცარიაში გატარებულმა სამმა თვემ კიდევ უფრო დამაწმენდა, რომ კაპიტალისტური სამყაროსათვის უცხოა ჭეშმარიტი კულტურა და მაღალი იდეალები, რომ კაცობრიობის ნათელი მომავალი კომუნიზმია, ხოლო საბჭოთა კავშირი ხალხთა კეთილდღეობის, მათფლიოში ურღვევი მშვიდობის ჭეშმარიტი ციტადელია.



„ნ ა ლ ვ ე რ დ ა ლ ი“

„ნალვერდალი“ ეწოდება პოეტ ლევან გელაძის ახლახან გამოსულ წიგნს და უნდა ითქვას, რომ იგი კარგად გამოხატავს კრებულში შეტანილ ნაწარმოებთა საერთო მიზანდასახულობას, მათ იდეურ ტენდენციას. ნალვერდალი სათაურად აქვს პოეტის ერთ-ერთ ლექსს და კრებულის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ნალვერდალი ანუ ნაკვერჩხალი არის „მწვარი შეშის გაყვარებული ნაწილი, გაყვარებული ნახშირი“.¹ რომელიც სათანადო გარემოში დიდხანს ინახავს ცეცხლს, სითბოსა და სიმზურვალეს. ლექსი „ნალვერდალი“ მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ სამ აღამიანს თავი შეუფარებია ბნელი გამოქვაბულისათვის. აქ უნახავთ ნაცარი, რომელშიაც ვიღაც მაღლიანს ნალვერდალი დაუტოვებია. ნალვერდალის გაღვივების შედეგად ისინი გაშრნენ, გათბნენ და წასვლისას დატოვეს ჩაუმტრალი ნაკვერჩხალი. ცხადია, მომავალში სხვები მოვლენ, იპინიც გამოიყენებენ ამ ნალვერდალს და ასე გაგრძელდება. ამბობს ავტორი და საბოლოოდ აკეთებს ასეთ დასკვნას: „დასაბამითვე ცეცხლი ასე შემოგვრჩა, იქნებ“ და შემდეგშიც „ასე ღვივდება, ასე იქნება“. რაი ასეთი ლექსის სათაური წიგნის საერთო სახელწოდებად იქცა. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში შეტანილ ნაწარმოებებს ავტორი მიზნად უსახავს ნალვერდალის დანიშნულების შესრულებას. ამ შემთხვევაში პოეტს აინტერესებს არა მხოლოდ ნამდვილი ცეცხლი და მისგან გამოცემული სითბო და სინათლე, არამედ მისი სიმბოლიური გააზრება. როგორც ცნობილია, პოეზია ნალვერდალის მსგავსად უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს კაცობრიობის ისტორიაში. იგი თავისებური ღაღარია, რომელიც მუ-

დამ ინახავს და შთამომავლობას გადასცემს კულტურის ჯანსაღ მონაპოვარს. მხატვრული ლიტერატურა ასეთ ნალვერდალთა განუწყვეტელი გრეხილია. აქედან აშკარაა, რომ წიგნის სახელწოდებად „ნალვერდალის“ მიცემა იმას ნიშნავს, რომ ამით ავტორი გვეუბნება: ნალვერდალი დაწერილია ადამიანთა გულების გასათბობად, შეიცავს ნალვერდალივით მარად ჩაუქრობ სიყვარულს მშრომელი ხალხისადმი. ამ კონტექსტში დიდია სიტყვა ნალვერდალის მნიშვნელობა და გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ ჩვენ ცნობილ მხატვარს შ. ხოლუაშვილს ამ სიტყვაში ჩაქსოვილი იღუა წიგნის გარეკანზე მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილად ვერ გამოუსახავს. და აი რატომ: ლექსის შინაარსის მიხედვით ნალვერდალი ნაცარი იყო ჩაფლული და ამიტომ წიგნის გარეკანზე მოცემული უნდა ყოფილიყო ნაცრისფერი ფონი, ხოლო თვით სიტყვა „ნალვერდალის“ ასოთა ფერი ნაკვერჩხლის რეალურ მყოფობას უნდა წარმოქმნიდეს. აქ იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ სიტყვა „ნალვერდალში“ დასაწყისი ნ-ს კიდურის წვერი მეტად წაგრძელებულია და ძალზე მიახლოებულია ასო ა-ს წვერთან, ამიტომ ჩნდება ასოთა გადაბმის ილუზია, რის შედეგად ვღებულობთ ერთი ასოს, კერძოდ ის გამოხატულებას. ამის გამო იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს წიგნის სახელწოდებას წარმოადგენს „ილვერდალი“ და არა „ნალვერდალი“.

რანაირიც არ უნდა იყოს წიგნის გარეკანი, მთავარი მაინც მისი შინაარსია. ამ მხრივ „ნალვერდალი“ ლ. გელაძის შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელია. ავტორისათვის დამახასიათებელია თემატიკური თანადროულობა, იგი აქტიურად იჭრება ცხოვრების მდინარეებში, ენერგიულად ეხმარება მის მოთხოვნილებებს. მაგალითად, განჩნდა თუ არა კომუნისტური შრომის ბრიგადები,

1 იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

პოეტმა მაშინვე უძღვნა ამ მოძრაობას გრძნობით გამოთხრობი ლექსი „დიდება ამ შრომას“. ავტორი ხედავს, რომ შრომა აყვავდა და ნიჭმა ფრთა გაშალა. პოეტმა ისიც იცის, რომ ეს მოძრაობა დაუშლეველია, მას გზას ვერვინ ჩაუხერხავს, რადგან:

ღინჯად მიგვიძღვის ლენინის პარტია,
ძმობის ჩირაღდნად მოსკოვი ანთია.

ყოველივე ამის შემდეგ გაკვირებას იწვევს ამ ლექსში განვითარებული ერთი თეორიული დებულება მწერლისა და ცხოვრების ურთიერთობის შესახებ. ცხოვრება მშვენიერი და წარმატაცია, ამბობს პოეტი და ამიტომ:

ამ დღეთა დახატვას რად უნდა მწერალი,
ამ დღეში სიმღერას რად უნდა პოეტი,
ცხოვრება იღვრება ლექსად და სიმღერად.

არსებითად აქ განვითარებულია პოეზიის ლიკვიდაციის თეორია, რადგან ავტორის გაგებით თვითონ ცხოვრებაა პოეზია პოეტის გარეშე და მაშინ აღარც პოეტი ყოფილა საჭირო და ავტორი ვერც კი ამჩნევს, რომ ამათ თავის „ნალევრდას“ წყალს ასხამს. ალბათ, ახალი ცხოვრებასადმი ძლიერი სიყვარულით არის გამოწვეული პოეტის ასეთი ესთეტიკური თვამდაბლობა. ცხოვრების სიყვარული კი მართლაც ყოველთვის იგრძნობა ლ. გელაძის პოეზიაში. მან ფართოდ გაუღო კარი პატრიოტიზმის თემატიკას, რაც უპირველეს ყოვლისა დედა საქართველოსადმი გულწრფელ და მძაფრ სიყვარულში გამოიხატება:

წაქცეულ ნაძვს, მივალ ბეჭით შეუდგები,
იქ მამყოფა, თვალი ტეერებს რომ ვერ ატანს,
უკანასკნელ სიტყვას ვიტყვი შენი ქების,
საქართველოვ, უშენობას ვერ ავიტან!

(„ვერ ავიტან“)

ავტორს ასხვებს, რომ პატარაობისას პაპამ წაიყვანა მინდორში, პუდუდი — მიჯნის აღმნიშვნელი ქვა არგენა და უთხრა: შვილო, მუდამ ხსოვნაში გქონდეს „წარუშლელი ნიშანი მიჯნის“. დღეს ავტორს აკონდება ეს სამიჯნო თეთრად თლილი ქვა და შესანიშნავად ამბობს:

პუდუდი, მიჯნა შევ დღეებს მიჰყვა,
მამული საზღვრით ვით დავყო კაცმა,
როცა ეს მიწა უსაზღვროდ მიყვარს.

(„პუდუდი“)

საბჭოთა ქვეყნის, მთელი საქართველოს სიყვარულში ავტორს ჩაქსოვილი აქვს საქართველოს განუყოფელი მხარის — მზიური აჭარის, მისი გმირული წარსულისა და წარმატები აწმყოს უანგარო სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. ლ. გელაძე აქ დაიბადა, აქ გაიზარდა მან პირველად ქართველი დედის ნანა და ბუნებრივად არაუ, რომ ამ თემას მან მიუძღვნა ბევრი საინტერესო ლექსი, მაგალითად, „შუახვს“, „შენ მამანეცვს“.

„ჩემო სოფელო“, „ყარა-დერე“, „დიდაჭარა“, „ვაიო“, „პოემა გუნეშ“ და სხვ. „დიდაჭარა“ საზგასმულია აჭარის მშრომელების დიდი გამაღვრება და შეუდრეკლობა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში:

ვერ მიდრიგეს ვერც ყურანით, ვერც ისლამით,
ამხნევებდათ სიო ქართლით მონაპერი,
ბევრმა ფაშამ მოიტეხა წელი ლამის,
წბილად დარჩა კიდევ ბევრი.
და შეარტევს დიდსულ სოფელს დიდაჭარა,
ჩემო მხარე, დიდი იყო ტანჯვა შენი.
ახლა შენ წინ ნათლად მოჩანს დიდი შარა.

ამ დიდ შარას მიჰყვება პოეტი და დარწმუნებულად ვართ, რომ შესრულება ის სიტყვები, რომელსაც იგი თავისი თავის შეახებ ამბობს: „ბოლოს და ბოლოს მე ბოლომდე გავიტან ლელოს“, მაგრამ აქ ავტორს უნდა გაეახსენო მოხდენილად ნათქვამი მისივე სიტყვები:

რაგინდ უნაღვლეს მწვერვალზე იდგე.

მაინც რაღაცა კვლავ მოჩანს მაღლა
(„მაღლა“)

სასიხარულო მხოლოდ ის არის, რომ პოეტი დამაჯერებლად და მტკიცე საიმედო ნაბიჯებით მიიწევს ამ დაუსრულებელი სიმაღლისაკენ. ლ. გელაძე განიცდის შემოქმედებით ზრდას და კრიტიკის ამოცანაა ხელი შეუწყოს მას ზრდის სიძნელეების დაძლევაში. ამიტომ მსურს რამდენიმე შენიშვნა მიეცე ამ ახალი წიგნის ჩრდილოვანი მხარეების შესახებ.

კრებულში შეტანილ ყველა ლექსსა და ამასთან საყოვლადო და საინტერესო პოემა „გუნეშსაც“ აშკარად ეტყობა ლექსის ზომის, პოეტური მეტრის ერთფეროვნება. თითქმის ყველა ლექსი წარმოადგენს ლექსის იმ სახეს, რომელსაც ლიტერატურის თეორიაში თავისუფალი ლექსი ეწოდება. ასეთ ლექსს ახასიათებს სალექსო ტაქტების სილაპების, მარცვლების სხვადასხვა რაოდენობა, რის გამოც ირრევეა ლექსის მეტრი, სუსტდება რიტმულობა და პროზას უახლოვდება. ასეთი ლექსის ნიმუშისათვის მოვიყვან ერთ ადგილს „ჩემო სოფელო“.

ყოფილიან განომხტენ (9)

აქ, (1)

იქ (1)

ძალღები, (3)

უსტო გეგონე, დამიწყეს ღრენა (10)

ნაცნობეზივით მიტყრინან, თითქოს

სახლები. (14)

აქ რითმულობა გვაქვს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ყოველ ტაქტში მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობაა. „ნალევრდალში“ შეტანილი 59 ლექსიდან 54 ლექსი და ერთი დიდი პოემა ზემონაჩვენები „უზომო“ ზომით არის დაწერილი. რასაკვირველია, თავისუფალი ლექსი სრულუფლებით



ანი ლექსის სახეა. მაგრამ იგი ლექსის მხოლოდ ერთი სახეა და სამწუხაროა, რომ ლ. გელაძეს იგი ლექსის ერთადერთ სახედ უქცევია და გაუბატონებია თავის პოეზიაში. თუ პოეტს სურს მისმა ლექსებმა მოიპოვოს უფრო მეტი რითმულობა, რიტმულობა, მუსიკალობა, ქდრადობა უნდა გამოიყენოს მრავალნაირი სტრუქტურული ერთეულები და ლექსის სხვადასხვა სახეები.

აქვე იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია პოეტმა ლექსისა და სტროფის სულ სხვადასხვა სახე გამოიყენოს, მაგრამ ლექსი მაინც არ გარდობს დაბალი პოეტური ოსტატობისა და იდეური ჩაგვარდნების გამო. ჟანრი და ზომა თავისთავად არ ქმნის ლექსის გამარჯვების გარანტიას. ნაწარმოების იდეურობა მხატვრულობის ღერძია. უნდა ითქვას, რომ ლ. გელაძის ზოგიერთ ლექსს არ გააჩნია ასეთი მტკიცე ღერძი. მაგალითად, ყოველად გაუმართლებელია „ნაღვერ-დალში“ ისეთი იდეურად ჩამქრალი და ცივი ლექსის შეტანა, როგორიცაა „მეწინავე“. ამ ლექსში პოეტი იგონებს ბავშვობის ხანას, როდესაც ისინი ციგაობდნენ, მათ ჰყავდათ მეწინავე და თუ მას გზა შეეცვლებოდა, გამოსცვლიდნენ, პოეტსაც სურდა წინ სრიალით გაზარებულიყო, მას ეგონა გზას მუდამ სწორად გაჭრიდა. და აი, დაჰბუკდა იგი და მასაც არგუნეს მეწინაობა. წინ წამოუძღვა თოვლში ბიჭებს, მაგრამ კვალი მასაც ატანდა და ამ ფაქტიდან პოეტი აკეთებს ასეთ უცნაურ დასკვნას:

მაშინ გულში სხვა ტკივილი შევიგრძენი,
ელქვი: ვერ ივლი შეუცვლელად მეწინავედ,
რავინდ იყო კაცი ბრძენი.

ახალგაზრდა პოეტის პირველი კრებული

გამოვიდა ახალგაზრდა პოეტ ნოდარ ჯალაღონიას ლექსების პირველი კრებული „სიმღერის გაზაფხული“. მართალია, მოცულობით იგი დიდი არ არის, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს როგორც ავტორის სულაერ ინტერესებზე, ისე მისი მხატვრული ოსტატობის დონეზე. მასში არის კარგი, გამართული ლექსები, რომლებიც პოეზიით სუნთქავენ და არის სუსტი, უფერული ნაწარმოებებიც, რაც ამას მოწმობს, რომ პოეტი ჯერ კიდევ „დუდილის პროცესშია“, ჯერ კიდევ საკუთარი გზის ძიებაშია.

იმ ლექსებიდან, რომლებიც დადებით შეფასებას იმსახურებენ, გამოირჩევა ორი თემატიკურად ძლიერ განსხვავებული ლექსი „ძველი უწარწერი“ და „ლახტი“. ჩვენი აზრით, სწორედ მათში გამოჩნდა ახალგაზრდა ავტორის ინდივიდუალ-

ამგვარი პესნიმისტური დასკვნა მხოლოდ ერთ საქმეს ემსახურება: გაუტეხოს სახელი ბრძენ კაცს. როგორც ცნობილია, პოეზია „პირველად სიბრძნისაა ერთი დარგი“ და ლიტერატურის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ ბრძენი კაცის სახელის გამტეხ მწერალს თავისი პოეზიისათვის სახელი მოეხვეჭოს. ასეთივე უიდეო ლექსებია „ენსომებათ“, „დაბპრე ქარო“, „ამ ღამით“. მაგალითად, ამ უკანასკნელ ლექსში მოცემულია ბუნების სურათი, რომ წუხელ ატმები აფეთქებულან, მტკვარსაც დუდილი და ქაფუაფი დაუწყია, მთასაც ღრუბლებს მანდილი მოუძვრია:

კლდენი მოხატულან სხივების ვარაყით,
სამყრებს უტყვევით ყურები სამ-სამი,
ფესვები უზომოდ თვრებიან არაყით,
ეს დღეც მიიმაღვის თვალების ხამხამით
და რაღაც მოხდება ამ ღამით.

საერთოდ ლექსიდან გაუგებარია, თუ რა მოხდება ამ ღამით, მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ „ფესვები უზომოდ თვრებიან არაყით“-რა შეუძია აქ არაყი? საქმე ის არის, რომ ზედა ტაეპი ბოლოვდება სიტყვა „ვარაყით“ და აა გან-და მასთან შერითმული სიტყვა „არაყი“. არაყის დაკავშირება მცენარის ფესვებთან არაფრით არ არის გამართლებული. იგი მხოლოდ ფორმალის-მის რეციდივია, რასაც დამლევს სჭირდება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგში ლ. გელაძე უფრო დაკვირვებულად, აუჩქარებლად იმუშავეს და კვლავ გაგვახარებს ახალ-ახალი კარგი ლექსებით.

დოც. ალ. ჩავლიშვილი.

ბა, მისი, როგორც შემოქმედის, თავისებურებათუ ბევრი პოეტი მკითხველს უშუალოდ აცნობს თავის ლირიკულ განცდებს, პირდაპირ ეუბნება სათქმელს, რის გამოც მათი თითქმის ყველა ლექსი ერთგვარი მონოლოგის შთაბეჭდილებას ტოვებს, ნოდარ ჯალაღონია ცდილობს „გაშუალოს“ ურთიერთობა მკითხველთან, სათქმელი გადმოსცეს არა პირდაპირ, არა დეკლარაციულად, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოვლილი“ გზით. წერის ეს მანერა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ლექსში „ძველი უწარწერი“. აი ისიც:

ღვას შუბლნათელი გაწვდილი ხელით,
ვინც მკერდით შეხვდა ათას ქარტახილს,
ღიმილით უმზერს ილიჩს ჩინელი,
ღიმილით ამბობს უნგრელი, ჩხენი:
გლადიმერ ლენინ!

ავერ პატარა უყურებს დიდხანს.
შემდეგ დედიკოს აღარც კი ჰკითხავს.
მიუტანს ილიჩს ვარდების კონას
და სიყვარულით იტყვის გოგონა:
— ძია ლენინი!

არსად წარწერა, სიტყვა არც ერთი.
მხოლოდ ილიჩის თვალები ელავს.

და მაინც უმზერს ყველა, ვით ერთი,
მაინც შედგება და ამბობს ყველა:

— ვლადიმერ ლენინი!

მრავლისმეტყველი ლექსია! მისი აზრი, მისი
იდეა ის არის, რომ ლენინი უადრესად პოეზულა-
რულია, რომ მას ყველა იცნობს — საბჭოთა მო-
ქალაქე და უცხოელიც, დიდიც და პატარაც, რომ
ლენინი ყველა მშრომელისათვის თანაბრად საყ-
ვარელი და ძვირფასია. მაგრამ როგორ გადმოგუ-
ცემს ახალგაზრდა პოეტი ამ აზრს, ამ იდეას?
რასაკვირველია, მას შეეძლო იგი უშუალოდ თვი-
თონ ეთქვა, ეთქვა პირდაპირ, მაგრამ ამჯობინა
„მოვლილი გზა“, რისთვისაც გამოიყენა ის საყო-
ველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ დიდი ლენინის
ბევრ ძეგლს ვინაობის აღმნიშვნელი არავითარი
წარწერა არა აქვს და არცაა აუცილებელი, რად-
გან ილიჩი ყველასათვის ნაცნობი და ახლობე-
ლია, რადგან ყველამ ძლიერ კარგად იცის. ვისია
ძეგლი. და რაკი ასეა, პოეტმა საკმარისად მიიჩ-
ნია ორიოდ წინააღმდეგობა თვითონ ეს
ფაქტი და ამით თქვა სათქმელიც, თქვა ძლიერ
შთაბეჭდვად და ორიგინალურად.

წერის, სათქმელის გადმოცემის ასეთივე მა-
ნერა, როგორც აღვნიშნეთ, მკაფიოდ ჩანს ნოდარ
ჯაღალაონიას მეორე ლექსშიც „ლახტს“, თუმცა
მისი თემა სულ სხვაა. მასში პოეტს სურს ლირიკუ-
ლი გმირის მეშვეობით ხაზი გაუსვას, თუ რა ძლიე-
რი და დაუფიწყარია ბავშვობისას განცდილი პირ-
ველი სიყვარული — ბევრს იგი სიჭარბავეშიც კი
გაჰყვება ხოლმე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც პოეტი
პირდაპირ არ ამბობს სათქმელს. ლირიკული გმი-
რი ივონებს იმ დღეებს, როცა გატაცებით თამა-
შობდა ლახტს და გულწრფელად უყვარდა თანა-
ტოლი გოგონა. გავიდა წლები, ლირიკული გმირს
„უკვე თამაში ჭადარა ათოვს“, მაგრამ გულში
კვლავ უღვივის პირველი სიყვარულის ცეცხლი.

როგორც გვხვდავთ, ახალგაზრდა პოეტს უნარი
შესწევს შენიშნოს მოვლენა, მხატვრულად გაიპა-
ზროს და მოკლედ, სხარტად გადმოგვცეს იგი.
რა თქმა უნდა, დანახვის, გადმოცემისა და თქმის
ეს უნარი შემოქმედის ძვირფასი თვისებაა, რაც
ნოდარ ჯაღალაონიამ შემდეგმდ უნდა განავითაროს
და სრულყო. იგი არ უნდა შეუშინდეს სიძნელე-
ებს და გულდაგულ იმუშაოს იმისათვის, რათა

უკეთ დაეუფლოს სახეობრივ აზროვნებას, მოკ-
ლედ თქმის ხელოვნებას, როცა განაკუთრებული
წინიშვნელობას იძენს ლექსის ე. წ. ტანსაცმელი.
მით უმეტეს, რომ ამ მხრივ ახალგაზრდა პოეტს
შემოქმედებაში ყველაფერი რიგზე როდია. კერ-
ძოდ, არცთუ ისე იშვიათად ნათქვამს აკლია სი-
ზუსტე, ზოგჯერ კი ორაზროვანია ან ბუნდოვანი.
ასე, მაგალითად, ლექსში „ძმობის სიმღერა“ პოე-
ტი ამბობს:

თუმცა ღამითაც ხმალზე გვეძინა,
მაინც გადავრჩით, მაინც გავძელით.
რადგან ათ მომხედურს ერთი ხედებოდა.
ერთ მოყვარეს კი ყველა ქართველი.

პოეტს უნდოდა ეთქვა, მიუხედავად მცირერიც-
ხოვნებისა, ქართველი ხალხი გმირულად ეწეოდა
უთანასწორო ბრძოლას მომხედური ურისხვი
მტრის წინააღმდეგ, უთანასწოროს იმიტომ, რომ
ერთზე ათი მოდიოდა, მაგრამ ზან მოყვარისა და
მეგობრის დაფასებაც იცოდაო. გამოუვიდა კი სულ
სხვა აზრი. კერძოდ, ციტირებული სტრიქონების
მისხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოყვარეს თურმე ყვე-
ლა ქართველი ხედებოდა, მტერს კი მხოლოდ ზო-
გიერთი. კიდევ უფრო დიდი შეცდომა ჩაიდინა
პოეტმა მეორე ლექსში „ომი, სოფელი, წისქვი-
ლი“. მას უნდოდა ეთქვა, სამამულო ომი მძიმე,
განსაცდელი იყო, მან ბევრი მსხვერპლი მოითხო-
ვაო, მაგრამ კვლავ სხვა აზრი გამოუვიდა და და-
ამახინჯა სინანდლივით:

დარდის გარეშე არ იყო ერთიც.
ბევრის სახლ-კარი შავად დახატეს,
ბევრმა უღმერთომ იწამა ღმერთი,
შვილის შინ მოსვლა შესთხოვა ხატებს.

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.
ახალგაზრდა პოეტს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ
ტექნიკური — ეს არაა დაუთავრებელი ნათქვამი.
როცა ბოლომდე არ ამბობენ სათქმელს და მკრთო-
ლში მაინც აღძრავენ სასურველ საპასუხო გრძნო-
ბებს. ამიტომ საჭიროა დიდი სიზუსტე, რათა მკრ-
თხელმა სწორად გაიგოს ის, რაც პოეტს ბოლო-
მდე არ უთქვამს, მაგრამ რასაც გულისხმობს
რაზეც მიუთითა.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ნოდარ ჯაღა-
ლონი საკმაოდ არ „აშალაშინებს“ ლექსებს, რის
გამოც ბევრ ლექსში შესამჩნევია „ნორკლეში“.
განსაკუთრებით ეს თავს იჩენს ლექსიკაში. ერთ-
ერთ ლექსში („ვაკაკის გული“) იგი, მაგალი-
თად, ამბობს: „უფრო მოხიბლა ვაჟის სიკარგემ“.
ამ გამოთქმაში არ ვარგა სიტყვა „სიკარგე“. მარ-
თალია, არის სიტყვები „ლამაზი“ და
„სილამაზე“, „გლახა“ და „სიგლახე“, მაგრამ არ
შეიძლება ანალოგიით სიტყვა „კარგისაგან“ ვა-
წარმოთ „სიკარგე“, ისე როგორც, ვთქვათ, „ცუ-
ლისაგან“ „სიცუდე“ ან „ბევრისაგან“ „სიბევრე“.
მეორე ლექსში „ნიკო სულხანიშვილის ხსოვნას“

ახალგაზრდა პოეტი ასე ნიშნავს სახელოვან ქართველ კომპოზიტორს: „წაიღე ლოთი კაცის ტიტული“. როგორც ცნობილია, ტიტული ნიშნავს რაიმე უადგილო და აშკარა, თუ რამდენად უადგილოდ და უსაფუძვლოდ ხმარობს ამ სიტყვას პოეტი. უხერხული გამოთქმაა აგრეთვე „შენზე სიმდიერა გულის ფიცარზე მომიძვია“ („ბათუმი!“).

თემატიკურად კრებული საკმაოდ მრავალფეროვანია — აქ არის ლექსები ლენინზე, სამშობლოზე, ხალხთა მეგობრობაზე, მშვიდობაზე, სიყვარულზე, მაგრამ მინც იგრძნობა, რომ პოეტის სულიერი ინტერესების სფეროს ძირითადად განსაზღვრავს სამშობლოს ბედი, ლექსების დიდი უმრავლესობა მიძღვნილია საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი. თავისთავად ეს, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია პოეტის ინტერესი საქართველოს წარსულისადმი, მით უმეტეს, რომ იგი, საქართველოს წარსული, ყოველთვის როდია დანახული თანამედროვეობის სიმაღლიდან. მართალია, ზოგჯერ პოეტი ცდილობს წარსული დაუკავშიროს აწმყოს, მაგრამ ეს ცდა მეტიანებად ხელოვნური და ნაძალადეგია. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი „ვინ დაივიწყოს“. პოეტი მას მიუძღვნის სახელოვან მამულიშვილებს, კერძოდ: ზურაბს, კვირიას, ცოტნე დადიანს, პატარა კახს, გიორგი სააკაძეს და ყველას, ვინც კი თავი ისახელა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს ეს, სახელოვან მამულიშვილთა შორის პოეტი არ ასახელებს არც ერთ თანამედროვეს. განა საბჭოთა საქართველომ ცოტა ისეთი გმირი აღზარდა, რომლებმაც შორს გასტყორცნეს სამშობლოს სახელი? თუ ზურაბი ციხეში ჩაიკიროს და სიკვდილს შესწირა მამულს, განა ნაკლები გმირობა ჩადინა შოთა გამცემლიძემ? განა კვირიას თავდადებას რითიმე ჩამორჩება თინა იოსებძის თავგანწირვა? როგორც ჩანს, პოეტმაც იგრძნო ერთგვარი უხერხულობა და ლექსის უკანასკნელი სტროფი ახალ საქართველოს მიუძღვნა, მაგრამ იგი „მიკერებულის“ შთაბეჭდილებას ტოვებს, ამასთან გაკვირვებას იწვევს ბოლო ორი სტრიქონი: „ვაგლახ, იმ ქართველს, ვინც სხვაგან მოკვდა და ჩვენში აღარ დაიმარხება!“ რატომ?

გადაჭარბებული გატაცება საქართველოს წარსულით განსაკუთრებით იჩიბთ არ არის მოსაწონი, რომ იგი ხელს უშლის ახალგაზრდა პოეტს სრულად და ყოველმხრივად ასახოს ჩვენი სოციალისტური სინამდვილე, ღრმად და დამაჯერებლად გადმოგვცეს ჩვენი დიდი თანამედროვის — კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის ფიქრები და განცდები. განა ნორმალურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მთელ კრე-

ბულში მხოლოდ ორი თუ სამი ლექსია, რომლებშიც ასე თუ ისე აისახა მშენებლობის, ახალი ცხოვრების დამკვიდრების პათოსი („ახალ კრებულს“, „ლენარდის გზა“)? ქართველი ხალხი სამართლიანად აწყობს, რომ მთელი ჩვენი რესპუბლიკა მშენებლობათა ხარაოებშია, რომ ახლა საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, სადაც არ აშენებდნენ ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, ელექტროსადგურებს, საცხოვრებელ სახლებს, სადაც არ გაპყადეთ ახალი სარწყავი არხები და გზები, სადაც არ დუღდეს და გადმოდუღდეს შემოქმედებითი შრომა. სამწუხაროდ, კრებულში ეს ძლიერ სუსტად ჩანს. მხედველობაში გვაქვს; რა თქმა უნდა, არა რომელიმე მშენებლობის გალექსილი ისტორია, არამედ თვით მშენებელთა, თვით შრომელთა ფიქრები და განცდები, მათი სულიერი სამყარო, რომელიც იცვლება და მდიდრდება ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და გამარჯვებათა შესაბამისად. ახალს რომ ქმნიან, ადამიანები, ცხადია, თვითონაც იცვლებიან, რამაც ასახვა უნდა იპოვოს პოეზიაში. ეს რომ შეძლო, კარგად უნდა იცნობდეს ცხოვრებას, ახლის მშენებელ ადამიანებს, უნდა განიშესპეციალ მათი მისწრაფებებით. თუ თავის დროზე ალიო მიტყუალავს პოემას „ენგური“ ან კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მუშა გამომგონებელს“ წარმატება ხვდა, ეს იმიტომ, რომ მათ შეძლეს ეხვეწებინათ ოცდაათიანი წლების საბჭოთა ადამიანები, მათი სულიერი სამყარო, თვით ამ ადამიანთა თვალთ შეეხებათ ცხოვრებისათვის და გაეზრებინათ იგი. მას შემდეგ დიდი დრო გვიკიდა, ადამიანები შესამჩნევად შეიცვალნენ, შემდგომ გამდიდრდა და გააშენიერდა. მათი სულიერი სამყარო, დიდად გაუფართოვდა და გაღრმავდა მათი სულიერი ინტერესები. ამდენად თანამედროვე პოეტის ამოცანაა გვიჩვენოს ეს ცვლილებები, ორმოცდაათიანი წლების საბჭოთა ადამიანები, განიშესპეციალ მათი ფიქრებითა და განცდებით. სამწუხაროდ, ნოდარ ჯალაღონის ლექსებში ყველაფერი ეს ძლიერ მკრთალად ჩანს. არა გვერია, მაგალითად, დღევანდელ საბჭოთა ადამიანს მოსვენებას არ აძლევდეს „თამარ მეფის უნახავი, გომრისფერი ნაწნაები“. რასაკვირველია, საინტერესოა სად არის რუსთაველის ან თამარის საფლავი, მაგრამ მათი ძიება როდი განსაზღვრავს ქართველი საბჭოთა ადამიანების სულიერი ინტერესებს. მშ რატომ უნდა შევაჩეროთ მკითხველთა ყურადღება მეორეხარისხოვანზე და დავივიწყოთ მთავარი, ძირითადი, განსაზღვრელი? განა საესებით ბუნებრივი და კანონზომიერი არ იქნება, ვიკითხოთ — რატომ ასე მკრთალად ჩანან შვიდწლეულის ადამიანთა მისწრაფებანი და გრძნობები ნოდარ ჯალაღონის პოეზიაში? აი სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს წარსულისადმი გადაჭარბებული ინტერესმა.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის ნოდარ ჯალალონიას პირველ კრებულში საერთოდ არ ისმოდა თანამედროვეობის მაჟისცემა. არა, მასში ბევრი კარგი ლექსია. რომლებიც ჩვენს გამირულ დღევანდლობას ასახევენ, მათ შორის „ძველი უწარწერი“ „ძმობის სიმღერა“, „ყველა ტაბუტმა“, „სომეხ მეგობარს“ და სხვ. ისინი გადმოგვცემენ საბჭოთა ადამიანების უდიდეს სიყვარულს ლენინისადმი, სამშობლოსადმი, მათ მისწრაფებას მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისაკენ და ა. შ. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ასეთ ლექსებს შედარებით მცირე ადგილი უკავია. ახალგაზრდა პოეტმა არ უნდა დაივიწყოს, რომ თანამედროვეობა ყოველი ქვეყნისათვის საფუძველთა საფუძველია და, მაშასადამე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მას, შეცვალოს რაც შეიძლება სრულად და ღრმად ასახოს იგი.

დასასრულ კრთი შენიშვნა. კრებულში დაბეჭდილი ლექსების დიდი უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. კარგია თუ არა ეს? ჩვენი აზრით, ასეთი პრაქტიკა გაუმართლებლად უნდა მივიჩნიოთ. კრებულში ავტორმა მარტო ან თითქმის მარტო ის ლექსები უნდა შეიტანოს, რომლებიც უკვე დაბეჭდულა ჟურნალ-გაზეთებში და მკითხველთა მიწოდება დაინსახება. ე. ი. ასე თუ ისე აპრობირებულია საზოგადოებრიობის მიერ. ნოდარ ჯალალონია ასე რომ მოქცეულიყო. მის პირველ წიგნში, ვფიქ-

რობთ, არ აღმოჩნდებოდა ისეთი სუსტი და რისიმეტყველი ლექსები, როგორიცაა, „მინიატურები“, „სევანურ მოტივები“, „ვაჟაკის გული“ და სხვა, აგრეთვე ბოემა „მ. კრილი მარჯვენა“. აქვე უნდა შევნიშნოთ რომ ბოემის „მოჭრილი მარჯვენა“ კონფლიქტი მეტისმეტად გულუბრყვილო და ხელოვნურია. როგორც გიცით, ძველად მთაში დამარცხებულ ნეტარა მარჯვენას კრიდნენ, და აი, ამ ადამიანს ტყვე ღრმად მოხუცი თორღვა გულში კი არ იკრავს, სასტიკად კიცხავს დიდი სამამულო ომიდან დაბრუნებულ უმარჯვენიო შეილიშვილს, რადგან პოეზია, რაკი ცალხელაა, სირცხვილიანიცაა: „სიცოცხლე მოგვცა მტერმა და დასთმე სამშობლოს ტრფიალი?“, რისხვით ეუბნება თორღვა ვაჟაკს და წყველის მას — „კრულ იყოს შენი სახელი, კრულ იყოს შენი განგნაო“. ბოლოს, ყველაფერი გამოირკვევა და დარცხვენილი მოხუცი გულში იკრავს შეილიშვილსაც და მის საბედო ლექს ქალიშვილსაც. შედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ ყალბი და ხელოვნურია ამგვარი „კონფლიქტი“. იგი კი არ ეხმარება, ხელს უშლის ახალგაზრდა პოეტს წარმოგვიდგინოს განახლებული მთის ნამდვილი ცხოვრება.

ასეთია, ჩვენი აზრით, ნოდარ ჯალალონიას ლექსთა პირველი კრებულის „სიმღერის გაზაფხული“ ზოგიერთი ღირება-ნაკლოვანება.

პ. შავშულიძე.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელო

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ტ. ნეფედოვას რედაქციით გამოსცა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური, რომელიც მოამზადეს ამავე არქივის თანამშრომლებმა ს. ტაბალუამ, ლ. კალანდარიშვილმა და შ. თოღაძემ.

სარეცენზიო წიგნი შედგება შესავლისა, ორი ძირითადი განყოფილებისა (რეგოლუციონდელი ფონდებისა და ოქტომბრის რეგოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ფონდების განყოფილება) და მარვენებლებისა (პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და საგნობრივ-თემატიკური). გარდა ამისა, მეგზურს დართული აქვს სია იმ ნაკლებად მნიშვნელოვანი ფონდებისა, რომლებზეც დახასიათება არ შედგენილა, მაგრამ ინახება არქივში.

მეგზურის სქემა სწორადაა გააზრებული და მასალები დალაგებულია საწარმოო-დარგობრივი

პრინციპის მიხედვით, რაც დიდად აადვილებს საჭირო დოკუმენტების მიგნებას.

შესავალში გადმოცემულია აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის შექმნის მოკლე ისტორია და მითითებულია არქივის ძირითად ამოცანებზე.

პირველი განყოფილება შეიცავს რეგოლუციონდელი ფონდების მასალებს (გვ. 9-45) და შედგება ცხრა ნაწილისაგან: 1. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები; 2. ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა; 3. წოდებრივი დაწესებულებანი; 4. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები; 5. პოლიციის, ჯანდარმერიისა და ოხრანკის ორგანოები; 6. სამეურნეო-კონომიური საწარმო-დაწესებულებანი და ორგანოები; 7. კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი; 8. საზოგადოებრივი და ქვემოქმედი დაწესებულებანი და,

ბოლოს, 9. რელიგიური კულტის დაწესებულებანი.

ამ განყოფილებაში თავისი შინაარსითა და შედგენის სრულყოფით ყურადღებას იპყრობს № 5, 6, 8, 22, 48, 67 ფონდების დახასიათება, რითაც მკვლევარს საშუალება აქვს მთლიანად გაეცნოს არქივში თავმოყრილი მასალების ძირითად შემადგენლობას.

ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ფონდების განყოფილება (გვ. 49-163) შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისაგან: პირველი ნაწილია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, სადაც ცალკე განყოფილია სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების მუშაობის ამსახველი ფონდები და სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საარქივო მასალები; მეორე ნაწილი აერთიანებს სახალხო მეურნეობის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთა მასალებს, რომელიც თავის მხრივ დაყოფილია შვიდ თემად და შეიცავს: სამრეწველო საწარმო-დაწესებულებების; სოფლის მეურნეობის, საღი-ნანსო-საყრდნით, საგემო-სტატისტიკური და კონტროლის ორგანოების, საგაბრო და დამზადების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობისა და კოოპერაციული ორგანოების საარქივო ფონდებს. მესამე ნაწილში თავმოყრილია კულტურისა და ყოფაცხოვრების დაწესებულება-ორგანიზაციების ფონდები, რომლებიც შეიცავენ სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება-ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულება-ორგანიზაციების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ფონდებს და, ბოლოს, მეოთხე ნაწილში მოცემულია პროფესიული კავშირების მუშაობის ამსახველი ფონდები.

ამ განყოფილებაში განსაკუთრებით კარგად არის შედგენილი აჭარის რეკომის, ცაყის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სახკომსაბჭოს, იუსტიციის სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურ-

ნეობის უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სხვა მნიშვნელოვანი საარქივო ფონდების დახასიათება.

მეგზურში ხშირად გვხვდება ერთ დახასიათებაში გაერთიანებული რამდენიმე მონათესავე ფონდებიც. არქივის მუშაობის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ასეთი დახასიათების შედგენა ზევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული, მაგრამ როგორც სარეცენზოო წიგნიდან ჩანს, აჭარის ცენტრალური არქივის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი ამას და სათანადო ანოტირების შემდეგ მკვლევართათვის მისაწვდომი გახადა ასეთი ფონდებიც (გვ. 25, 44, 58, 59, 91-93, 116, 127, 128, 140, 141 და სხვ.).

კარგად არის შედგენილი მაჩვენებლებიც, უბირველეს ყოვლისა კი საგნობრივ-თემსტატისტიკური.

სარეცენზოო ნაშრომში გვხვდება ზოგიერთი ხარვეზიც: შესაძლოა, როცა ლაპარაკია აჭარის ასარ ცენტრალური სახელმწიფო არქივის შექმნის ისტორიაზე, საჭირო იყო იმის აღნიშვნაც, თუ როდის დაიწყო საარქივო მასალების კონცენტრაცია და ამჟამად არქივსაცავში რამდენი ერთეულია თავმოყრილი, ამასთან აუცილებლად უნდა მიეჩინათ არქივის რევოლუციამდელი პერიოდის განყოფილების დოკუმენტური მასალების მიმოხილვა.

საარქივო მუშაობის პრაქტიკაში დადგენილია, რომ ფონდის დახასიათების შედგენის დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ფონდის შემქმნელ დაწესებულებათა ისტორიას, რაც ერთგვარ ორიენტირებას აძლევს მკვლევარს თავის მუშაობაში. სამწუხაროდ, მეგზურში შესულ ზოგიერთ ფონდს არა აქვს არსებობის ისტორია (გვ. 18, 41, 72, 85, 112 და სხვ.), ან დახასიათებაში ფონდის ისტორია სჭარბობს მისში დაცული მასალების ანოტაციას (გვ. 23, 36, 152).

ეს შენიშვნები, ცხადია, არ ჩრდილავს აჭარის ასარ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზურის ღირებას. იგი უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარებს სათანადო საარქივო დოკუმენტების გამოყენებაში.

ვალერიან ჯიძია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



- აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა შემდეგი წიგნები:
- ნ. მაღაზონია — საბავშვო ლექსები, პოემები, ზღაპრები. რედ. ა. შონია, გვ. 128, ფასი 6 მან.
- დ. ხოზრევანიძე — სკოლა მთაში. რედ. ლ. დავითაძე, გვ. 70, ფასი 2 მან.
- ა. პერტია — ნარკვევი აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან. რედ. გ. ფიცხელაური.
- გვ. 206, ფასი 9 მან.
- შ. შუბლაძე — საბავშვო პიესები და პოემები. რედ. გ. სალუქვაძე, გვ. 70, ფასი 2 მან.
- ქ. მჭავია — სიცოცხლე მღერის. რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 76, ფასი 1 მან. 20 კაპ.
- ფრ. ხალვაში — ხიხანის ძახილი. რედ. ვლ. შარაშიძე, გვ. 70, ფასი 1 მან. 20 კაპ.
- ი. ჯაში — ავტომობილისტის ტექმინიმუმი. რედაქტორები ნ. ჩხარტიშვილი, დ. მოქია, გვ. 367, ფასი 11 მან.
- ე. ჩიმაკაძე — ნანა სოფლად. რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 26, ფასი 50 კაპ.
- ლ. გელაძე — ნაღვერდალი. რედ. ც. წუწუნავა, გვ. 148, ფასი 4 მან. 50 კაპ.
- ალ. ჩხაიძე — გზაჯვარედინზე. რედ. ფრ. ხალვაში, გვ. 92, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- პ. ცქვიტარია — აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები. რედ. გ. ქვანიძე.
- გვ. 336, ფასი 14 მან.
- ი. მელია — მამულის კვამლი. რედ. ც. წუწუნავა, გვ. 162, ფასი 4 მან. 60 კაპ.
- ნ. დუმბაძე — ლიტერატურული წერილები. რედ. შ. ქურიძე, გვ. 213, ფასი 5 მან.
- ა. სურგულაძე — სასაქონლო ურთიერთობის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში.
- XIX საუკუნის მეორე ნახევარში. რედ. ალ. ბენდიანიშვილი, გვ. 20, ფასი 3 მან.
- ჯ. ჯაყელი — გულის საუნჯე. რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 286, ფასი 6 მან.
- მ. გორგილაძე — პირველი სიყვარული. რედ. ც. წუწუნავა, გვ. 222, ფასი 5 მან.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X 59 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7 თაბახი.
შეკეთების № 6925, ემ 01556, ქალაქის ზომა 70X108. ტირაჟი 3000.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფსამმართველოს
სტამბა-ლითოგრაფია (ბათუმი, ლუქსემბურგის, 22)

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми ул. Люксембург, 22.

ფან 4 825.

08-15/69



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литератури Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ